შევარდნაძე მეზობელ ოთახში გადადის A2
„მაინც მოვიცილებთ შევარდნაძეს!" A3
ამომრჩევლის თვალით დანახული აჭარული არჩევნები A8

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 18 ნოემბერი, 2003 წელი. №300 (512)
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### "ამაზე მრავალრიცხოვან მიტინგს, ბიძიკო, ჩემ ეზოში ჩავატარებ"

რამდენი ხანი დასჭირდა, რომ გულს გული ეცნო! მაგრამ ჯანდაბას დრო და ლოდინი! მთავარია, რომ მოსახდენი მოხდა: მათ ერთმანეთი იპოვეს და დღეს გვერდიგვერდ დგანან. სხვა თუ არაფერი, მათი ერთად ყოფნა მომავალში, არჩევანის გაკეთებისას, საზოგადოებას ძალიან გამოადგება.

A2

## ეკონომიკა

### დედაქალაქის გაზმომარაგების სისტემაში ცვლილებები იგეგმება

"თბილისს "იტერა" გაზს აღარ მოაწვდის," - აცხადებენ დღეს "თბილგაზში" და განმარტავენ, რომ "გაზექსპორტი" დედაქალაქს იმდენ გაზს მოაწვდის, რამდენიც საჭირო იქნება. მოხმარებული გაზის თანხების გასტუმრება ყოველი მომდევნო თვის შუა პერიოდში - 15-დან 20 რიცხვამდე მოხდება.

A4

## უცხოეთი

### ამერიკელებმა ერაყში გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყეს

ერაყის ჩრდილოეთის ქალაქ მოსულში პარტიზანების მიერ ორი ამერიკული ვერტმფრენის ჩამოგდებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ერაყის ტერიტორიას ამერიკელები ვერ აკონტროლებენ.

A5

## საზოგადოება

### ის, რამაც ქართველი პოლიტიკოსები გააერთიანა

ეს იყო არჩევნებამდე, გასული წლის ზაფხულს, როცა საქართველოში დაიწყო კამპანია "ნუ დატოვებთ ბავშვებს უყურადღებოდ". მას ყველა პოლიტიკური პარტია, ყველა პოლიტიკური ლიდერი შეუერთდა.

A6

## სამართალი

### ბადრი პატარკაციშვილს უზენაეს სასამართლოში დაკითხავენ

ცნობილი სპორტსმენისა და "აირზენას" გენერალური დირექტორის კახი ასათიანის მკვლელობის შემდეგ ბიზნესმენ ჯონი გიგანის აფეთქების მცდელობა მეორე შემთხვევაა, რომელიც დიდ ბიზნესში წილების გაყოფის მოტივით დაიგეგმა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 13 |
| ქუთაისი | 16 |
| ბათუმი | 17 |
| სოხუმი | 10 |
| ფოთი | 16 |
| თელავი | 11 |
| ზუგდიდი | 14 |
| გორი | 9 |
| ახმეტა | 11 |
| ჭიათურა | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.5855 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6998 |
| რუბლი | 0.0735 |

# მარადისობის დასასრული



ერთ მხარეს არის ხალხი, მეორე მხარეს კი "კოლექტიური შევარდნაძე", რომლის უკან პიროვნული ამბიცია-ინტერესების გარდა არც არაფერი დგას.

დავით ზურაბიშვილი

იყო დრო, როდესაც ის არ იყო, მაგრამ ეს დრო ცოტას თუ ახსოვს. უმეტესობისთვის ის მუდამ იყო. მაშინაც კი, როცა აქ არ იყო და იყო მოსკოვში, მაინც ყველაფერი მისგან მოდიოდა და ყველა კვალი მასთან მიდიოდა. ალბათ, არც იყო ასე, მაგრამ ნამდვილად ასე ეგონათ, რადგან ის არასდროს ყოფილა ერთ-ერთი ჩვენგანი, ჩვენი ან ჩვენი ნაცნობის მსგავსი, არასოდეს ასოცირდებოდა კონკრეტულ ადამიანურ ნიშან-თვისებებთან, არამედ იყო სულ სხვა და იდგა სადღაც სხვაგან. ის იყო ისეთივე მოცემულობა, როგორც მიწა, ცეცხლი, წყალი და ჰაერი. მეხუთე ელემენტი. დანარჩენი ოთხის სტაბილურობის გარანტი...

გაგრძელება A8 გვერდზე

# ქუთაისი საპროტესტო აქციებმა მოიცვა

ბექა სისაური
ქუთაისიდან

იმერეთში საპროტესტო აქციები სულ უფრო ძლიერდება. ყალიბდება დაუმორჩილებლობის კომიტეტები, რაიონულ ცენტრებში ტარდება მიტინგები.

მაგრამ, აქციები სულ უფრო მასობრივ ხასიათს ქუთაისში იძენს. კვირას იმერეთის დედაქალაქში დაუმორჩილებლობის შტაბი შეიქმნა, რომელშიც "ნაციონალური მოძრაობა", "ბურჯანაძე-დემოკრატები", და ყველასაგან მოულოდნელად, "მრეწველების" ადგილობრივი ორგანიზაციაც შევიდა. დაუმორჩილებლობის შტაბში 30 სუბიექტია გაწევრიანებული. მათ შორის სოციალურად აქტიური ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა: "კმარას," "თავისუფლების ინსტიტუტისა" და "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ქუთაისის ორგანიზაციები

გაგრძელება A3 გვერდზე



ქუთაისში საპროტესტო აქციაზე 1000-მდე ადამიანი შეგროვდა.

# "უპირატესობას არავის ვანიჭებთ"

*სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-ბრიფინგზე რეპორტიორების კითხვებს პასუხობს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილე, ადამ ერელი.*

**კითხვა:** რას იტყვით საქართველოში შექმნილ ვითარებაზე?

**ერელი:** საქართველოს არჩევნების შესახებ ჩვენი შეხედულებები ადრე გამოთქმულისაგან არ განსხვავდება. ჩვენ სერიოზულად შეგვაშფოთა ამ ქვეყანაში გამართულმა არჩევნებმა. როგორც ვთქვით, იყო პრობლემები ხმის დათვლასთან და საარჩევნო სიებთან დაკავშირებით. ელჩმა მაილსმა ჩვენი შეშფოთების შესახებ აუწყა საქართველოს მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირებს.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ხელისუფლება განიხილავს რამდენიმე ვარიანტს იმისა, რომ საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემები გადაჭრას და ჩვენ მიერ გამოთქმულ შეშფოთებას უპასუხოს.

რამდენადაც მე ვიცი, საბოლოო გადაწყვეტილება მათ ჯერ არ მიუღიათ. ჩვენი აზრით, ყველა მხარემ პატივი უნდა სცეს ადამიანთა მშვიდობიანი შეკრების უფლებას და მიიღოს ყველა ზომა ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

**კითხვა:** მინდოდა მეკითხა, რას ფიქრობთ ქვეყანაში შექმნილ არასტაბილურობაზე. მომიტინგეები პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ. ამაზე თუ გაქვთ რამე სათქმელი?

**ერელი**: ეს ქართველი ხალხისა და ქართული პოლიტიკური პარტიების გადასაწყვეტია. იმედი გვაქვს, რომ ისინი ამას მშვიდობიანი, დიალოგის გზით შეძლებენ, კანონისა და ქართველი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით.

**კითხვა**: თქვენ მხარს არ უჭერთ შევარდნაძეს?

**ერელი**: ჩვენ უპირატესობას არც ერთ კანდიდატს არ ვანიჭებთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ კანონის უზენაესობას, დიალოგსა და გამჭვირვალობას. ჩემი განცხადება ისე არ გაიგოთ, თითქოს რომელიმე კანდიდატის წინააღმდეგი ან მომხრე ვიყო. ეს ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

**კითხვა**: კარგი. როდესაც რამდენიმე კვირის წინ ბოლივიის პრეზიდენტი - ბოლივიის ყოფილი პრეზიდენტი – ასეთივე ვითარებაში აღმოჩნდა, თქვენ თქვით, რომ მხარს უჭერდით მას.

**ერელი**: მე მგონი, ჩვენ ვთქვით, რომ მხარს ვუჭერდით კონსტიტუციურ პროცესს.

**კითხვა**: არა, თქვენ თქვით, რომ მას უჭერდით მხარს.

**ერელი**: იცით რა, მე იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენ არ ვუჭერთ მხარს შევარდნაძეს, მაგრამ მე არც იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ რომელიმე კანდიდატს უპირატესობას ვანიჭებთ.

# მთავარი "დაუმორჩილებელი" რეგიონების მობილიზებას იწყებს

სოფო ბუკია

საყოველთაო დაუმორჩილებლობის პირველი დღის ანგარიში გუშინ ჟურნალისტებმა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერისგან მოისმინეს. მიხეილ სააკაშვილი "დაუმორჩილებლობის" გუშინდელი დღით კმაყოფილია და მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს. ზუგდიდი, სენაკი, აბაშა, გურჯაანი – ეს იმ ქალაქების არასრული ჩამონათვალია, სადაც გაერთიანებული ოპოზიციის მიერ გამოცხადებული "საყოველთაო დაუმორჩილებლობა" სრული სვლით მიმდინარეობს. **"ამ ქალაქებს შეუერთდება ხობი, ლენტეხი, რუსთავი და სხვა,"** – "დაიმედა" პრეზიდენტი შევარდნაძე სააკაშვილმა.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის ინფორმაციით, "დაუმორჩილებლებმა" გუშინ ლენტეხის გამგეობის შენობა "აიღეს" და იქ ხუთჯვრიანი დროშა ააფრიალეს.

დღეისთვის სააკაშვილის გეგმები ასეთია: იგი რეგიონებში გასვლას გეგმავს, ყველაზე შორეულ სოფლებსაც მოინახულებს, სადაც დარაზმავს მხარდამჭერებს, რომლებიც ოპოზიციის მიერ მოწყობილ მარშში მიიღებენ მონაწილეობას. **"შეიძლება, ავტობუსებით და სამარშრუტო ტაქსებით არ გამოგვიშვან, მაგრამ ურმებით, ცხენებით წამოვალთ. შეიძლება, ფეხითაც მოგვიწიოს რაიონებიდან წამოსვლა. თუ ერთი ადამიანი მაინც ფეხით წამოვა, მეც მასთან ერთად ვივლი,"** – მზადაა თავგანწირვისთვის სააკაშვილი. ათი-ათასობით ადამიანი კანცელარიისკენ გაემართება და მყუდროებას დაურღვევს პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომელიც, სააკაშვილის თქმით, **"ისეა შეზრდილი საკუთარ სკამს, რომ კანცელარიიდან მისი სკამიანად გამოტანა მოგვიწევს."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსი კოლეგის სამძიმარი

თამარ ხორბალაძე

სახელმწიფო კანცელარიამ პრეზიდენტის ბრიფინგის დიდ საკონფერენციო დარბაზში ჩატარება გადაიფიქრა - საყვირების ხმა კანცელარიის მეთერთმეტე სართულამდეც აღწევდა.

ჟურნალისტების ინტერესი კი გუშინ მართლაც დიდი იყო. გადაჭედილ დარბაზში უცხოური მედიის წარმომადგენლები სჭარბობდნენ.

სინქრონული თარგმანი და სხვა მსგავსი "ფუფუნება" კანცელარიაში უზრუნველყოფილი არ ყოფილა, ამიტომ უცხოელებს ქართველი კოლეგების დახმარებით გაჰქონდათ თავი.

ჩემ გვერდით მყოფმა ჰოლანდიის ტელევიზიის წარმომადგენელმა მთხოვა: **"როცა იტყვის, რომ გადადგება, ან ახალ საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავს, ან რაიმე მსგავს მნიშვნელოვანს, მანიშნე."**

უცხოელი ჟურნალისტები, რომელთა უმრავლესობა ედუარდ შევარდნაძეს სსრკ-ს დროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრობით იცნობს, საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტისგან სწორედ მსგავს გადაწყვეტილებას ელოდნენ.

**"არ გადავდგები... პრეზიდენტი არ გადადგება.. არ წავა პრეზიდენტი..."** - რამდენიმეჯერ დაბეჯითებით გაიმეორა გუშინ ედუარდ შევარდნაძემ.

მეტიც, პრეზიდენტი არ აპირებს, დანიშნოს ახალი საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნები, არ აპირებს, ანგარიში გაუწიოს საზოგადოებას, რომელიც, თურმე, ოპოზიციონერების მარიონეტებად ქცეულა, არ აპირებს ოპოზიციის მოთხოვნების ადეკვატურად მოქმედებას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სასამართლომ ცესკო-ს დადგენილება უკანონოდ ცნო

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა არ შედგა. მართალია, იგი საღამოს ხუთი საათისთვის იყო დანიშნული, მაგრამ უკანასკნელ წუთს გაირკვა, რომ ცესკო-ს ხელმძღვანელობამ მისი გამართვა გადაიფიქრა. ოფიციალური ვერსიით, ამის მიზეზად ცესკო-ში რამდენიმე ოლქიდან არჩევნების შედეგების ხელახალი გადათვლის ოქმების ჩამოუსვლელობა დაასახელეს. ამასთან, ჩვენი ინფორმაციით, ცესკო-ს საოქმო განყოფილებაში იმ მონაცემებსაც ამოწმებდნენ, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში გახსნილი საარჩევნო უბნებიდან იყო ჩამოსული და რომელიც, ოპოზიციონერთა მტკიცებით, აშკარად გაყალბებული იყო. დღის ბოლოს გავრცელებულმა ინფორმაციამ კი (რომლის თანახმადაც, საოლქო სასამართლომ გააუქმა ცესკო-ს დადგენილება ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის წესის თაობაზე), ცესკო-ში ვითარება უკიდურესად დაძაბა. თუმცა, გარეგნულად კომისიის წევრები სიმშვიდეს მაინც ინარჩუნებდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართული პრეფერანსი

*ცალკეული დამკვირვებლების აზრი მე არ მაინტერესებს – ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს პრეზიდენტი.*
*მნიშვნელოვანია არა ის, ვინ აძლევს ხმას, არამედ ის, ვინ ითვლის მას – იოსებ სტალინი, ბელადი.*

იგორ სემივოლოსი
კიევიდან

საქართველოში მოვლენები სრულიად კანონზომიერად ვითარდება. იმ აბსურდის თეატრს, რომელსაც, რატომღაც, არჩევნები დაერქვა, არ შეიძლებოდა, პროტესტის გარდა, სხვა რეაქცია გამოეწვია. შეიძლება მხოლოდ იმედი ვიქონიოთ, რომ პროტესტები სამოქალაქო ომის ახალ რაუნდში არ გადაიზრდება. თბილისიდან მოსული ინფორმაციით, ჯერჯერობით, ოპოზიციაცა და ხელისუფლებაც ძალის დემონსტრირებას ახდენენ. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, ოპოზიციამ ამერიკიდან სუსტი, მაგრამ მორალურად ძალზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო.

სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის, ადამ ერელის თქმით, აშშ-ს ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოში თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს. სამშაბათის ბრიფინგზე მან განაცხადა: "ჩვენ ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ შედეგების დროულ და პატიოსან დათვლას". ხმების დათვლის გაჭიანურებამ ვაშინგტონის "უკიდურესი შეშფოთება" გამოიწვია.

აშკარაა, რომ საქართველოს მმართველი კლანი ცდილობს, ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი
B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# კანცელარია პარლამენტს ამზადებს, რჩეულიშვილი კი ისევ "გადააგდეს"

ლელა მჭედლიძე

გუშინ საღამოს პრეზიდენტთან გამართული თათბირის შემდეგ ძალოვანი უწყების წარმომადგენელი მინისტრები განცხადებებს თავს მაქსიმალურად არიდებდნენ. უშიშროების მინისტრმა კი, საერთოდ, ჟურნალისტებისგან გაპარვა ამჯობინა. ერთადერთი, ვინც მეტ-ნაკლებად "გათქვა" შეკრების საიდუმლო, კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი იყო: პრეზიდენტმა ზოგადი მითითებები გასცა, კონკრეტულად არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუყენებია, მაგრამ ეს მაინც გარკვეული გაფრთხილება იყოო.

სახელმწიფო კანცელარიის კულუარებში პარლამენტის სპიკერის პოსტზე, ყველაზე მეტად, სამ კანდიდატურაზე საუბრობენ - ორ ყოფილ სახელმწიფო მინისტრზე, ვაჟა ლორთქიფანიძესა და ნიკო ლეკიშვილზე, და "აღორძინების" ლიდერ ჯემალ გოგიტიძეზე. თითოეულ მათგანს, სხვებთან შედარებით, გარკვეული უპირატესობა აქვს. პოლიტიკოსების აზრით, აქედან ყველაზე მეტი შანსები ცნობილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის მეგობარს, ვაჟა ლორთქიფანიძეს აქვს. ბუნებრივია, რომ პარლამენტის შესაძლო თავმჯდომარეობის შესახებ კომენტარს გუშინ არც ნიკო ლეკიშვილი და არც ვაჟა ლორთქიფანიძე არ აკეთებდნენ.

ლეკიშვილი გუშინ პრეზიდენტთან მცირეხნიანი შეხვედრის შემდეგ კანცელარიაში აღარ დარჩა და არ მიიღო მონაწილეობა პრეზიდენტის შეხვედრაში სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარ დეპუტატებთან. როგორც მაჟორიტარები აცხადებენ, პრეზიდენტი მათ გამარჯვებას ულოცავდა.

გუშინ ნაწყენი ჩანდა ვახტანგ რჩეულიშვილი: **"ოპოზიცია ჩამოთვლილი კანდიდატებიდან არც ერთს არ დათანხმდება, რადგან ამ კანდიდატებიდან თითოეულს (განსაკუთრებით - ლორთქიფანიძეს), პარლამენტის სპიკერად გახდომის შემდეგ, უკვე პრეზიდენტობის რეალური ამბიცია უჩნდება. ამიტომ, ჩემი აზრით, ყველაზე მეტი შანსი მომავალი მოწვევის პარლამენტში თავმჯდომარის ადგილის დაკავებისა ელგუჯა მეძმარიაშვილს აქვს,"** - თავად რჩეულიშვილი იგივე პოსტზე, რა თქმა უნდა, უარს არ იტყოდა, მაგრამ... **"როგორც ყოველთვის, ახლაც "გადამაგდეს". პარლამენტის ვიცე-სპიკერობას კი "ცენტრ-პოინტის" ვიცე-პრეზიდენტობა მირჩევნია,"** - ამბობს რჩეულიშვილი.

# აჭარის ლომმა ვერ დაძლია თბილისის შიში

*როგორც ჩანს, აჭარის ლიდერმა დედაქალაქთან დაკავშირებული შიშები ვერ დაძლია, ანუ თბილისში კვლავაც არ ჩამოდის. მის გარემოცვას ლიდერის თბილისში ჩამოუსვლელობის გასამართლებლად ახლა-ახალი მიზეზი თუ საბაბი აქვს.*

ლელა მჭედლიძე

**"ამ დღეებში ბევრი მირეკავდა, ხმის კანკალით და აღფრთოვანებით მეკითხებოდა: მართალია თუ არა, რომ ბატონი ასლან აბაშიძე თბილისში აპირებს ჩამოსვლასო. ბუნებრივია, რომ ისეთი დიდი მასშტაბის პოლიტიკოსის და მოაზროვნის ხილვის სურვილი, როგორიც აჭარის ავტონომიის ლიდერია, ბევრს აქვს, მაგრამ ბატონი ასლანი ახლა მოსკოვში იმყოფება,"** - განაცხადა გუშინ "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ბაკურიამ. "აღტაცებითა და გულის კანკალით" აბაშიძეს დღეს სპორტის სასახლეში დაგეგმილ აქციაზე ელოდნენ. აქ, ისევ ბაკურიას განცხადებით, ის ხალხი უნდა შეიკრიბოს, ვინც "თანამედროვე ფაშიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ იბრძვის." "აღორძინებას" სურს, ხალხს დაანახოს, რომ საზოგადოების იმ მნიშვნელოვანი ნაწილის გარდა, ვინც ჟვანია-ბურჯანაძისნაირ ლიდერებს უჭერს მხარს, არის ხალხი, ვინც "სააკაშვილიზმით არ არის დაავადებული." "აღორძინების" წარმომადგენელთა მტკიცებით, სპორტის სასახლეში დღეს ამ კატეგორიის 15-20 ათასი ადამიანის თავმოყრაა ნავარაუდევი - ძირითადად, თურმე, თბილისელების - რადგან თავად პარტია აჭარიდან საამისოდ ხალხის მობილიზებას არ აპირებს და ამის საჭიროებასაც ვერ ხედავს. თუმცა, ბაკურიას "ბათუმიდან თუ აჭარიდან ჩამოსულთა ხილვაც გაუხარდება". ხმებს, სპორტის სასახლის სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული აჭარელი პოლიციელებით შევსების შესახებ, გუშინ ცოტნე ბაკურია ჟვანია-სააკაშვილის მიერ აგორებულ პროპაგანდად ნათლავდა. იგივე გაიმეორა ზუგდიდში აჭარის შინაგანი ჯარის გარკვეული ნაწილის შესვლის შესახებაც. იმ ხალხში, ვინც დღეს, ბაკურიას განმარტებით, "ფაშიზმის წინააღმდეგ" ასლან აბაშიძის მხარდასაჭერად გაილაშქრებს, მრავალი ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნება იქნება: ლადო კახაძე, ალბერტ თავხელიძე, ლელა წურწუმია, ზურაბ ქაფიანიძე, რევაზ არველაძე და ა.შ.

გუშინ ცოტნე ბაკურიამ "თანამედროვე ექსტრემიზმით შეწუხებულ პარტიებად "ლეიბორისტები" და "მრეწველები" დაასახელა. ბაკურია შეკრებაზე ამ პარტიის ლიდერების მისვლასაც არ გამორიცხავს.

# "კმარასგან" მირთმეული ყვავილები



"ასე არ ჯობია, კაცო!"

"კმარას" გოგოები გუშინ პოლიციელებს "დაესხნენ თავს", თუმცა მათ ფერადი საღებავების ნაცვლად, ხელში თეთრი ქრიზანთემები და ლურჯი "ივან და მარიას" კონები ეჭირათ. კანცელარიის მისადგომებთან და რიყეზე გამაგრებული სამართალდამცავები, ცოტა არ იყოს, გაოგნებულნი დარჩნენ "კმარელებისთვის" უჩვეულო ჟესტით და მოკრძალებით ართმევდნენ მათ ყვავილების კონას. **"ასე არ ჯობია, კაცო,"** – ჩაილაპარაკა შუახნის პოლიციელმა და ყვავილები მორიდებით დაიჭირა ხელში.

"კმარას" ყვავილებით გუშინ სამხედრო აკადემიის წევრებიც დაჯილდოვდნენ. **"ალბათ, ალერგია აქვს ყვავილებზე, თორემ აუცილებლად გამომართმევდა,"** – გაამართლა სამხედრო აკადემიის ერთ-ერთი კურსანტი "კმარელმა" გოგონამ, რომელსაც უარი უთხრეს ყვავილებზე. **"ჩვენ ჩვენი პოზიცია გამოვხატეთ და დავაფიქსირეთ, რომ ჩვენ მშვიდობის მომხრე ვართ,"** – აცხადებენ "კმარელები".

*24 საათი*

# "ამაზე მრავალრიცხოვან მიტინგს, ბიძიკო, ჩემს ეზოში ჩავატარებ"

გიორგი ასანიშვილი

*რამდენი ხანი დასჭირდა, რომ გულს გული ეცნო! მაგრამ ჯანდაბას დრო და ლოდინი! მთავარია, რომ მოსახდენი მოხდა: მათ ერთმანეთი იპოვეს და დღეს გვერდიგვერდ დგანან. სხვა თუ არაფერი, მათი ერთად ყოფნა მომავალში, არჩევანის გაკეთებისას, საზოგადოებას ძალიან გამოადგება. ახლა კი გუშინდელი დღის გმირებიც გავიცნოთ: პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე ერთმანეთს მხარს უმშვენებდნენ ექსპრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე და პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი, "აღორძინების" თბილისის ოფისის ხელმძღვანელი ცოტნე ბაკურია და სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი გურამ შარაძე... და მაინც დასანანია - მიტინგზე ედუარდ შევარდნაძე, შალვა ნათელაშვილი, გოგი თოფაძე და კიდევ ორიოდე სხვა პოლიტიკოსიც რომ გამოჩენილიყვნენ, წრედი შეიკვრებოდა.*



ამ ქალაქში ყველაფერი "მოსულა".

თავდაპირველად, რუსთაველის გამზირზე გამვლელები მომიტინგეთა დანახვაზე გაოცებით იჩეჩავდნენ მხრებს, - აკი, ორშაბათს მანიფესტაცია აღარ გაიმართებაო? მერე კი, როდესაც აღმოაჩენდნენ, რომ გაერთიანებული ოპოზიცია არაფერ შუაში იყო და ტრიბუნასთან ზემოთ ჩამოთვლილ პირები იდგნენ, დამცინავად ჩაილაპარაკებდნენ: "ვაი, თქვენს პატრონს!".

**"მაგათ პატრონს რა უჭირს, ბატონო, კანცელარიაში ისე გაიდგა ფესვები, ვეღარ მოუგლეჯიათ, ჩვენ ვიკითხოთ, მაგათ ხელში რა გვეშველება,"** - "პატრონის" თაობაზე ყველას ერთნაირი აზრი როდი გააჩნდა!

იყვნენ ისეთებიც, რომელთაც მომიტინგეთა რაოდენობა საშაყიროდ გაეხადათ: **"ოხ, ოხ. ოხ! რას ააგორებენ! ვინ იქნება მაგათი დამკავებელი?"**

შაყირს რა უჭირს - ვიღაცეები ქუჩის მეორე მხრიდან დედის სულს უტრილებდნენ მიტინგის ორგანიზატორებს და მათ აუდიტორიას. თუმცა, ბილწსიტყვობა მანქანების ხმაურსა და გამომსვლელთა სიტყვებში იკარგებოდა და, ამდენად, აქციის მონაწილეებს არ აღიზიანებდა.

სამაგიეროდ, მათ ნერვები დააწყვიტათ თეთრი ფერის "ჟიგულმა", საიდანაც ახალგაზრდებს "ნაციონალური მოძრაობის" დროშები გადმოეფინათ და ხმამაღალი სიგნალებით, მალიმალ აუქროლ-ჩაუქროლებდნენ ხოლმე მომიტინგეებს.

ეს უკანასკნელნი მაინც მედგრად იდგნენ და მუყაითად "მუშაობდნენ": სააკაშვილს, ჟვანიასა და ბურჯანაძეს მიწასთან ასწორებდნენ.

**"ამდენი ხანია, აქ ვდგევარ და ჟვანიასა და სააკაშვილის ლანძღვის მეტი არაფერი გამიგია. შევარდნაძეზე ერთი აუგი სიტყვაც არ დასცდენიათ,"** - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და მიტინგი დატოვა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

**"რას ბრძანებთ, მაგის დადგმულია ეს სპექტაკლი და მასზე ცუდს როგორ იტყვიან?"** - იმედგაცრუებულს სიტყვა დაადევნა ვიღაც გამვლელმა.

მალე განხეთქილების საშიშროებაც წარმოიშვა. ერთმა "გონებამოწამლულმა" ახალგაზრდამ პროტესტი გამოხატა. **"აქ რომ მოვდიოდი, მეგონა, პრეზიდენტის საწინააღმდეგო აქციაში მივიღებდი მონაწილეობას, მოვედი და მისი მხარდამჭერი შარაძე არ დამხვდა?!"**

ახალგაზრდას ბევრი დაეთანხმა, მაგრამ შარაძის თაყვანისმცემელი ქალების კოლონამ თავისი მაინც გაიტანა და ახალგაზრდა ჩააჩუმა.

ამასობაში კი თავად შარაძე მიკროფონიდან გაჰყვიროდა: **"ჩვენ მხარდასაჭერად კოდორიდან წამოსულია დიდი დელეგაცია, დაიძრა ხალხი კახეთიდან, გურიიდან... ჩვენთან დგას ჯანმრთელი საქართველო, ავადმყოფი საქართველო ჩვენ გვერდით არ არის..."**

მიმიტინგეთა რიგების ზრდა ელანდებოდა მანანა არჩვაძესაც: **"აი, შემოგვიერთდნენ ედპ-ს ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებიც..."** ეტყობა, მას სკოლიდან სახლში მიმავალი რამდენიმე მეხუთე თუ მეექვსეკლასელი მოსწავლე ჰყავდა მხედველობაში, თორემ იმ პერიოდში აქციას ნამდვილად არავინ მიმატებია.

პარლამენტის შენობასთან ემზარ კვიციანის მისვლას მომიტინგეები დიდი სიხარულით შეხვდნენ. თავად პრეზიდენტის რწმუნებული "აქციონერებთან" მისვლას ასე ხსნის: **"წინა მიტინგების დროს ვერც ერთი სანთელი ვერ დავინახე(?). ახლა კი ჯვრები შევნიშნე და ამიტომაც მოვედი."**

კვიციანის თქმით, თბილისში არსებული დაპირისპირება კოდორის ხეობის დამცველების დემორალიზებას იწვევს. **"დესტაბილიზაციას შეიძლება მოჰყვეს სამოქალაქო ომი და ამის შემდეგ კოდორსაც დავკარგავთ,"** - გამოფხიზლებისკენ მოუწოდებდა საზოგადოებას პრეზიდენტის რწმუნებული.

გუშინდელ მიტინგს განუხრელად სდევდა 14 ნოემბრის მასობრივის მანიფესტაციის აჩრდილი. ამიტომ ხშირი იყო პარალელები და შედარებები.

**"რუსთაველის გამზირზე ისინი საარჩევნო პროცენტებმა მიიყვანა, ჩვენ - საქართველოს სიყვარულმა. მათ ბერიკაობა ჩაატარეს, ფულები დაარიგეს, ნამდვილი შულერები არიან. 50 ათასი კაცი ავტობუსებით კი არ უნდა მოეყვანათ, არამედ ეს ხალხი თავისით უნდა მოსულიყო. იმ ხალხმა არ იცოდა, რისთვის მიიყვანეს, როდესაც გაიგებენ, რაშია საქმე, ჩვენ გვერდით დადგებიან,"** - ეს ტირადა "აღორძინების" წევრს ანზორ აბრალავას ეკუთვნის.

**"მაგათ, ბიძიკო, ბოღმა ალაპარაკებთ, მეტი არაფერი. რისი მომყვანებიც არიან, აგერ ჩანს. რომ მოვინდომო, ამაზე მრავალრიცხოვან მიტინგს ჩემ ეზოში ჩავატარებ,"** - სულო ცოდვილო და, რუსთაველის გამზირზე თითქმის ყველა გამვლელ-გამომვლელი გუშინ "ხელისუფლება & აღორძინება კომპანი"-ს დაცინვის ხასიათზე იყო.

# რუსი კოლეგის სამძიმარი

პირველი გვერდიდან

სამაგიეროდ, ედუარდ შევარდნაძე ითხოვს არჩევნების შედეგების სასწრაფოდ გამოცხადებას, აპირებს პარლამენტის სესიის სასწრაფოდ მოწვევას და ახალი პარლამენტის თავმჯდომარის არჩევას.

ედუარდ შევარდნაძე ვითომ აპირებს სიების გამყალბებლების საქმის გამოძიების ბოლომდე მიყვანას და იმ ორგანიზაციის წარმომადგენლების დასჯას (მიუხედავად იმისა, საქართველოს მოქალაქე იქნება თუ საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნის), რომელთა სახელი არ ახსოვს, მაგრამ რომელთაც საარჩევნო სიების კომპიუტერებში შეტანა უზრუნველყვეს;

ედუარდ შევარდნაძე აპირებს, გაიზიაროს უკრაინის, ბელორუსის და რუსეთის გამოცდილება და ბევრს ფიქრობს იმაზე, გაისტუმროს თუ არა ჯორჯ სოროსი, თავისი ფონდითურთ, ქვეყნიდან, რადგან **"პოლიტიკა მისი საქმე არ არის"**.

ედუარდ შევარდნაძე ადასტურებს, რომ ასლან აბაშიძეს მისი თხოვნით შეხვდნენ მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტები.

ედუარდ შევარდნაძე არ უარყოფს, რომ რუსეთის პრეზიდენტის სამი სატელეფონო ზარი და საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი განსაკუთრებული ინტერესი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ახალ ფაზაში გადასვლას მოწმობს.

ედუარდ შევარდნაძე "ფლობს" ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ასლან აბაშიძე **"ბათუმში თუ თბილისში მხარდამჭერთა მიტინგის მოწყობას"** გეგმავს, რადგან ოპოზიციამ **"მთელი კუთხის და არა მხოლოდ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ"** უკადრისი გამონათქვამები იკადრა.

ედუარდ შევარდნაძე იხსენებს უახლოეს წარსულს და ამბობს, რომ ეროვნული უმცირესობის დევნა საქართველოში **"მისი ჩამოსვლის დღიდან შეწყდა"**.

ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ჯერ პარლამენტმა უნდა დაიწყოს კანონებზე მუშაობა და მხოლოდ შემდეგ შეიძლება საუბარი მთავრობაში სერიოზულ ცვლილებებზე, მათ შორის - საკონსტიტუციოზე.

ედუარდ შევარდნაძე კვლავ საუბრობს დიალოგზე, მაგრამ არაფერს ამბობს შესაძლო დათმობებზე...

ასეთი გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის განწყობა ერთკვირიანი საპროტესტო ტალღის შემდეგ, ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადების დღეს.

**"არც ჩვენთან და არც თქვენთან კარგა ხნის მანძილზე დემოკრატია არ იქნება,"** - მომისამძიმრა რუსული ტელევიზიის სპეციალურმა კორესპონდენტმა ბრიფინგის დასრულების შემდეგ.

# შევარდნაძე მეზობელ ოთახში გადადის

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვის კარნეგის ცენტრში მრგვალ მაგიდაზე მიიწვიეს უცხოეთის სახელმწიფოთა ელჩები, უცხოელი ჟურნალისტები, რუსეთ-საქართველოს თემატიკაზე მომუშავე ცნობილი ექსპერტები. ამ პატივცემულ საზოგადოებაში საქართველოს, ექსპერტთა ენაზე, მეტად მკაცრი და პესიმისტური განაჩენი გამოუტანეს: ეს არის არშემდგარი სახელმწიფო.

კარნეგის ცენტრის პერსონალი ინეტერსით ადევნებს თვალს ცხელი ქართული შემოდგომის ქრონიკას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ საქართველო ყველამ მიატოვა. შეხვედრაზე განიხილეს დღევანდელობის მთავარი "ჰიტი" - ასლან აბაშიძის დიდი კავკასიური ტურნე. სერიოზულმა ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ აბაშიძე შევარდნაძის ემისარია და საქართველოს პრეზიდენტი მის პიარს ამერიკის გასაღიზიანებლად ეწევა.

კარნეგის ცენტრში ითქვა, რომ საქართველოში არსებული კრიზისის გამო, ამერიკული კომპანიები წყვეტენ ქვეყანაში თავის მოღვაწეობას, ბუშის ადმინისტრაცია ფეხს ითრევს და პროცესში აქტიურად არ ერევა. ითქვა, რომ ანტიშევარდნაძისტული პროპაგანდის მიუხედავად, თურმე, აჭარის ლიდერი შევარდნაძესთან თანამშრომლობდა. ექსპერტები და საელჩოების თანამშრომლები დაინტერსედნენ, მაინც რატომ ამოტივტივდა აჭარის ლიდერი? პასუხი ასეთი იყო: რუსეთს აბაშიძე ძალის დემონსტრირებისთვის სჭირდება, თუმცა საქართველოს საქმეებში რუსეთის სამხედრო ჩარევა ნაკლებად სავარაუდოა.

**"არავინ დავობს იმაზე, რომ მოსკოვისთვის დღეს იდეალური იქნებოდა პრორუსული ლიდერის გაგზავნა საქართველოში, მაგრამ ღიად და აშკარად რუსეთი მხარს ვერავის დაუჭერს. ამიტომ რეგიონში რუსეთის როლის გაზრდისთვის ასლან აბაშიძეს იყენებს,"** - განაცხადა კარნეგის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე პოლიტოლოგმა გია ნოდიამ.

**"პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებსა და რუსეთშიც კი, პოლიტიკური პარტიების აბსოლუტურ უმრავლესობას საზღვარგარეთი აფინანსებს, ასე რომ, ამაში პირადად მე ბატონ სოროსს ვერ დავადანაშაულებ. ის, რომ ფული სოროსისგან მოდის, სულაც არ ნიშნავს ვინმეს პოზიციის გაზიარებას,"** - განაცხადა "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში კარნეგის ცენტრის სწავლულთა საბჭოს წევრმა, პროფესორმა ალექსეი მალაშენკომ.

ალექსეი მალაშენკოს აზრით, საქართველოში იზრდება გარეშე ფაქტორის როლი. აშშ-დან ფინანსური დახმარების შეწყვეტის პარალელურად, სახეზეა ამერიკის იმედგაცრუება შევარდნაძით. მაგრამ მათაც კი არ იციან, როგორ გადაჭრან ეს პრობლემა.

**"მე მეჩვენება, რომ საქართველო რუსეთის ამარა დატოვეს. პარლამენტში ადგილების შემცირება შევარდნაძისა და აბაშიძის მომხრეთა უმრავლესობის გარანტიაა. არსებობს სერიოზული ინფორმაცია, რომ ისინი შეეცდებიან შეცვალონ საქართველოს კონსტიტუციური მოწყობის მოდელი, შექმნან საპარლამენტო რესპუბლიკა და შევარდნაძე დატოვონ ხელისუფლებაში.**

**მე პირადად გაორებული ვარ. კარგია, რომ ხალხმა ხმა ამოიღო და ქუჩაში გამოვიდა. როცა მოსკოვში დამოუკიდებელი ტელეარხები დახურეს, ძაღლიც კი არ გამოსულა ჟურნალისტების დასაცავად. ამიტომ იმედი მაქვს, საქართველოში ამას ხალხი არ დაუშვებს. მაქვს შიშის გრძნობაც, რომ სამოქალაქო ომმა შეიძლება საქართველოს სახელმწიფო გააქროს. ამიტომ ეს საშიში ექსპერტიმენტია. სახეზეა საქართველოზე პასუხისმგებლობის რუსეთისათვის გადაბარების რეალობა. რა არის ეს: შევარდნაძის ტაქტიკა თუ ... მეჩვენება, რომ ეს მეზობელ ოთახში გადასვლის მანევრია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში მალაშენკომ.

## მოკლედ

### მაილსი სოროსს იცავს

მაილსი, როგორც წესი, კვირაში რამდენიმეჯერ ხვდება ქვეყნის მეთაურსა თუ სახელმწიფო მინისტრს. იგი პრეზიდენტთან მორიგ შეხვედრას გუშინ კვლავ სასარგებლოსა და ნაყოფიერს უწოდებდა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, შევარდნაძეს მაილსისგან 2 ნოემბრის არჩევნების შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასება არ მიუღია. ერთადერთი სიახლე იყო მაილსის ცნობა იმის თაობაზე, რომ დღეს თბილისს, ერთი დღით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ლინ პასკო ეწვევა. პასკო არჩევნების დროს არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციას პოლიტიკური პარტიების ლიდერებისაგან მოისმენს და თავად პრეზიდენტსაც შეხვდება.

გუშინ მაილსი, ერთგვარად, ჯორჯ სოროსის დამცველის როლშიც აღმოჩნდა, რომელსაც პოლიტიკაში გააქტიურების გამო, ბოლო ბრიფინგზე პრეზიდენტი შემოსწყრა. მაილსმა სოროსის მიერ სხვადასხვა ქვეყნებში დემოკრატიის და ეკონომიკის განვითარების მხრივ გაწეული ღვაწლი გაიხსენა და განმარტა, რომ სოროსი, უბრალოდ, საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო აღმოჩნდა ყურადღების ეპიცენტრში. სხვა მხრივ, ელჩი კვლავ იმეორებდა, რომ **"ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგი უნდა გაგრძელდეს და ყველაფერი მშვიდობიანი გზით გადაწყდეს."**

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ანტიკონსტიტუციურს უწოდებს პრეზიდენტის ინიციატივას, რომლითაც ის ახალი პარლამენტისგან მისთვის მინისტრების დანიშვნის უფლების მინიჭებას ითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტები" თბილისსა და რეგიონებში დღეს გამართული საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს ურჩევენ, რომ კანონმდებლობის შესაცვლელად პარლამენტში გამოხატონ თავიანთი პოზიცია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალში, ეუთო-ს ეგიდით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების სამუშაო ჯგუფების მორიგი, არაფორმალური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ხელოვნურად აფერხებს კონფლიქტის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ მოწესრიგებასთან დაკავშირებულ პროცესებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ერევანი.** დსთ-ს წევრი ქვეყნების კონვენცია დემოკრატიული არჩევნების სტანდარტების შესახებ უახლოეს დღეებში ძალაში შევა. ამის შესახებ რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრ ვეშნიაკოვმა განაცხადა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული (შრომის) პარტია" აცხადებს, რომ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერები ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია, ასევე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი უკმაყოფილო არიან, რომ "ლეიბორისტები" "ვერ ჩაითრიეს ძალაუფლების გადანაწილებისთვის დაწყებულ სამოქალაქო ომის გაჩაღების პროცესში და გეგმავენ ტერორისტულ აქტს პარტიის ოფისზე და პარტიის ხელმძღვანელ პირებზე". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „აღორძინების" მხარდამჭერებისთვის ჟვანია-სააკაშვილის გუნდის წევრები რუსთაველის გამზირზე მსვლელობისას საცხოვრებელი სახლებიდან ყვავილების ქოთნების დაშენას აპირებენ, რათა ეს აღქმულ იქნეს, როგორც თბილისელების პროტესტი ბათუმელების მიმართ, – განაცხადა დღეს ბათუმში საგანგებო ბრიფინგზე „აღორძინების" ერთ-ერთმა ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**საჩხერე.** გუშინ დილიდან საჩხერის რაიონში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით, ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. როგორც "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სანდრო თაბაგარმა განაცხადა, მოსახლეობა აქტიურობს და ამ დროისთვის თითქმის 400 ხელმოწერა უკვე არსებობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი მიხეილ უკლება აცხადებს, რომ ექვსთვიანი დუმილის შემდეგ საქართველო-რუსეთს შორის ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების განახლება ქვეყანაში მიმდინარე დაძაბულ პოლიტიკურ პროცესებს არ უკავშირდება. ჩარჩო-ხელშეკრულება მეგობრობის ხელშეკრულებაა და იგი ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობების განვითარებას ითვალისწინებს. უკლებას შეფასებით, მოსკოვში გამართულმა ექსპერტების მოლაპარაკების მე-8 რაუნდმა კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა და მხარეები სამხედრო-პოლიტიკური და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზეც შეთანხმდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანმა არჩევნებმა" უკვე დაასრულა მუშაობა საუბნო საარჩევნო კომისიების იმ ოქმებზე, რომლებშიც დაფიქსირებული მაჩვენებლები საოლქო ან ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში ამა თუ იმ პარტიის სასარგებლოდ შეიცვალა. ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ასეთი ოქმები რამდენიმე ასეულს აღემატება, მაგალითად კი სახელდება გლდანის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის ოქმი, რომელშიც სახელისუფლებო ბლოკისთვის მიცემული ხმების რაოდენობა იყო 63, ცესკო-ს ვებ-გვერდზე კი იმავე უბნიდან შესული ხმების რაოდენობის მაჩვენებლად 630 დაფიქსირდა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "მაინც მოვიცილებთ შევარდნაძეს!"

*ასე პასუხობენ ძალადობას უბრალო მოქალაქეები*

მაია მოსიაშვილი

*გუშინ, დღის 2 საათზე ჯერჯერობით დაუდგენელი დაჯგუფება, რომელიც 30-მდე კაცისაგან შედგებოდა, სასტიკად გაუსწორდა "ნაციონალური მოძრაობის" იმ აქტივისტებს, რომლებიც რუსთავში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებდნენ. გუშინ კიდევ ერთხელ ცხადი გახდა - თუ ხელისუფლება ოფიციალურად სიმშვიდისა და კეთილგონიერების განსახიერებაა, არაოფიციალურად ის, თავზეხელაღებული დაჯგუფებების ხელით, ლამის სასიკვდილოდ იმეტებს ადამიანებს.*

უცნობი მამაკაცების ჯგუფმა რუსთავის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, უამრავი ადამიანის თვალწინ სასტიკად სცემა "ნაციონალური მოძრაობის" ორ აქტივისტს და უბრალო გამვლელებს. **"თავდახრილი ვიყავი მაგიდასთან, ხელს ვაწერინებდი ერთ-ერთ მოქალაქეს, უცებ ვიღაცის ხელებმა ქაღალდები გადაყარა, ავიხედე. რას აწერთ ხელსო, მაგიდა ზედ გადმომატრიალეს, მერე დამცხეს, დამაწვინეს და მთელი ძალით ცემა დამიწყეს. ჩვენ ორნი ვიყავით, ისინი ოცამდე იქნებოდნენ, ერთი რვა კაცი მარტო მე მირტყამდა. ილია თანდილაშვილს ცხვირი გაუტეხეს. აი, სისხლს ხედავთ? ახლა საავადმყოფოშია,"** - განუცხადა "24 საათს" დაზარალებულმა ამირან ახალკაცმა.

**"რა უნდოდათ, ვერ გავიგე. ეგ ბიჭები აქ იდგნენ და წყნარად, ვისაც სურვილი ჰქონდა, ხელს აწერინებდნენ, ძალით კი არ აკეთებდნენ. საიდან მოცვივდა ის ხალხი, ვერც დავინახე, საშინელება იყო, ყველას ურტყამდნენ,"** - ამბობს თვითმხილველი ქალბატონი.

ამ ინციდენტამდე რამდენიმე წუთით ადრე იგივე დაჯგუფება მეგობრობის ქუჩა N41-ის ეზოში "ნაციონალური მოძრაობის" სხვა წევრებსაც დაესხა თავს. "ნაციონალებს" კორპუსის მაცხოვრებლები გამოესარჩლნენ. თავდამსხმელებმა მათაც დაუწყეს ცემა. ყვირილზე ყველა მაცხოვრებელი ეზოში შეიკრიბა. თვითმხილველები აცხადებენ, რომ პოლიცია და დაუდგენელი წარმოშობის დაჯგუფება შეთანხმებულად მოქმედებდნენ. მათი მტკიცებით, სწორედ ეზოში მდგარმა პოლიციელმა დაურეკა ვიღაცას და შეატყობინა, "ნაციონალები" აქ არიანო. აღშფოთებული ხალხი ამბობდა, რომ მათ ზოგიერთი თავდამსხმელი იცნეს კიდეც. **"ვინ უნდა ყოფილიყვნენ, სალაყაიას და მამალაძის ხალხი იყო... მაინც ვერ შეგვაშინებენ, მაინც გადავაგდებთ შევარდნაძეს,"** - ამბობდნენ ნანახით დაზაფრული ადამიანები. ამის შემდეგ მეგობრობის 41-ის ეზოში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას იმათაც კი მოაწერეს ხელი, ვინც ადრე ამას არ აპირებდა.

რა კავშირი აქვს მომხდარს უკვე გადეპუტატებულ გიორგი სალაყაიასთან? გუშინ, წინასწარ გამოცხადებული საყოველთაო დაუმორჩილებლობის მოლოდინში, სრული მობილიზაცია ჰქონდა გამოცხადებული არა პოლიციას, არამედ სალაყაიას შტაბს. დილიდან იქ უამრავი მამაკაცი იდგა. "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ მობილური სატელეფონო ზარის შემდეგ სალაყაიას შტაბის წინ შეკრებილი ადამიანები სასწრაფოდ მანქანებში ჩასხდნენ. სწორედ ისინი მივიდნენ მეგობრობის 41-ში და ჩხუბი ატეხეს.

ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს თავად გიორგი სალაყაია და კვლავ ყოფილი მოწინააღმდეგეების მხრიდან პროვოკაციაზე საუბრობს.

სალაყაია არ უარყოფს, რომ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ მის შტაბში ქალაქის პოლიციის უფროსი დავით მჭედლიშვილი იმყოფებოდა. **"ჩვენ სრულიად სხვა საკითხზე შევხვდით. პოლიციას ქალაქის მერია ხელფასებს არ აძლევს,"** - განაცხადა სალაყაიამ.

თავის მხრივ არც რუსთავის პოლიციის შეფი ამხელს, თუ რატომ ესტუმრა სალაყაიას. მისი ინფორმაციით, "ნაციონალი" აქტივისტების ცემის ფაქტზე, ჯერჯერობით, მოკვლევა მიმდინარეობს და საქმე არ აღძრულა. პოლიციას არ ჰყავს კონკრეტული ეჭვმიტანილები, მაგრამ არსებობს დაზარალებულების ჩვენებები და თავდამსხმელთა მანქანების ნომრები.

ძალიან საინტერესო დეტალი: დავით მჭედლიშვილი მეგობრობის 41-ე კორპუსში ცხოვრობს. გუშინ "დაუდგენელმა დაჯგუფებამ" მის მეზობლებსაც სცემა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პოლიციის შეფმა "24 საათს" განუცხადა, რომ არაფერი იცოდა საკუთარი ბინის ეზოში მომხდარი დარბევის თაობაზე. **"მე მხოლოდ ერთი ფაქტის შესახებ ვიცი, საიდანაც დაზარალებული საავადმყოფოში მიიყვანეს. სხვა ჩემთან არავინ მოსულა,"** - ამბობს ის.

დღეს "ნაციონალები" რუსთავის ცენტრალურ მოედანზე მასშტაბური საპროტესტო მიტინგის ჩატარებას გეგმავენ.

# მთავარი "დაუმორჩილებელი" რეგიონების მობილიზებას იწყებს

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა გულში შიში მაინც არ უნდა გაივლოს. **"თუ მაგას საკუთარი ხალხის ეშინია, მე თვითონ გამოვიყვან კანცელარიიდან. ყველაფერი მშვიდობიანად უნდა მოხდეს, შევარდნაძეს ერთი თმაც არ უნდა ჩამოუვარდეს,"** – კიდევ უფრო დაამედა სააკაშვილმა შევარდნაძე.

გუშინდელ ინტერვიუში პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ ხატოვან ფრაზაზე - "მანამ არ აგიდგეთ გვერდები, სანამ მე არ გადავდგები" - სააკაშვილს ბევრი უფიქრია. **"შევარდნაძის ბრიფინგს ძალიან ბევრი უცხოელი ჟურნალისტი ესწრებოდა, წარმოიდგინეთ თავი მათ მდგომარეობაში... ორი ენა ვიცი, ფრანგული და ინგლისური, ვერც ერთ ენაზე ვერ ვთარგმნე სიტყვა "გვერდები"...** – მოუბოდიშა სააკაშვილმა უცხოურ პრესას. და საერთოდაც, მისი თქმით, **"ქვეყანაში შექმნილი ვითარება უკვე ისეთ ფაზაში შევიდა, რომ შევარდნაძის გადასაწყვეტი არ არის, ის გადადგება თუ არა. ეს ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს."**

სააკაშვილმა კომენტარი "აღორძინების" მიერ დღეისთვის დაგეგმილ "გრანდიოზულ" ღონისძიებასთან დაკავშირებითაც გააკეთა. მისი ინფორმაციით, აბაშიძემ თბილისში, დაახლოებით, 1500-2000 სამოქალაქო ფორმაში გადაცმული "პოლიცაი" გამოაგზავნა, რომლებიც ფილარმონიასთან აპირებენ დაბანაკებას. **"მე მოვუწოდებ ყველა თბილისელს: დავდგეთ ერთად და გავყაროთ ასლანის მიერ დაგეშილი პოლიცაები. მათ თბილისში არაფერი ესაქმებათ, ისევე, როგორც ბათუმში,"** – აცხადებს სააკაშვილი.



*"თუ მაგას საკუთარი ხალხის ეშინია, მე თვითონ გამოვიყვან კანცელარიიდან".*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

რაც შეეხება შემდგომი მოლაპარაკებებისთვის პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრას, სააკაშვილი აცხადებს, რომ შევარდნაძეს მხოლოდ მაშინ შეხვდება, როცა იგი კანცელარიის საბოლოოდ დატოვებას გადაწყვეტს.

# ქუთაისი საპროტესტო აქციებმა მოიცვა

პირველი გვერდიდან

და მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობა". "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენელი გია თევდორაძე აცხადებს, რომ ქუთაისში შევარდნაძის კლანის პარპაშს არ დაუშვებს. შტაბი პრეზიდენტთან ერთად რწმუნებულის, თეიმურაზ შაშიაშვილის გადადგომას მოითხოვს. აღნიშნულ მოთხოვნას შაშიაშვილი სასაცილოს უწოდებს და თავის მხრივ ხელისუფლებას ოპოზიციასთან მოლაპარაკებების გეგმის მისეულ ვარიანტს სთავაზობს. თუმცა ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ...

გუშინ დღის თერთმეტი საათი ქუთაისშიც ავტომობილების საყვირების ფონზე დადგა. "კმარას" აქტივისტებმა, სიმბოლურად რამდენიმე წუთით მერიის წინ მდებარე ქუჩა გადაკეტეს. ძირითადი აქცია კი, დაახლოებით, თორმეტი საათისთვის დაიწყო.

**"ის, რაც მოხდა 2 ნოემბრის არჩევნებში, ქართველი ხალხის ეგზეკუციაა. ჩვენ მშვიდობიანი აქციის ფარგლებში ვაპირებთ პროტესტის დაფიქსირებას. ქუთაისის შტაბი მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს, ხელისუფლებას ხალხის განწყობა აჩვენოს. მოვითხოვთ საქართველოს პრეზიდენტისა და პრეზიდენტის რწმუნებულის თემურ შაშიაშვილის გადადგომას. რწმუნებულიც იმ ხელისუფლების შემადგენელი ნაწილია, რასაც შევარდნაძის რეჟიმი ჰქვია,"** - აცხადებდნენ დაუმორჩილებლობის შტაბის წევრები.

თავდაპირველად ქუთაისის მერიის წინ "ნაციონალები" დაბანაკდნენ, შემდეგ მათ "ბურჯანაძე-დემოკრატები" შეუერთდნენ, სულ ბოლოს კი აქციაზე "კმარას" აქტივისტები და ქუთაისის სტუდენტობის ნაწილი გამოჩნდა. საბოლოოდ, აქციაზე 1000-მდე ადამიანმა მოიყარა თავი.

**"ჩვენი ერთადერთი მოთხოვნა შევარდნაძის გადადგომაა, ეს ავტომატურად გულისხმობს პატარა შევარდნაძეების წასვლასაც. ამ ხელისუფლების ფუჭი და უნამუსო დაპირებებისაგან ხალხი გაუბედურდა და დაიღალა. ახლა კი შევარდნაძე "მაოხრებელ გზირს" დაემსგავსა და აბაშიძეს უპირებს მემკვიდრედ დატოვებას, ამას კი საქართველო აღარ მოითმენს, ძირს შევარდნაძე და მისი კლანი!"** - გაჰყვიროდნენ მომიტინგეები. მოგვიანებით მათ "ნაციონალებისა" და "კმარას" ერთი ჯგუფი გამოეყო და "აღორძინების" ოფისთან აჭარაში დაპატიმრებული "სამართლიანი არჩევნების" ქუთაისელი დამკვირვებლის, გიორგი მშვენიერაძის გათავისუფლება მოითხოვეს. შემდეგ კი პოლიციის სამხარეო სამმართველოს წინ მივიდნენ და პოლიციელებს "შევარდნაძის ბინძურ პოლიტიკაში" ჩარევისგან თავის შეკავება ურჩიეს, რასაც პასუხად სამართალდამცავებისგან შენობაში "მიპატიჟება" და "ნაციონალების" ადგილობრივი ლიდერის და "კმარას" აქტივისტების ცემა მოჰყვა.

ამავე პერიოდში მერიასთან დარჩენილმა მომიტინგეებმა საავტომობილო გზა გადაკეტეს. მიტინგმა ნახევარ დღეს გასტანა და ამ პერიოდში ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მოძრაობა პარალიზებული იყო.

სამხარეო ადმინისტრაციაში კი რწმუნებულმა თემურ შაშიაშვილმა პრესკონფერენცია გამართა. მან ხელისუფლებას და ოპოზიციას მოლაპარაკების საკუთარი გეგმა შესთავაზა. შაშიაშვილის აზრით, ახალმა პარლამენტმა მუშაობა უნდა დაიწყოს, იმავდროულად კი შევარდნაძემ მთავრობა სრული შემადგენლობით უნდა გადააყენოს, მათ შორის - გამგებლები, მერები და რწუნებულები. შემდეგ პრეზიდენტმა ახალი კოალიციური მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოს. მომავალ წელს კი, შაშიაშვილის განმარტებით, პრეზიდენტის არჩევნებთან ერთად, საპარლამენტო არჩევნებიც უნდა დაინიშნოს.

ოპოზიცის მხრიდან დაყენებულ მისი გადაყენების მოთხოვნას კი რწმუნებული შემდეგ კომენტარს უკეთებს: "მე სასაცილოდ მიმაჩნია ვინმეს გადაყენება-გადმოყენებაზე საუბარი. ნეტა ვინმე წინ დამიდგებოდეს... დღეს ქვეყნის მთავარი მიზანია, რომ ახალი პარლამენტი შედგეს."

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ქუთაისის შტაბი საპროტესტო აქციებს დღესაც გააგრძელებს.

# სასამართლომ ცესკო-ს დადგენილება უკანონოდ ცნო

პირველი გვერდიდან

გუშინ, დღის პირველ ნახევარში უკვე არსებობდა კულუარული ინფორმაცია, რომლის თანახმად, საარჩევნო ბარიერი, მინიმუმ, ექვს სუბიექტს ჰქონდა გადალახული – სახელისუფლებო ბლოკს, "აღორძინებას", "ნაციონალურ მოძრაობას" "ლეიბორისტულ პარტიას", "ბურჯანაძე-დემოკრატებსა" და "ახალ მემარჯვენეებს". საუბრობდნენ, აგრეთვე, "მრეწველებზეც", თუმცა სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები სინანულით აღნიშნავდნენ, რომ, მათი დიდი სურვილის მიუხედავად, თოფაძის გუნდის პარლამენტში შესვლა ნაკლებად სავარაუდოა.

ამასთან, გუშინ კვლავ მკაცრად იყო გასაიდუმლოებული ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა. თუმცა, ცესკო-ში აცხადებდნენ, რომ რიცხვი უკვე დადგენილი იყო. "ლეიბორისტებისა" და "ნაციონალების" მტკიცებით, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები ამ რიცხვს საიდუმლოდ მხოლოდ ერთი მიზეზის გამო ინახავდნენ – სახელისუფლებო ბლოკის კულუარებში ინტენსიურად მიმდინარეობდა ხმების მომძე პარტიებზე გადანაწილების პროცესი.

საკმაოდ რთულია იმის თქმა, როგორ განვითარდება მოვლენები სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ. საქმე ის არის, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ, "ნაციონალური მოძრაობის", "ბურჯანაძე-დემოკრატების", "ლეიბორისტებისა" და "სამართლიანი არჩევნების" მიერ შეტანილი სარჩელის განხილვისას, მათი საჩივარი სამართლიანად ცნო და გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული ის დადგენილება, რომლის თანახმადაც, ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მხოლოდ იმ ხმებით განისაზღვრებოდა, რომელიც ამა თუ იმ პარტიამ მოიპოვა. ხოლო ის ამომრჩევლები, რომელთაც ხმა არცერთ პარტიას არ მისცეს, საერთო რაოდენობაში არ ჩაითვლებოდნენ.

**"სასამართლომ სწორი და მართებული გადაწყვეტილება გამოიტანა, რადგან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ხელოვნურად დაბლა სწევდა შვიდპროცენტიან საარჩევნო ბარიერს, რითაც ცესკო ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას ხელოვნურად უქმნიდა საარჩევნო ბარიერის გადალახვის საშუალებას,"** – ასეთი განცხადება გააკეთა "ლეიბორისტთა" ერთ-ერთმა ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ, რომელმაც არ დაიზარა და, სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, თავად მივიდა ცესკო-ში, რათა ცესკო-ს ხელმძღვანელობისთვის ეს სიახლე ემცნო.



*"საბოლოო ოქმის შედგენა სასამართლოს გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული", - ასეთ კომენტარს აკეთებენ ცესკო-ში.*

ირაკლი ლაზარიშვილის ფოტო

კმაყოფილები ჩანდნენ "ნაციონალური მოძრაობისა" და "დემოკრატების" წარმომადგენლები. სულ მალე კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ გადაწყვეტილების წყალობით, შვიდპროცენტიან ბარიერს მიღმა შეიძლება აღმოჩენილიყვნენ არათუ "მრეწველები", არამედ "ახალი მემარჯვენეებიც", თუმცა თავად "ახლები" აცხადებენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მათ **"ბარიერი გადალახული აქვთ და სანერვიულო არაფერია."**

საგულისხმოა, რომ როგორც გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგებს კანონით დადგენილ ვადებში დაამტკიცებს. ცესკო-ს იურიდიული სამსახურის უფროსის კახა კახიშვილის განცხადებით, **"თბილისის საოლქო და უზენაეს სასამართლოებში არჩევნებთან დაკავშირებული პროცესების დასრულებისთანავე, ცესკო საბოლოო შემაჯამებელ ოქმს ხელს მოაწერს და შედეგები ოფიციალურად 20 ნოემბრამდე თუ არა, 20-ში აუცილებლად გამოქვეყნდება".**

**"ცესკო-ს კომპიუტერულ ბაზაზე არჩევნების საერთო მონაცემები 2.870-ვე საარჩევნო უბნიდან აქვს, მაგრამ საბოლოო ოქმის შედგენა სასამართლოს გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული",** – ასეთ კომენტარს აკეთებენ ცესკო-ს იურისტები.

და ბოლოს: ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის პირველ სართულზე ჟვანია-სააკაშვილის მხარდამჭერთა საპროტესტო აქციას გუშინ "დემოკრატების" წევრი ელენე თევდორაძეც შეუერთდა. როგორც ცნობილია, მჯდომარე აქციის მონაწილეები ერთმანეთს მორიგეობით ენაცვლებიან.

# თელავი დაუმორჩილებლობას აცხადებს

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

მიმდინარე სამუშაო კვირა კახეთის რეგიონში საპროტესტო აქციებით დაიწყო. გუშინ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ჩაიშალა. პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს და შემდეგ თელავის გამგეობის წინ შეიკრიბნენ.

**"ჩვენი აქცია მიზნად ისახავს ოპოზიციის მხარდაჭერას. დღეიდან სახელმწიფოს დაუმორჩილებლობას ვუცხადებთ,"** - ამბობს უნივერსიტეტის ლექტორი ელდინა ჯანგულაშვილი. აქციას "ნაციონალური მოძრაობის" წევრებიც შეუერთდნენ. თუმცა მანამდე მეზვრიშვილთან დაპირისპირებული თელაველების დეპუტატი თამაზ ხიდაშელი კახეთის პრეზიდენტის რწმუნებულს ბიძინა სონღულაშვილს შეხვდა. საუბარი უშედეგოდ დასრულდა.

**"თამაზ ხიდაშელი კატეგორიულად მოითხოვს ქალბატონ მედეას გადადგომას. ეს საკითხი კი, ჯერჯერობით, განხილვის საგანია. ცნობისათვის, მედეა მეზვრიშვილმა განცხადება გადადგომის შესახებ 3 ნოემბერს დაწერა,"** - აცხადებს სონღულაშვილი. თამაზ ხიდაშელი კი პოზიციას არ იცვლის და მედეა მეზვრიშვილს კარის აჭედვით ემუქრება. **"კახეთმა გაიღვიძა. არ დავუშვებთ მაგ ბინძური ქალის შეშვებას კაბინეტში,"** - ამბობს ხიდაშელი.

უნდა აღინიშნოს, რომ გუშინ მთელი დღის განმავლობაში თელავის გამგებელი რაიონში არ ყოფილა. გავრცელებული ინფორმაციით, მან შვებულება აიღო და თბილისში გაემგზავრა. "24 საათის" სანდო წყარო კი ირწმუნება, რომ მედეა მეზვრიშვილი გუშინ პრეზიდენტს შეხვდა. შეხვედრის დეტალებზე, ჯერჯერობით, არ საუბრობენ. მეზვრიშვილი რომ მართლა თბილისში იყო, მან ჩვენთან სატელეფონო საუბარში დაადასტურა. **"რა გინდათ, რატო თავს არ დამანებებთ! მე არსად არ მივდივარ! ახლა თბილისში საქმეზე ვარ. გიჟებთან კიდევ საქმე არა მაქვს,"** - გვითხრა მეზვრიშვილმა.

დღეიდან თელაველი სტუდენტების გამოსვლები მასობრივ ხასიათს მიიღებს.

# დაუმორჩილებლობა

## თბილისი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი დაუმორჩილებლობას უცხადებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და "სტუდენტური დაუმორჩილებლობის კომიტეტს" ქმნის. კომიტეტი, რომელიც ოპოზიციურად განწყობილ 200-მდე სტუდენტს აერთიანებს, მიზნად ისახავს, "ნებისმიერი ფორმით წინააღმდეგობა გაუწიოს" ადმინისტრაციის აკრძალვებს. კომიტეტის თავმჯდომარის, დავით მესხიშვილის განმარტებით, სტუდენტთა იმ ნაწილს, რომელიც აქტიურად აფიქსირებს თავის ოპოზიციურ განწყობას, ადმინისტრაციამ უნივერსიტეტის შენობაში პრესკონფერენციების, შეხვედრებისა და სხვა სახის ღონისძიებების გამართვა აუკრძალა. მესხიშვილის მტკიცებით, ადმინისტრაციის მხრიდან ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტიდან გარიცხვისა და კურსზე დატოვების მუქარას. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტუდენტთა დაუმორჩილებლობის აქცია არ ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ჩაშლას და ლექციების იგნორირებას.

გუშინ დილიდან ოპოზიციური პარტიების ინიციატივას საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის შესახებ მხარი დაუჭირეს 126-ე საშუალო სკოლის პედაგოგებმა და გაკვეთილების ჩატარებაზე უარი განაცხადეს.

## ახალციხე

გუშინ დილით ახალციხის რაიონის საშუალო სკოლის პედაგოგებმა სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ გაფიცვა მოაწყვეს. ისინი უერთდებიან საქართველოში მიმდინარე დაუმორჩილებლობის აქციას და მოითხოვენ პრეზიდენტის გადადგომას. აქციის მონაწილეთა განცხადებით, წინა საპარლამენტო არჩევნებს მათი ხუთი თვის ხელფასი შეეწირა. დღეს ისინი სამი თვის გაუცემელ და გაყინულ ხელფასს ელოდებიან. პედაგოგები ბოიკოტს უცხადებენ მთავრობას. მსგავსი აქციები ყოველდღიურ ხასიათს მიიღებს, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. განათლების განყოფილების გამგემ ნანა იოსელიანმა პედაგოგებს მოუწოდა, შეწყვიტონ ღია აქცია და შეკრება გამგეობის შენობაში გააგრძელონ, რაზეც მასწავლებლებმა მტკიცე უარი განაცხადეს. რაც შეეხება გუბერნატორს, მან გუშინ გამართულ ორშაბათის ტრადიცულ თათბირზე პროკურატურის თანამშრომლებს მოუწოდა, დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობას სამართლებრივი შეფასება მიეცეს და კანონის ფარგლებში იმოქმედონ. გუშინვე აქციის მონაწილეებს შეუერთდნენ "ბურჯანაძე-დემოკრატების", "ნაციონალური მოძრაობისა" და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სტუდენტები, ერთადერთი მოთხოვნით - გადადგეს შევარდნაძე.

## ზუგდიდი

ზუგდიდში სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციას გუშინ 12.00 საათისთვის შეუერთდნენ ზუგდიდის დამოუკიდებელი ინსტიტუტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის სტუდენტები. 500-მდე სტუდენტმა ტრანსპარანტებითა და დროშების ფრიალით გაიარა ქალაქის ცენტრალური ნაწილი. მსვლელობას თან ახლდა სკანდირება: "გადადექი, წადი!" ამ მოთხოვნებით ისინი შეუერთდნენ საპროტესტო აქციის მონაწილეებს, რომლებიც, თავის მხრივ, მათ ოვაციით შეხვდნენ.

*ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი*

# კომპანია "რუსთავი 2"-ის მიმართ განხორციელებული ბოიკოტის გამო

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედ ყველა სატელევიზიო კომპანიას გააჩნია თავისი ვებ-საიტი, "რუსთავი 2" მათ შორის ერთადერთია, რომელიც წლების განმავლობაში ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მილიონზე მეტ ქართველს პირდაპირ ეთერსა და ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემის ("კურიერი 9 საათზე") ჩანაწერს სთავაზობს. მისი გადაცემების ნახვა, ასევე, შესაძლებელია სატელიტური ტელემაუწყებლობის აბონენტთათვის, თუმცა ქართული ემიგრაციის ძირითადი საინფორმაციო საშუალება მაინც ინტერნეტია. საიტი აქვს აგრეთვე პირველ არხს, თუმცა მისი არსებობა მხოლოდ სიმბოლურია, რადგან თითქმის არასოდეს არ ფუნქციონირებს. აჭარის ტელევიზია, რომელიც ასევე წარმოდგენილია თავისი ინფორმაციული გადაცემით ინტერნეტზე, სამწუხაროდ 70-იანი წლების "ვრემიას" შთაბეჭდილებას ტოვებს.

"რუსთავი 2"-ის გადაცემების კონცეფციასა და ხარისხთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობაზე რომ არ ვილაპარაკოთ, ათი ათასობით საქართველოს მოქალაქისათვის, მათ შორის მათთვის, ვისთვისაც სამუდამო მისტიკად დარჩა უცხოეთის ქვეყნებში მოწყობილი არჩევნები, ეს არხი ერთადერთია, რომელიც საშუალებას იძლევა უშუალოდ, პირდაპირ ეთერით ადევნონ თვალი არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესს, არა მარტო ბრალდებებს, არამედ პასუხებს ამ ბრალდებებზე. სამთავრობო ბლოკისა და ზოგიერთი სხვა პარტიის მიერ "რუსთავი 2"-ის ბლოკადამ პრაქტიკულად ყველანაირი საშუალება მოუსპო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მის მოქალაქეებსა და ეთნიკურ ქართველებს, ალტერნატიული ინფორმაციის მიღებისა. ცესკო-ს მიერ ამ არხისათვის აკრედიტაციის გაუქმება კი, ჩვენი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა მორიგი სილა იმ ამომრჩევლებზე, რომლებსაც პირველი სილა 2 ნოემბერს გააწნეს პარიზის, ლონდონის, მოსკოვისა და სხვა ქალაქების საარჩევნო უბნებზე.

ალტერნატიული აზრის გაქრობა "რუსთავი 2"-ის ეთერიდან, საქართველოს მოქალაქეთა უცხოეთში მცხოვრები ნაწილისათვის ნამდვილად ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ასეთი აზრი უბრალოდ არ არსებობს. ამ ნაწილს უფლება აქვს, იყოს ინფორმირებული იმ ხმების შესახებ, რომლებიც მათ მისცეს ან ვერ მისცეს ხელისუფლების მიერ მოვალეობის ცუდად შესრულების გამო. მათ სურთ იყვნენ ინფორმირებულნი უშუალოდ ხელისუფლებისა და ცესკო-ს ხელმძღვანელობისაგან, თუნდაც იმ არხის საშუალებით, რომელთანაც მათ მკვეთრი პრეტენზიები აქვთ. ხელისუფლებას არა აქვს უფლება, შუამავალთან, ამ შემთხვევაში "რუსთავი 2"-თან, ბავშვივით გაბუტვის გამო, ინფორმაციულ ბლოკადაში ამყოფოს თავისი მოქალაქეების დიდი ნაწილი.

*პაატა ქურდაძე*
*დევი გვახარია*
*პარიზი*

# გაძვირდება თუ არა პური

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, საქართველოში, ყველა სახის პურის ფასი გაიზარდა. 500-გრამიანი პური 10 თეთრით გაძვირდა. მეწარმეები, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, პურის ფასების შესაძლო ზრდას არ გამორიცხავენ. როგორც პურის მცხობელთა კავშირის პრეზიდენტმა ბიჭიკო კვინიხიძემ განაცხადა - შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას საკუთარი მცირე საწარმო უკვე კარგა ხანია გაჩერებული აქვს. პურის ბაზარზე ვითარების სტაბილიზების ერთ-ერთ მექანიზმად მეწარმეები 50 ათასი ტონა ამერიკული ხორბლის მისაღებ ფასებში რეალიზაციას ასახელებენ. ნავთობპროდუქტებისა და მარცვლეულის ბირჟაზე ხორბლის პირველი პარტია - 3 120 ტონა უკვე გაიყიდა. ბირჟის დირექტორი თეიმურაზ ხორხომელიძე აცხადებს, რომ ხორბლის სარეალიზაციო ფასი 200 დოლარზე ნაკლებია. მისივე აზრით, ამერიკული ხორბლის გაყიდვა პურის ფასების ზრდას შეაჩერებს, თუმცა ფასის შემცირება ნაკლებად სავარაუდოა. მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი გზა – საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა და ხორბლის იმპორტის დღგ-სგან გათავისუფლებაა. კანონპროექტი უკვე მომზადებულია, მაგრამ პარლამენტმა მისი მიღება ვერ მოახერხა, ამიტომ ამ კანონპროექტის განხილვა და მიღება ახალი პარლამენტისთვის გადაუდებელ საქმედ უნდა იქცეს.

*მედია-ნიუსი*

# სომხეთის ეკონომიკურ წარმატებებზე რუსეთმა უნდა იზრუნოს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელმა ხორსტ კელერმა რუსეთის მთავრობას შესთავაზა, თავის თავზე აიღოს სომხეთისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ეკონომიკის აქტივიზაცია. კელერმა მაღალი შეფასება მისცა რუსეთის საქმიანობას პოსტსაბჭოთა სივრცეში და განაცხადა, რომ მოგვიანებით სსფ-ს შესაბამის განყოფილებას დაავალებს, მოამზადოს გარკვეული გარანტიები სომხეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკური ზრდისთვის. ამ დოკუმენტებს სსფ რუსეთის მთავრობას გადასცემს.

*მედია-ნიუსი*

# "შელი" და "ტოტალი" საუდის არაბეთის გაზს აითვისებენ

საუდის არაბეთის გაზის მარაგის ათვისების თაობაზე ორმა ნავთობგიგანტმა - "შელმა" და "ტოტალმა" ხელშეკრულება გააფორმა. საუდის არაბეთის ენერგოსექტორის ნაციონალიზაციის, ანუ 1975 წლის შემდეგ ეს ორი კომპანია პირველი არის, რომელმაც ეს უფლება შეიძინა. საუდის არაბეთი ნავთობის მოპოვების მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ხოლო გაზის მოპოვებაში, სავარაუდოდ, მეოთხე ადგილს დაიკავებს. "შელი" (40 პროცენტი) და "ტოტალი" (30 პროცენტი) ნავთობის ადგილობრივ კომპანია "არამკოსთან" (30 პროცენტი) ერთობლივად იმუშავებენ. ოცდახუთწლიანი პროექტის მიზანია გაზის საბადოების შესწავლა და მისი მოპოვება ქვეყნის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე ვრცელი ტერიტორიებიდან.

# მსოფლიოში უდიდესი ბრილიანტი რუსმა 100 მილიონ დოლარად იყიდა

მსოფლიოში უდიდესი ბრილიანტი, რომელიც სალონ "მერკური"-ში იყო გამოფენილი, ინკოგნიტო რუსმა 100 მილიონ დოლარად იყიდა. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ეს პიროვნება ლონდონში ცხოვრობს, ხოლო ბრილიანტი უკვე მოსკოვში გაიგზავნა. ეს ქვა ბრილიანტის ყელსაბამს ამშვენებს. როგორც გამოფენის სხვა ექსპონატები, ისიც გამჭვირვალე ყუთშია მოთავსებული. 70,39 კარატის სიდიდის წვეთის ფორმის, დაწახნაგებული ბრილიანტი ნაკლებად ძვირფასი თეთრი და ყვითელი, უფრო ძვირად ღირებული ცისფერი ბრილიანტებისგან იმით განსხვავდება, რომ მას ოდნავ დაჰკრავს ვარდისფერი. სწორედ ამ ბუნებრივი განსაკუთრებულობის გამო ქვის ერთი კარატი 1,6 მილიონ დოლარადაა შეფასებული, ხოლო მისი საერთო ღირებულება 100 მილიონ დოლარს აღწევს.

# ევროზონის გიგანტებში ეკონომიკური აღმავლობა შეინიშნება

ადამ მჭედლიძე

ევროზონის ორ უდიდეს ქვეყანაში – საფრანგეთსა და გერმანიაში – ეკონომიკური ზრდის ტენდენცია შეინიშნება. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ორივე სახელმწიფოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა დაფიქსირდა. გერმანიაში ამ მაჩვენებელმა 0,2 პროცენტი შეადგინა, რაც ამ ქვეყანაში გამეფებული კრიზისის გათვალისწინებით, ურიგო მაჩვენებელი არაა. ასეთივე მაჩვენებელი დაფიქსირდა საფრანგეთშიც, რისი წყალობითაც ეს ქვეყანა რეცესიას გადაურჩა. რაც შეეხება გერმანიას, აქ მთელი წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას ჰქონდა ადგილი და, აქედან გამომდინარე, ეს ქვეყანა რეცესიაში უკვე იმყოფებოდა.

ამ დამაიმედებელ ინფორმაციას დაემატა ანალოგიური ხასიათის ცნობები ჰოლანდიიდან, სადაც ზრდამ 0.1 პროცენტი შეადგინა. ცხადია, ეს სასაცილო მონაცემებია აშშ-ს ბოლოდროინდელ ზრდის მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჰოლანდია ცხრათვიან რეცესიაში იმყოფებოდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარმა მიზერულმა ზრდამაც კი სპეციალისტებს იმედები ჩაუსახა.

ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი მაინც გერმანიაში დაფიქსირებული ზრდა იყო, რადგან ამ ქვეყანაში, პრაქტიკულად, ყველა სპეციალისტი რეცესიის გაგრძელებას ვარაუდობდა. ამის საპირისპიროდ გაიზარდა გერმანიის სავაჭრო ბალანსი, აიწია საქმიანი რწმენისა და აქტივობის ინდექსმა და, გარკვეულწილად, შემცირდა უმუშევრობის მაჩვენებელიც.

ვითარება, ალბათ, უფრო უკეთესიც იქნებოდა, რომ არა ევროკავშირის ნორმებით გათვალისწინებული ზედა ზღვარი საბიუჯეტო დეფიციტისათვის. ევროზონის ქვეყნებში დეფიციტი 3 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. არადა, ბევრი გამოჩენილი ეკონომისტის აზრით, როცა ქვეყანა რეცესიაშია, ეკონომიკის სტიმულირებისათვის ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა სრულიად დასაშვებია. გერმანიაშიც და საფრანგეთშიც დეფიციტები 3-პროცენტიან ზღვარს ოდნავ გადასცდა და ამის გამო ორივე ქვეყანა ევროკავშირის მხრიდან სანქციების საშიშროების წინაშე დადგა, რის გამოც დეფიციტის შემდგომი ზრდა და ნასესხები ფულით ეკონომიკის სტიმულირება გამოირიცხა.

გერმანიაში კანცლერი შრიოდერი სტიმულირებისათვის გადასახადების შემცირების რეფორმას ამზადებს, თუმცა ოპოზიცია, ჯერჯერობით, ამ პროგრამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება, რადგან გადასახადების შემცირება ისევ და ისევ ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ხარჯზე უნდა მოხდეს. აქედან გამომდინარე, შრიოდერს, ალბათ, სხვა გზების ძებნა მოუწევს.

გერმანიაზე, საფრანგეთსა და იტალიაზე მთელი ევროზონის ეკონომიკის 70 პროცენტი მოდის. აქედან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი მონაცემები ერთობ დამაიმედებელია. თუმცა, ჯერჯერობით, ეს არ ნიშნავს, რომ ძველმა კონტინენტმა სიძნელეები ბოლომდე გადალახა.

# ბიზნესი ამერიკულად

მაია ურუშაძე

*მეშვიდე წელია, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიუროს დაფინანსებითა და პროექტ "ჰარმონიას" ეგიდით, ქართველ ბიზნესმენთა და პროფესიონალ მუშაკთა 10-10-კაციანი ჯგუფები შეერთებულ შტატებში ხუთკვირიან სტაჟირებას გადიან. დღეისათვის ამ პროგრამის ფარგლებში "მუშაობის ამერიკულ სტილს" უკვე 500 ქართველი ბიზნესმენი თუ სხვადასხვა დარგის პროფესიონალი გაეცნო.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*აშშ საელჩოს პრესისა და კულტურის ატაშემ როვინა კროს-ნაჯაფმა, მისმა თანაშემწემ სოფო ბზიშვილმა და ამერიკული პროგრამის დირექტორის მოადგილემ ბერდია ნაცვლიშვილმა პროექტი საზოგადოებას წარუდგინეს.*

გუშინ "შერატონ მეტეხი-პალასში" აშშ-ს საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ და ამერიკულმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ აშშ-ში ქართველ ბიზნესმენთა სტაჟირების პროგრამას საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნეს. როგორც პროგრამის დირექტორის მოადგილემ ბერდია ნაცვლიშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, წელს აშშ-ში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა (მერები), ხელოვნების მენეჯერთა (თეატრებისა და მუზეუმების დირექტორები), რძისა და რძის პროდუქციის მეწარმე-გადამამუშავებელთა, უნივერსიტეტების რექტორთა პროფესიონალური ჯგუფებისა და ორი ბიზნესჯგუფის გაგზავნაა დაგეგმილი. ბიზნესჯგუფებიდან ერთში ფოთსა და ბათუმში მოღვაწე ბიზნესმენები შევლენ, ხოლო მეორეში – თბილისელი მეწარმეები.

**"პროგრამის მიზანია, ქართველი მეწარმეები და სხვადასხვა დარგის პროფესიონალები ამერიკულ ბიზნესს თუ პროფესიულ გარემოს გაეცნონ. ხუთკვირიანი სტაჟირება მათ ორი ქვეყნის კერძო თუ ოფიციალურ სექტორებს შორის ურთიერთობის განმტკიცებაში დაეხმარება. ბიზნესმენები, რომლებმაც სტაჟირება უკვე გაიარეს, დღეს წარმატებით საქმიანობენ საქართველოში,"** – აცხადებს "ჰარმონიას" წარმომადგენელი, პროგრამის დირექტორის მოადგილე ბერდია ნაცვლიშვილი.

ჯგუფების შერჩევას ახორციელებს პროექტი "ჰარმონია". კონკურსში მონაწილეებს, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური ენის სასაუბრო დონეზე ცოდნა მოეთხოვებათ, რადგან შეერთებულ შტატებში მათ ამერიკულ ოჯახებში ცხოვრება და ამერიკულ ორგანიზაციებში მუშაობა მოუწევთ. გარდა ამისა, კონკურსანტები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ საქართველოში (ბიზნესში – საპასუხისმგებლო თანამდებობაზე) და არ უნდა ჰქონდეთ მიღებული მონაწილეობა "მწვანე ბარათის" გათამაშებაში.

# ლარის კურსი სტაბილურია

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,1900 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარის კურსი თავის სტაბილურ მდგომარეობას დაუბრუნდა და ატეხილი აჟიოტაჟი ქართული ეროვნული ვალუტის კურსის კატასტროფული ვარდნის შესახებ გადაჭარბებულია. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო სამმართველოს უფროსის კახა სეხნიაშვილის განცხადებით, უბრალოდ, პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე მოსახლეობაში უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა გაიზარდა - ხალხი დაგროვილი ლარებით დოლარს ყიდულობდა. მისივე თქმით, ასეთი პროცესი საგანგაშო არ არის და ადვილად რეგულირდება.

სებ-ის მიერ მოხერხდა მიმოქცევაში მყოფი ლარის მასის შემცირება, გაცვლითი კურსის შესაბამისად აღდგა დოლარისა და ლარის თანაფარდობა, შედეგად კი ლარის კურსმა უკუსვლა დაიწყო. კახა სეხნიაშვილის თქმით, განგაშის არც საბაბი და არც პირობები არ არსებობს, რადგან ეროვნული ვალუტის კურსი სტაბილურია.

*24 საათი*

# დედაქალაქის გაზმომარაგების სისტემაში ცვლილებები იგეგმება

## 1 იანვრიდან თბილისის მოსახლეობა მოხმარებული გაზის საფასურს ბანკებში გადაიხდის

*დეკემბრის დასაწყისში "თბილგაზის" მმართველ ამხანაგობა "ახალ მენეჯმენტსა" და "გაზპრომის" შვილობილ "გაზექსპორტს" შორის გაფორმდება ოფიციალური ხელშეკრულება თბილისისათვის გაზის მოწოდების თაობაზე. მანამდე კი, გუშინ, "ახალმა მენეჯმენტსა" და "გაზექსპორტს" შორის შეთანხმება წერილობით, ფაქსის დახმარებით გაფორმდა. ამ ხელშეკრულების თანახმად, თბილისი "გაზექსპორტის" გაზით, ჯერჯერობით, 31 დეკემბრამდე მომარაგდება და ათასი კუბური მეტრი ცისფერი სათბობი ძველი ფასი – 60 დოლარი ეღირება. "თბილისს "იტერა" გაზს აღარ მოაწვდის," - აცხადებენ დღეს "თბილგაზში" და განმარტავენ, რომ "გაზექსპორტი" დედაქალაქს იმდენ გაზს მოაწვდის, რამდენიც საჭირო იქნება. მოხმარებული გაზის თანხების გასტუმრება ყოველი მომდევნო თვის შუა პერიოდში - 15-დან 20 რიცხვამდე მოხდება.*

მაია ურუშაძე

"ახალ მენეჯმენტში" იმედოვნებენ, რომ მალე "გაზექსპორტისთვის" თანხების გადახდა არ გაუჭირდებათ. **"მანამდე, სანამ დედაქალაქში მოხმარებული გაზის ზუსტი აღრიცხვის პრობლემა არ მოგვარდება, მოსახლეობას დროებით სახელშეკრულებო ტარიფებს შევთავაზებთ,"** – აცხადებენ "ახალი მენეჯმენტის" ხელმძღვანელები.

"დროებითი სახელშეკრულებო ტარიფის" არსი შემდეგში მდგომარეობს: ამ ზამთარს "ახალი მენეჯმენტი" ყოველ აბონენტს შეუმოწმებს გაზის დადგმულ სიმძლავრეებს და იმის მიხედვით, თუ რა ოდენობის გაზს მოიხმარს ესა თუ ის აბონენტი საშუალოდ, გაუფორმებს ხელშეკრულებას ყოველთვიური ფიქსირებული ტარიფის თაობაზე. "ახალ მენეჯმენტში" აცხადებენ, რომ ეს ტარიფი, სავარაუდოდ, უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ამ აბონენტთა მიერ დახარჯული გაზის ღირებულება. **"ჩვენ გვესმის, რომ ეს წამგებიანი იქნება ჩვენთვის, მაგრამ გვირჩევნია, გარანტირებული თანხები მივიღოთ, რათა სამომავლოდ გაზის მოწოდებას ფინანსურმა ფაქტორმა ხელი არ შეუშალოს,"** – ასეთია "თბილგაზის" მმართველთა პოზიცია.

ჯერჯერობით, გადახდის დაბალი მაჩვენებლების გამო "ახალი მენეჯმენტი" ურჩ გადამხდელებს გათიშვით ემუქრება. როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, 66 საწარმოსთვის უკვე დაგზავნილია ოფიციალური გაფრთხილებები და გაზის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მათ გაზის მიწოდება შეუწყდებათ.

სამომავლოდ კი, "ახალი მენეჯმენტი" დედაქალაქის გაზმომარაგების სისტემაში მნიშვნელოვან ცვლილებებს გეგმავს. როგორც "თბილგაზის" მმართველები აცხადებენ, ისინი პირველივე ნაბიჯს დედაქალაქში ინკასატორების ინსტიტუტის გაუქმებისაკენ გადადგამენ. **"მომავალ წელს გაიზრდება რიგი უბნების გაზმომარაგების ქსელის სიმძლავრე; რის შედეგადაც, ამ უბნებში ადგილი აღარ ექნება გაზის წნევის ვარდნას, 2006 წლამდე კი "ახალი მენეჯმენტის" ხარჯებით მოხდება ქალაქის სრული გამრიცხველიანება,"** - აცხადებენ დღეს "თბილგაზის" ახალი მმართველები.

"ახალ მენეჯმენტში" ჯერ არ გადაუწყვეტიათ, თუ მრიცხველების რომელ ტიპზე შეაჩერებენ არჩევანს. განიხილება გადახდის ორი მექანიზმი: წინასწარი გადახდის და 6-თვეში ერთხელ შემოწმების სისტემები.

წინასწარი გადახდის მექანიზმი, რომლის დანერგვასაც, სხვათა შორის, ერთ დროს ელექტროენერგეტიკაშიც აპირებდნენ, მონო ან ასტრა-ბარათების ტიპის პლასტიკური "გაზის ბარათების" გამოშვებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ყოველი აბონენტი წინასწარ შეიძენს გაზის საჭირო რაოდენობას. თუმცა, წინასწარი გადახდის მრიცხველები, რომელსაც ავტომატური ბლოკირების ფუნქცია აქვს, გაცილებით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივი. სწორედ ამიტომ შესაძლოა, "ახალმა მენეჯმენტმა" არჩევანი მეორე ვარიანტზე შეაჩეროს.

ახლა გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებელი მხოლოდ 43 პროცენტს აღწევს, ანუ დედაქალაქის მიერ მოხმარებული გაზის ნახევარზე მეტი, ფაქტობრივად, სადღაც უკვალოდ ქრება. შედეგად, იმისათვის, რომ თბილისში გაზი იყოს, ეს დანაკლისი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ბუნებრივია, ქალაქის ისედაც მწირი ბიუჯეტისთვის ეს დიდი ტვირთია. სწორედ ამ ვითარების გამოსასწორებლად "ახალ მენეჯმენტს" ნაკისრი აქვს ვალდებულება: მან 3 წელიწადში გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებლები 75 პროცენტამდე უნდა გაზარდოს.

ამ მიზნის მისაღწევად "ახალი მენეჯმენტს" უკვე არჩეული აქვს ტაქტიკა: ინკასატორების ინსტიტუტი, რომელიც, ჯერჯერობით, ისევ შენარჩუნებულია, ე.წ. "მრიცხველთა ჩვენების წამკითხველთა ინსტიტუტად" უნდა გადაკეთდეს, ხოლო მოხმარებული გაზის საფასურის გადახდა ბანკში უნდა მოხდეს. თუმცა, არსებობს ალტერნატივაც: ჯერჯერობით, "ახალ მენეჯმენტს" გადაწყვეტილი არა აქვს, რა გზით მოუღებს ბოლოს გაზის თანხების ხელზე გადახდას. "თბილგაზის" მენეჯერები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, უმჯობესი იყოს, თუ გაზის საფასურს მოსახლეობა "თელასის" საგადამხდელო ცენტრებში გადაიხდის; ხოლო რომელ ვარიანტზე შეაჩერებენ არჩევანს "ახალ მენეჯმენტში", "თელასის" მეპატრონე "რაო ეეს როსიისა" და გაზის მომწოდებელ "გაზპრომს" შორის მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდება და იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა თანხას მოსთხოვს "თელასი" "ახალ მენეჯმენტს" მონაცემთა საკუთარი ბაზებისა და საგადამხდელო ცენტრებით სარგებლობის უფლებისათვის.

მანამდე კი, "ახალი მენეჯმენტი" აქცენტს საწარმოების მიერ მოხმარებული გაზის საფასურის ამოღებაზე აკეთებს. **"თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა ხდებოდა ამ სექტორში,** - აცხადებენ "ახალი მენეჯმენტის" ხელმძღვანელები, - **ჩვენ მიერ შექმნილმა "სადისტრიბუციო ქსელის კომისიებმა" აღმოაჩინეს, რომ დედაქალაქის საწარმოების ნახევარი, ფაქტობრივად, გაუფორმებელი იყო; რაც ნიშნავს, რომ მათ მიერ მოხმარებული გაზის საფასური "თბილგაზისთვის" დაკარგული იყო. გარდა ამისა, მრავალ მოზრდილ საწარმოს გაზზე სოლიდური დავალიანებები ჰქონდა. ჩვენ მათ ერთკვირიანი ვადა მივეცით ვალის გადახდის გრაფიკების წარმოსადგენად. მათ, ვინც ამ გრაფიკებს არ წარმოადგენს და დავალიანებას არ დაფარავს, უბრალოდ, ჩავჭრით."**

რაც შეეხება მოსახლეობას, გამრიცხველიანების პროცესი უკვე დაწყებულია. დიდ მრიცხველებს, რომელთა საშუალებითაც გაზის მოხმარების კონტროლი უბნების მიხედვით უნდა მოხდეს, დედაქალაქის 64 წერტილში დაამონტაჟებენ. **"ეს ის წერტილებია, საიდანაც ხდება გაზის განაწილება დედაქალაქის სხვადასხვა უბნებისათვის,"** – აკონკრეტებენ "ახალ მენეჯმენტში". წლის ბოლომდე კი გაზის ზუსტი მრიცხველები ყოველ სადარბაზოში დაიდგმება. შედეგად, პირველ ეტაპზე გაზის საფასურის ამოღების პროცესი ურჩი გადამხდელი უბნების დონეზე გაკონტროლდება, მოგვიანებით – სადარბაზოების, ხოლო საბოლოოდ – ურჩ გადამხდელთა დონეზე.

**"ნებისმიერ შემთხვევაში, გაზის ფული ყველამ უნდა გადაიხადოს,"** – აფიქსირებენ "თბილგაზში." რაც შეეხება სოციალურად დაუცველ ფენებს, მათ შეღავათებზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და არა გაზის ოპერატორმა კომპანიამ. მერიასა და "ახალ მენეჯმენტს" შორის გაფორმებული "თბილგაზის" მართვის ხელშეკრულების თანახმად, მართვის პირველ წელს მერია და ცენტრალური ბიუჯეტი "ახალ მენეჯმენტს" 15-15 მილიონ ლარს გადაუხდიან. ამ თანხით დაიფარება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური, დაფინანსდება მრავალშვილიანი დედებისათვის, სხვადასხვა ომების მონაწილეთათვის, ინვალიდთა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის, პერსონალური პენსიონერებისა და სხვა სოციალურად დაუცველი ფენებისათვის გაზის მოხმარებაზე დაწესებული შეღავათები.

დაბოლოს: იმის მიზეზად, რომ დღეს დედაქალაქის რამდენიმე უბანს გაზი არ მიეწოდება, "თბილგაზში" ქსელის არასაკმარის გამტარუნარიანობას ასახელებენ და ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქსელის ფართომასშტაბიან რეაბილიტაციას თავადვე გეგმავენ. როგორც "ახალი მენეჯმენტის" წარმომადგენლები აცხადებენ, "თბილგაზის" სპეციალისტების მიერ შესრულებული სამუშაოები მინიმუმ 10 პროცენტით უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე სხვა გაზიფიკატორებისა. გარდა ამისა, "თბილგაზი" იძლევა გარანტიას, რომ თავის გაყვანილ ქსელს, რომელშიც ტექნიკური უსაფრთხოების ყველა ნორმა იქნება დაცული, თავადვე მოემსახურება. **"ავარიის ან გაჟონვების ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შედგება ხარჯთაღრიცხვა, მომსახურების საფასურის გადახდა კი ბანკის საშუალებით იწარმოებს,"** – აცხადებენ "ახალ მენეჯმენტში".

## მოკლედ

### ყირგიზეთში სავალუტო ფონდის მისიის დასრულებისთანავე ბენზინი გაძვირდა

ყირგიზეთში ბოლო დროს ფქვილისა და ბენზინის გაძვირება აღინიშნება. "ა-93" მარკის ერთი ლიტრი ბენზინი 16 სომიდან 21 სომამდე გაიზარდა, "ა-76" მარკის ბენზინი, რომელიც 14 სომი ღირდა, ამჟამად 18,5 სომად იყიდება. თუ რამდენიმე დღის წინათ ერთ დოლარი 41 სომი ღირდა, ამჟამად იგი 43 სომი ღირს. შედეგად გაიზარდა ტაქსით მგზავრობის ღირებულება, გაძვირდა სხვა სახის მომსახურების საფასური და საქონელი, მათ შორის - ფქვილიც. გაიზარდა დოლარისა და ევროს კურსი. ექსპერტები ამ პროცესებს უკავშირებენ ყირგიზეთში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის დასრულებას. მათივე აზრით, სავალუტო ფონდის ვიზიტის დროს რესპუბლიკის ხელისუფლება ხელოვნურად აჩერებდა ფასების ზრდას. ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნება და კორუფციის ლიკვიდაცია სავალუტო ფონდის ძირითადი მოთხოვნებია იმისთვის, რომ გაისად ყირგიზეთს სიღარიბის დაძლევის პროგრამისთვის 40 მილიონი დოლარი გამოეყოს. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ოქტომბრის პენსიების გაცემა საქართველოში ჯერ არ დაწყებულა. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში აცხადებენ, რომ სექტემბრის თვე დაფინანსებულია 3,1 მილიონი ლარით, სექტემბრის პენსიების სრულად გასაცემად კი 12 მილიონ ლარამდეა საჭირო. ქვეყნის მასშტაბით ამჟამად ჯერ ივლისის თვის პენსიების გაცემა არ დასრულებულა. ივლისი დაფინანსებულია 5,3 მილიონი ლარით და ამ თვის პენსიების სრულად გასაცემად 9,6 მილიონი ლარის გამოყოფაა საჭირო. აგვისტოს პენსიები დაფინანსებულია 5,05 მილიონი ლარით და, შესაბამისად, ამ თვის პენსიების გასაცემად 10 მილიონამდეა საჭირო. მიმდინარე თვის პენსიებს, ჯერჯერობით, მხოლოდ თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იღებენ. სექტემბერში დაფინანსებულია ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიებიც. ათი თვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა 46, 3 მილიონ ლარს აღწევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერთიანებული ოპოზიციის მიერ გამოცხადებულ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას ენერგეტიკოსები არ შეუერთდებიან. როგორც ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარემ მირონ ფირცხელანმა განაცხადა, ენერგეტიკოსები ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებენ. "მიუხედავად იმისა, რომ არსებული მთავრობის მოქმედებები არ მოგვწონს, არც გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერების შეცდომებს ვივიწყებთ, რაც მათ ენერგეტიკის მიმართ ჩაიდინეს," - განაცხადა ფირცხელანმა. მისი თქმით, სწორედ ზურაბ ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს გაიყიდა "თელასი" და, ენერგეტიკოსთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა ამ კანონდარღვევის შესახებ არც კი იმსჯელა. "ახლა ზამთრის პერიოდია და ენერგეტიკაში დაუმორჩილებლობა ქვეყანაში კრიზისს გამოიწვევს, რაც, უპირველესად, მოსახლეობაზე აისახება," - აღნიშნა ფირცხელანმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგაზი" მომხმარებელს აირის საფასურის დროულად გადახდას სთხოვს. კომპანიამ გაზის მომწოდებელ "გაზექსპორტს" ოქტომბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური 20 ნოემბრამდე უნდა გადაუხადოს, ამიტომ მომხმარებლის მხრიდან ვალდებულების შესრულებას და გადასახადის გადახდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. "თბილგაზმა" ოქტომბერში 948 ათასი დოლარის ღირებულების 15 800 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მოიხმარა. თანხის ნაწილი უკვე დაიფარა. მიმდინარეობს დარჩენილი სახსრების მოძიება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს "სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ტექნიკური დახმარების პროგრამის" ფარგლებში იწყება კაკლისა და თხილის სანერგე მეურნეობების რეაბილიტაციის 18-თვიანი პროგრამა. როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში განაცხადეს, პროგრამა ქვეყნის 3 რაიონში კაკლისა და თხილის სანერგე მეურნეობებისა და სადემონსტრაციო ბაღების მოწყობას ითვალისწინებს. სამინისტროს ინფორმაციით, FAO-ს ეგიდით პარალელურად მიმდინარეობს მეფუტკრეობის რეგიონალური პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-რუსეთის ორმხრივი მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე საქართველოს მხარე აპირებს, მოითხოვოს კავკასიაში რუსეთის სამხედრო ნაწილების თბილისის ჯავშანსატანკო-სარემონტო ქარხნის საქართველოსთვის უმოკლეს დროში გადმოცემა. ორმხრივი მოლაპარაკებები საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას შეეხება და, სავარაუდოდ, დეკემბრის მეორე ნახევარში გაიმართება. ჯავშანსატანკო ქარხნის გადმოცემაზე შეთანხმება ჯერ კიდევ 2001 წელს იქნა მიღწეული, მაგრამ რუსეთის მხარე პროცესს დღემდე აჭიანურებს. **მედია-ნიუსი**

# ამერიკელებმა ერაყში გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყეს


REUTERS

ამერიკელები საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლებენ.

ლევან ღირსიაშვილი

ერაყის ჩრდილოეთის ქალაქ მოსულში პარტიზანების მიერ ორი ამერიკული ვერტმფრენის ჩამოგდებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ერაყის ტერიტორიას ამერიკელები ვერ აკონტროლებენ. მაგრამ ვაშინგტონი უკან დახევას არც ფიქრობს. პირიქით, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ აშშ-ს არმია ერაყში ცვლის თავის ტაქტიკას და პარტიზანთა ძალების წინააღმდეგ ფართომასშტაბიან შეტევებს იწყებს. **"შეერთებული შტატები მზად არის, მიიღოს მკაცრი ზომები, რათა ტერორისტებს გავუსწორდეთ,"** - განაცხადა ბუშმა.

ამერიკელებმა პრეზიდენტის სიტყვას საქმეც მოაყოლეს და გუშინ ფართომასშტაბიანი პირველი შეტევა დამხობილი პრეზიდენტის მშობლიურ ქალაქ თიქრითთან განლაგებულ, ჰუსეინის მომხრეთა სიმაგრეებზე მიიტანეს.

საინფორმაციო სააგენტო "ბიბისი" ამერიკულ სარდლობაზე დაყრდნობით იუწყება, რომ აშშ-ს არმიის ტაქტიკა ამიერიდან მხოლოდ აგრესიული და შემტევი იქნება. **"ჩვენ გვსურს იმის დემონსტრირება, რომ გაგვაჩნია შესაძლებლობები, რათა ჩვენი მოქმედება უდიდეს ტერიტორიაზე იყოს კოორდინირებული,"** - განაცხადა ვიცე-პოლკოვნიკმა ბილ მაკდონალდსმა.

ერაყის ჩრდილოეთში ბაზირებულ პარტიზანთა სიმაგრეებზე შეტევა კი ამერიკელებმა 200-კილოგრამიანი რაკეტის გაშვებით დაიწყეს. ამერიკელი ვიცე-პოლკოვნიკის თქმით, ეს იყო მაღალი სიზუსტის იარაღი, რომელიც კირკუკთან ახლოს მოხვდა სამიზნეს. ინფორმაცია დაღუპულთა ან დაზარალებულთა შესახებ, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

ერაყში აშშ-ს ადმინისტრაციის შეფი პოლ ბრემერი კი აცხადებს, რომ აშშ-ს არმია **"სერიოზულ ბრძოლაში ჩაება."**

**"ჩვენ რამდენიმე გაავებული მოწინააღმდეგე გვყავს. ეს განსაკუთრებით საერთაშორისო ტერორისტებს შეეხება, რომლებიც უკანასკნელი ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში შემოდიან ერაყში,"** - განაცხადა ბრემერმა.

ამავდროულად, ვაშინგტონმა უკვე გააკეთა განცხადება თავისი გეგმის შესახებ, რომლის თანახმადაც, ერაყში ხელისუფლების გადაცემის პროცესი უნდა დაჩქარდეს. თეთრი სახლის განცხადებით, ეს პროცესი ზაფხულამდე უნდა დასრულდეს.

იმ დროს, როდესაც აშშ-ს არმია შეტევაზე გადადის და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადება, დღის სინათლეზე კვლავ გაისმის დამხობილი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის ხმა. არაბულენოვანმა სატელიტურმა ტელევიზიამ "ალ-არაბიამ" ეთერში აუდიოჩანაწერი გადასცა და, როგორც ვარაუდობენ, ეს ხმა სადამ ჰუსეინს ეკუთვნის. ერაყის ყოფილი დიქტატორი ერაყელებს ოკუპანტების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

**"აშშ ფიქრობდა და სხვებსაც აიძულებდა ეფიქრათ, რომ ერაყის ოკუპაციის დაწყებით, ისინი პიკნიკზე მოდიოდნენ, მაგრამ აშშ და მისი მოკავშირეები ჩიხში შევიდნენ,"** - აცხადებს სადამ ჰუსეინი.

ამდენად, ერაყში გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო. ერთი მხრივ, ამერიკელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ერაყში ომის დაწყება შეცდომა არ იყო და რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შექმნილი ჩიხიდან უნდა გამოვიდნენ. მეორე მხრივ, ერაყელმა პარტიზანებმა არაბულ სამყაროს თავიანთი ბრძოლისუნარიანობა და გამძლეობა უნდა უჩვენონ. ორივე მხარე საბოლოო გამარჯვებისთვის ემზადება.

## ორი სიტყვით

**სერბეთი.** სერბების მესამე მცდელობა, აერჩიათ ქვეყნის პრეზიდენტი, კვლავ წარუმატებლად დასრულდა. ამომრჩეველთა აქტივობა 50 პროცენტზე ნაკლებით განისაზღვრა. სერბეთის პრემიერ-მინისტრმა ზორან ჟივკოვიჩმა განაცხადა, რომ მას არ გაუკვირდა არჩევნების ასეთი შედეგით დასრულება. მისი თქმით, სერბებმა ახლა მთელი ყურადღება საპარლამენტო არჩევნებზე უნდა გადაიტანონ. ოფიციალური მონაცემების თანახმად, 6,5 მილიონი ამომრჩევლიდან საარჩევნო უბნებში მხოლოდ 40 პროცენტი გამოცხადდა. თუკი ამომრჩეველთა ასეთ დაბალ აქტივობას არანაირი გაკვირვება არ გამოუწვევია, სიურპრიზად ამ არშემდგარი არჩევნების შედეგი იქცა, რომლის თანახმადაც, ყველაზე მეტი ხმა სერბეთის რადიკალური პარტიის ლიდერმა და ნაციონალისტმა ტომისლავ ნიკოლიჩმა მიიღო. მან დიდი უპირატესობით გადაუსწრო პროსახელისუფლებო პარტიის კანდიდატს დრაგოლიუბ მიკუნოვიჩს.

■ ■ ■

**ავღანეთი.** გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა დაგმო ავღანეთში გაერო-ს ჰუმანიტარული მისიის თანამშრომლის მკვლელობა. მისი განცხადებით, ეს მხეცური მკვლელობა ვერ აიძულებს გაერო-ს, ავღანელი ხალხის დახმარებაზე უარი თქვას. გაერო-ს მისია ამ ქვეყანაში ფუნქციონირებას არ შეწყვეტს. მკვლელობა დაგმო ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმაც. მისი თქმით, ამ აქტზე პასუხისმგებლობა ავღანელი ხალხის მტრებს ეკისრებათ. 29 წლის ფრანგი ქალი ბეტინ გვასლიარი ავღანეთის პროვინცია ჰაზნის ბაზარში ორმა პიროვნებამ დაცხრილა. თავდასხმის შედეგად დაიჭრა ბეტინის მძღოლი. ადგილობრივი სამართალდამცველები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ მკვლელობის უკან თალიბანის მხარდამჭერები დგანან.

# სტამბოლის ტერაქტზე პასუხისმგებელია „ალ-ქაიდა"

შაბათს თურქეთის ქალაქ სტამბოლის სინაგოგებში მომხდარ ტერაქტზე პასუხისმგებლობა საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციამ "ალ-ქაიდამ" აიღო. ამის თაობაზე ინფორმაცია ლონდონში გამომავალმა არაბულმა გაზეთმა "ალ-ქუდსმა" გაავრცელა. კერძოდ, გამოცემა იუწყება, რომ მათ "ალ-ქაიდასგან" ელექტრონული შეტყობინება მიიღეს, სადაც ოსამა ბინ ლადენის ტერორისტები ტერაქტის დაგეგმვასა და განხორციელებას აღიარებენ. წერილში ნათქვამია, რომ სინაგოგებზე თავდასხმა მას შემდეგ გადაწყდა, რაც მათ მიიღეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იქ ისრაელის დაზვერვის აგენტები მუშაობდნენ.

როგორც ცნობილია, ამ ტრაგედიის შედეგად 23 ადამიანი დაიღუპა და სამასზე მეტი დაშავდა.

ისრაელის და თურქეთის სპეცსამსახურები და სამართალდამცავები დარწმუნებულნი არიან, რომ ტერაქტი კამიკაძე-ტერორისტების მიერ იყო განხორციელებული. კერძოდ, როგორც თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდულქადირ აქსუმ სააგენტო "ასოშეიტედ პრესთან" საუბარში განაცხადა, კამიკაძეთა მონაწილეობის ალბათობა 95 პროცენტია. "მე არ ვამბობ 100 პროცენტს, რადგან ჯერ გამოძიება არ დასრულებულა," - დასძინა მან.

თურქეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების განცხადებით, სინაგოგას ორი ავტომობილი შეეჯახა და თითოეულ მათგანში 400 კილოგრამამდე ასაფეთქებელი ნივთიერება იყო მოთავსებული. ისევ თურქული პრესის ცნობით, ტრაგედიის ადგილზე პოლიციამ აღმოაჩინა ორი ადამიანის გვამი, რომელთაც წელზე მავთულები ჰქონდათ შემორტყმული. ეს კი ტერაქტში კამიკაძეთა მონაწილეობას ადასტურებს.

# ქართული პრეფერანსი

პირველი გვერდიდან

პასუხისმგებლობა ვისაც გნებავთ, იმას დააკისროს, ოღონდ არა საკუთარ თავს. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, რამ გამოიწვია ხალხის ერთსულოვანი აღშფოთება, კიევის საარჩევნო უბანში გამართული კენჭისყრის მაგალითს მოვიყვან, რომლის მოწმეც თავად გავხდი.

მაშ ასე, კიევი, საარჩევნო უბანი ნომერი 343. საქართველოს საკონსულოს მიერ შეკრებილი მონაცემებით, უბანზე 1780 ამომრჩეველია რეგისტრირებული. ხმის მიცემის პროცესი დილის რვა საათისათვის დაიწყო. დაახლოებით, 10 საათისათვის საელჩოს წარმომადგენლები გამოჩნდნენ და პირველი ამომრჩევლებიც მოვიდნენ. 12 საათისათვის ხმა ჰქონდა მიცემული 47 კაცს, 15 საათისათვის – 87-ს, დღის ბოლოს, 20 საათისათვის მოსული იყო სულ 120 ამომრჩეველი. როგორც წესი და რიგია, ამ დროს საარჩევნო კომისიის წევრებს შევახსენეთ, რომ ამ ციფრების ოქმში შეტანა იყო საჭირო. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა თბილისიდან, და როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, დეპუტატობის კანდიდატი იყო ბლოკ "ახალი საქართველოდან", ამაზე დაგვეთანხმა და მდივანს შესაბამისი მითითება მისცა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს მითითება არ შესრულებულა. როცა ვკითხეთ, რატომ, მან გვიპასუხა: "ვინა თქვა, რომ მონაცემები დღის 12 საათზე უნდა შევიტანო, თუ მინდა, ამას ღამის 12 საათზეც გავაკეთებ".

თუმცა, იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა, ეს ბავშვურ ცელქობად ჩანს. დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 120-მა ამომრჩეველმა 370 ბიულეტენი ჩააგდო, რომელთაგან 220-მა შევარდნაძის ბლოკს მისცა ხმა. ამის შემდეგ კი მოხდა ის, რაც უბრალოდ, საღი აზრის ფარგლებს სცილდება.

კალკულატორით შეიარაღებულმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ხელახლა დათვალა ყველა ამომრჩეველი. შედეგად აღმოჩნდა, რომ 120 ამომრჩევლიდან 1420-მა ხმა მისცა სახელისუფლებო ბლოკს. როდესაც ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ, კომისიის თავმჯდომარემ გვიპასუხა: "ეს ჩვენი არჩევნებია და არა თქვენი. ჩვენ, ქართველები ასეთები ვართ. ვერ ხედავთ, რომ ამ ციფრებს ყველა წევრი ეთანხმება". კომისიის სხვა წევრები ამაზე, თანხმობის ნიშნად, დადუმდნენ. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხმების დათვლის წინ კომისიის თავმჯდომარესა და ერთ-ერთ წევრს ჩხუბი მოუვიდათ, რომელიც ნამდვილ სკანდალში გადაიზარდა. რაკი ჩვენ ქართულად სულ რამდენიმე სიტყვა ვიცით, ამ დავის საგანი ჩვენთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა. მოგვიანებით, აღმოვაჩინეთ, რომ ეს კაცი "ბურჯანაძე-დემოკრატების" მხარდამჭერი ყოფილა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ამ კაცმა კარები გაიჯახუნა და ხმის დათვლის ოთახიდან სამუდამოდ გაუჩინარდა. საბოლოო ოქმს ხელი შვიდმა კაცმა მოაწერა, რომელთაგან ერთი, არც მეტი, არც ნაკლები, ქართული არმიის გენერალი იყო. უნდა ვთქვა ისიც, რომ ნინო ბურჯანაძის პარტიას რეალური 19-ის ნაცვლად, 111 ხმა დაუწერეს, ალბათ იმიტომ, რომ ბლოკი ნომერი 7-ის თავგამოდებული მომხრე არ განაწყენებულიყო.

საბოლოოდ, კიევის არჩევნებზე აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - 90 პროცენტზე მეტი. შედარებისათვის, ბაქოში, სადაც საქართველოს მოქალაქეები უფრო მეტია, ვიდრე კიევში, უბანზე სულ 100 კაცი მივიდა.

იმას, რაც საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე მოხდა, პირდაპირი გავლენა აქვს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რადგანაც საქართველოს ხელისუფლება, ისევე როგორც უკრაინისა და ნებისმიერი პოსტსაბჭოური ქვეყნის, ერთმანეთისაგან დიდი წარმატებით სწავლობს გაყალბების გაკვეთილებს. ამიტომ, თუ ყველა საარჩევნო კომისიაში არ იქნებიან ოპოზიციის წარმომადგენლები, ის, რაც საქართველოში მოხდა, აუცილებლად გამეორდება უკრაინაშიც. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდება ჩვენი ქართველი კოლეგების თანამემამულის უკვდავი აფორიზმი: "მთავარია არა ის, ვინ აძლევს ხმებს, არამედ ის, თუ ვინ ითვლის მას."

# მდიდრები და ჭკვიანები

რაც უფრო ჭკვიანია ხალხი, მით უფრო მდიდარია სახელმწიფო – ამ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები, რომლებმაც 60 ქვეყნის მოქალაქეთა "აი-ქიუ" (ინტელექტუალური კოეფიციენტი) და ამ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების დონე შეამოწმეს.

ოლსტერის და ტამპერეს უნივერსიტეტების პროფესორების რიჩარდ ფლინისა და ტატუ ვენჰანენის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ყველაზე მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები წყარი ოკეანის რკალის სახელმწიფოების მოსახლეობას აქვს: იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაივანის, ჩინეთის, ჰონგ-კონგისა და სინგაპურის მოქალაქეთა "აი-ქიუ", საშუალოდ, 105-ს შეადგენს.

ინტელექტის შკალაზე ოდნავ უფრო ქვემოთ დგანან ევროპის, აშშ-ს, კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მოქალაქეები, მათი საშუალო მაჩვენებელი 100-ს შეადგენს. სამხრეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში და ჩრდილოეთ აფრიკაში საშუალო მაჩვენებელი 85-ს შეადგენს, შავ აფრიკასა და კარიბის ზღვის აუზში კი – 70-ს.

როდესაც ეს მონაცემები ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეს შეუფარდეს, აღმოჩნდა, რომ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესა და ინტელექტის დონეს შორის კორელაცია 58 პროცენტს შეადგენს.

"აი-ქიუ"-ში ერთპუნქტიანი განსხვავება მთლიან შიდა პროდუქტში 500-ფუნტიან განსხვავებას გვაძლევს. რაც უფრო მაღალია მოსახლეობის ინტელექტი, მით უფრო სავარაუდოა, რომ ქვეყანას ჭკვიანი პოლიტიკური ლიდერები ეყოლება, განვითარდება ეკონომიკის ისეთი დარგები, როგორიცაა ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები.

მიუხედავად საერთო ტენდენციისა, არის ქვეყნები, რომლებიც უფრო ცუდად ცხოვრობენ, ვიდრე მათი ინტელექტი ამის საშუალებას იძლევა. ასეთებია ჩინეთი, რუსეთი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სადაც საშუალო ინტელექტი 100-ს შეადგენს. ეს მათი პოლიტიკური სისტემების "დამსახურებაა", რაც ეკონომიკურ განვითარებას ამუხრუჭებს.

ცხადია, ხდება პირიქითაც. არაბული ქვეყნების ნავთობი, ბოტსვანის ბრილიანტები და მაღალგანვითარებული ტურიზმი ბერმუდაზე ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, უფრო უკეთ იცხოვრონ, ვიდრე მსგავსი ინტელექტის მქონე სხვა ქვეყნები ცხოვრობენ.

ინტელექტის 50 პროცენტი მემკვიდრეობით გადაეცემა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია გარე ფაქტორებიც. ყოფილა შემთხვევები, რომ განვითარების კვალდაკვალ ერთი თაობის მანძილზე ინტელექტი 25 პუნქტით აწეულა.

ინტელექტის განვითარებაზე ყველაზე ცუდად სურსათის ნაკლებობა მოქმედებს. ცხადია, არანაკლებ მნიშვნელოვანია განათლებისა და ჯანდაცვის დონეც.

საინტერესოა მეცნიერთა კიდევ ერთი დასკვნაც, რომლის თანახმადაც "შემეცნების მასტიმულირებელი ტექნოლოგიები", როგორიცაა, მაგალითად, კომპიუტერული თამაშები, ინტელექტის განვითარებაზე დადებითად მოქმედებენ.

## ორი სიტყვით

**რუსეთი.** მემარჯვენე ძალთა გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი ირინა ხაკამადა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის დაყენებას არ გამორიცხავს. "ამ ცხოვრებაში ყველაფერი შესაძლებელია," - განუცხადა ხაკამადამ რადიოსადგურ "ეხო მოსკვის." "რასაკვირველია, არის ხალხი, ვინც ჩემნაირად ფიქრობს და პატივს სცემს ჩემს შეხედულებებს და ქცევებს," - აღნიშნა მან. ამასთანავე, მან ხაზგასმით განაცხადა, რომ პრეზიდენტის პოსტისათვის ბრძოლა სერიოზული ნაბიჯია. მისი აზრით, ამის გამოყენება საკუთარი პიარისათვის არ შეიძლება, რადგან "ეს პროფესიონალი პოლიტიკოსისათვის შეუფერებელი იქნება."

■ ■ ■

**რუსეთი.** რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ ქვეყნის სტრატეგიული რესურსები სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს. თუკი მანამდე ის პოლიტიკურ და, განსაკუთრებით, ეკონომიკურ თემებზე იშვიათად საუბრობდა, ამჯერად თავისი ზემოაღნიშნული პოზიცია გაზეთ "კომერსანტისათვის" მიცემულ ინტერვიუში ცალსახად დააფიქსირა. ივანოვი სახელმწიფოს წიაღისეულის მოპოვების და გეოლოგიურ-სადაზვერვო საქმიანობის სფეროების კონტროლს სთავაზობს. მისი თქმით, კერძო კომპანიებს ახალი საბადოების დამუშავება არ შეუძლიათ და დღეს მოპოვებული ნავთობის მთელი მარაგი საბჭოთა მემკვიდრეობაა. ხოლო რუსეთში დღეს განვითარებულ მოვლენებს და, განსაკუთრებით, "იუკოსის" საქმეს კი ივანოვი მხოლოდ ორი სიტყვით აფასებს – "წესრიგის დამყარება."

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** ლონდონი დღეს აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის დასახვედრად ემზადება. მთელ ქვეყანაში და, განსაკუთრებით – დედაქალაქში, უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია შემოღებული. საინფორმაციო საშუალების ცნობით, ბუშის ვიზიტისათვის, დაახლოებით, 19 მილიონი გირვანქა სტერლინგია დახარჯული. ამ თანხის უდიდესი ნაწილი უსაფრთხოების დაცვას მოხმარდა. ლონდონში უშიშროების სამსახურის ხუთი ათასი თანამშრომელია მობილიზებული. კონტრდაზვერვის სამსახური "მი-5" იუწყება, რომ ტერორისტული აქტების განხორციელების რეალური საშიშროება არსებობს.

■ ■ ■

**ლიტვა.** გუშინ სასამართლომ ლიტვის პრეზიდენტი როლანდას პაქსასი დაკითხა. ქვეყნის მეთაურმა ჩვენება მისცა ბიზნესმენ იური ბორისოვის წინააღმდეგ აღძრულ საქმესთან დაკავშირებით. პრეზიდენტის დასაკითხად მის რეიზდენციაში მოსამართლე, პროკურორი და სასამართლოს მდივანი მივიდნენ. დაკითხვას ასევე ესწრებოდა თავად იური ბორისოვიც. მას ბრალი ედება იმაში, თითქოს ის პაქსასის შანტაჟს ცდილობდა და პრეზიდენტის კანცელარიაში თანამდებობას ითხოვდა.

■ ■ ■

**გერმანია.** კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა თავისი მმართველი პარტიის - "სოციალ-დემოკრატების" გაფართოებული ფორუმი მოიწვია. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ ამ თავყრილობაზე უნდა გამოიკვეთოს პარტიის მომავალი საქმიანობის მიმართულებები. დღეისათვის კი სოციალ-დემოკრატების რეიტინგი საკმაოდ დაბალია, რაც ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემებით არის განპირობებული. გერჰარდ შრიოდერი ამ ფორუმით თავისი და პარტიის პოპულარობის გაზრდას ისახავს მიზნად.

■ ■ ■

**იტალია.** გუშინ რომში ოფიციალური სამდღიანი ვიზიტით ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი ჩავიდა. ამასთან დაკავშირებით, იტალიაში უსაფრთხოების მკაცრი ზომებია შემოღებული. პოლიცია და უშიშროება სრულ მზადყოფნაშია მოყვანილი. არიელ შარონის და იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის შეხვედრის მთავარი თემა ევროპაში ანტისემიტიზმის შემაშფოთებელი ზრდა იქნება. ისრაელის ლიდერი ამ საკითხს იტალიის ოპოზიციასთან შეხვედრაზეც განიხილავს. **"ნასირიაში იტალიელების და სტამბოლში ებრაელების წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების შემდეგ, ჩვენ უკვე ბარიკადის ერთ მხარეს ვდგავართ,"** - განაცხადა იტალიაში ჩასულმა არიელ შარონმა.

## კომპიუტერისა და ადამიანების იმედით

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან- ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

გიორგი ჩიხლაძე 32 წლისაა. ის პირველი ჯგუფის ინვალიდია. სამი წლის იყო მიოპათიის დიაგნოზი რომ დაუსვეს. წელს ქვემოთ მოწყვეტილია და ცხოვრების უმეტეს ნაწილს ლოგინში ატარებს. მკურნალობის შემდეგ კუნთების მოდუნება, რომელიც ტერფიდან დაეწყო, მუხლს ზემოთ შეუჩერდა და დამბლა აღარ უვითარდება.

გიორგი დედ-მამასთან ერთად ცხოვრობს. მას მამაც პირველი ჯგუფის ინვალიდი ჰყავს. ორივეს დედა უვლის. მატერიალურად ოჯახს გიორგის ძმა - ირაკლი ეხმარება.

ორიოდე წლის წინ გიორგიმ მონაწილეობა მიიღო პროგრამაში "ვის უნდა ოცი ათასი". შოუში მოგებული თანხით კომპიუტერი იყიდა. კომპიუტერის შესწავლის მიზნით მან დახმარება სხვადასხვა ორგანიზაციას სთხოვა, რომელთაგან მხოლოდ ინვალიდ ქალთა ასოციაციის თავმჯდომარე მანანა გალუაშვილი გამოეხმაურა. ამ ასოციაციის მთავარი მიზანი სწორედ თვითნასწავლ ინვალიდთა დასაქმებაა. გიორგის კომპიუტერის პედაგოგი გამოუგზავნეს. გიორგიმ ვებ-გვერდების შედგენა მალე ისწავლა.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ჩიხლაძე ვერ დადის, არც სოციალური პირობები აქვს იმისთვის, რომ იმუშაოს და საკუთარი თავი უზრუნველყოს, მაინც ახერხებს დამოუკიდებლად მატერიალური რესურსების მოპოვებას. გიორგიმ შოუში "ხალხის პირისპირ" 1500 შეკითხვა გაგზავნა და 300 ლარი მოიგო. ახლა მას ისეთი ადამიანის პოვნა სურს, რომელსაც კომპიუტერი აქვს და იცის პროგრამირება. "მე, უფრო ენთუზიასტი მჭირდება, რომელთან ერთადაც ფირმას დავარეგისტრირებთ და შემოსავალს გავიყოფთ", -ამბობს ის.

გიორგი პროგრამებში "ადობსა" და "ფლეშში" მუშაობს. მისი თქმით, მისთვის კომპიუტერული გრაფიკა დატვირთვა არ არის, ამგვარ მუშაობაში ისვენებს; ახლა კი კომპიუტერული თამაშის სცენარის შედგენაზე ფიქრობს. იმედი აქვს, რომ იპოვის პარტნიორს, რომელიც შესაძლოა ინვალიდი იყოს და ერთად საინტერესო გეგმებს განხორციელებენ.

გიორგის უკვე რამდენიმე სამუშაო პროგრამა აქვს შედგენილი. აქვს საქართველოს დროშის და ღერბის თავისი ვერსია, სხვადასხვა საფირმო ნიშნების დიზაინი, ასევე საქართველოს საფეხბურთო ნაკრებისთვის ფორმა და სხვა უამრავი ნამუშევარი, რომელიც შეიძლება, ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელსაც კომპიუტერი აქვს და დიზაინზე მუშაობს, საინტერესო იყოს.

გიორგი იმედოვნებს, რომ, მას შემდეგ, რაც ის სამგანზომილებიან პროგრამას "ტრიდე სტუდიო მაქსს" ისწავლის, პარტნიორის და სამუშაოს პოვნა უფრო გაუადვილდება, მისი, როგორც ინვალიდის დასაქმების მუდმივი და ჯერჯერობით გადაუჭრელი პრობლემა მოგვარდება და ისიც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდება.

*P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" კოორდინატორს ირინა სიგუას. მობ: 899555113 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: stages-ngo@hotmail.com*

## ის, რამაც ქართველი პოლიტიკოსები გააერთიანა

*ეს იყო არჩევნებამდე, გასული წლის ზაფხულს, როცა საქართველოში დაიწყო კამპანია "ნუ დატოვებთ ბავშვებს უყურადღებოდ". მას ყველა პოლიტიკური პარტია, ყველა პოლიტიკური ლიდერი შეუერთდა. ეს კამპანია სტამბულში დაიგეგმა, როგორც პოსტსაბჭოთა, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ახლად შექმნილი ორგანიზაციის – "რეგიონული ქსელი ბავშვებისთვის" – პირველი კამპანია.*

ეს ქსელი გასულ წელს სარაევოში ჩამოყალიბდა. მისი პრეზიდენტი ქართველი ქალბატონი, პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ქეთი ნემსაძე გახლავთ. ქსელში 27 ქვეყანა შედის. ქსელის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა დიდი კამპანია – "უთხარით ბავშვებს კი", რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ქვეყნების 26-მა მილიონმა მოქალაქემ: სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების აქტიურმა წარმომადგენლებმა, თვითონ ბავშვებმა. კამპანიის გაშლა საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოხერხდა. **"ბავშვები სათუთი თემაა,** - განმარტავს ქეთი ნემსაძე, **- ჩვენ არ გვინდოდა ამ საკითხის პოლიტიზება. ამიტომ, კამპანიის პრეზენტაცია 20 ნოემბერს მოხდება."**

დეკემბრის შუა რიცხვებში კი საქართველოში დიდი სუბრეგიონული ტრენინგი ჩატარდება. ამისთვის ქსელის მხარდამჭერმა ევროგაერთიანებამ სოლიდური გრანტი გამოყო. ტრენინგები ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ხუთ რეგიონში გაიმართება. მათგან ერთ-ერთი საქართველო გახლავთ. თბილისი, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლების გარდა, ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც უმასპინძლებს. **"ჩვენს ტრენინგში მონაწილეობის სურვილი ამ ქვეყნებმა თავად გამოთქვეს და ეს მეტად სასიხარულოა,** - აცხადებს ქსელის პრეზიდენტი, **- უცხოელ ექსპერტებთან ერთად, სწავლებას ქართველი სპეციალისტებიც წარუძღვებიან. მომზადდებიან სპეციალისტები, რომლებიც შემდეგ ტრენინგებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩაატარებენ."**

კამპანია ბავშვთა უფლებების დაცვაზე აკეთებს აქცენტს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიღარიბეში მცხოვრებ პატარებს, ქუჩის ბავშვებს, დევნილი ოჯახების შვილებსა და ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მოთავსებულ, მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს. სხვადასხვა ქვეყანაში მათ სხვადასხვა პრობლემა აქვთ. საქართველომ შიდა სამუშაოდ დეინსტიტუციონალიზაციის საკითხი აირჩია, თურქეთმა – გოგონების განათლება. რა პრობლემების წინაშე დგანან ქსელის მონაწილე სხვა ქვეყნები და რაში ხედავენ ამ პრობლემების გადაწყვეტას, იმ მოდულშია მოცემული, რომელიც ევროგაერთიანების, გაეროს ექსპერტებისა და ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვების" მონაწილეობით, UNICEF-ის ხელშეწყობით დაიბეჭდა.

**"გარდა ამისა, კონკრეტულად საქართველოსთვის, დეინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობისთვის, ჩვენ სპეციალური ფონდის დაარსებას ვაპირებთ,** - ამბობს ქეთი ნემსაძე, **- დღეს ამ პროცესს საერთაშორისო დონორები აფინანსებენ, ისინი გამოყოფენ თანხებს ოჯახებს მიბარებული ბავშვების დასახმარებლად. ამან საშუალება მოგვცა, 100-მდე ბავშვი, მათ შორის 25 უნარშეზრუდული, გაგვეყვანა ბავშვთა სახლებიდან. გვინდა, ეს საქმე მას შემდეგაც გაგრძელდეს, რაც დონორები დაფინანსებას შეწყვეტენ. ამასთან, ქართული ფონდი გასცემს მცირე გრანტებს ქუჩის ბავშვების დასაქმებისთვის. ჩვენ ველოდებით ქართველ მეწარმეთა მხარდაჭერას და საზოგადოების რჩევებს ამ იდეის განსახორციელებლად."**

*24 საათი*

გაზეთი ბათუმელები
NEWSPAPER BATUMELEBI www.internews.ge/batumelebi
batumelebi@batumi.net
დამოუკიდებელი პრესის არსებობის პრეცენდენტი აჭარაში

## „ჰუმანას" რეალიზება დროებით შეჩერებულია

### სანიტარიული სამსახურები დამატებითი ანალიზების პასუხებს ელიან

მაკა ჭაიანი

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანების შესაბამისად, დღეიდან სანიტარიული სამსახურები დროებით აჩერებენ ქვეყანაში "ჰუმანას" პროდუქციის რეალიზებას. ამის მიზეზი გახდა BBC-ის, CNN-ისა და მედიის სხვა საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია ისრაელში სამი პატარას გარდაცვალების თაობაზე. როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, ბავშვები "ჰუმანას" პროდუქციით იკვებებოდნენ და მასში ვიტამინ B1-ის ნაკლებობას შეეწირნენ.*

ამ ვიტამინის ნაკლებობისას ორგანიზმში ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, ვითარდება გულის, კუჭ-ნაწლავის ფუნქციების მოშლა. თუ დაავადება დროულად არ დაფიქსირდა, შედეგი ლეტალურია. ისრაელში გარდაცვლილ ბავშვებს დაუსვეს ბერიბერის დიაგნოზი, რისი გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი სწორედ B1 ვიტამინის ნაკლებობაა. სამივე პატარა "ჰუმანას" ექსკლუზიური პროდუქტით – "რემედია სუპერსოია ერთით" იკვებებოდა. ეს პროდუქტი ისრაელში მოქმედმა ბავშვთა კვების კომპანია "რემედიამ" სპეციალურად დაუკვეთა ცნობილ გერმანულ ფირმა "ჰუმანა გეენბეხას", რომელსაც ბავშვთა საკვების წარმოების ორმოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს. 2003 წლის თებერვალში "რემედიამ" ორთოდოქსი ებრაელი ოჯახების ბავშვების კვების სპეციალური ფორმულა შეიმუშავა. ამ ფორმულის მიხედვით, პროდუქტი "ჰუმანში" სულ შვიდი თვის განმავლობაში - 2003 წლის ზაფხულიდან მზადდებოდა, სპეციალურ საამქროებში, რაბინების უშუალო, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. "რემედია სუპერსოია ერთი" მხოლოდ ისრაელში იყიდებოდა.

B1 ვიტამინის ნაკლებობა სწორედ ამ პროდუქტში დაფიქსირდა. ისრაელის ჯანდაცვის მინისტრმა "რემედია სუპერსოია ერთის" მომხმარებელ ყველა პატარას მშობელს მისცა დამატებითი სამედიცინო შემოწმების გავლის მითითება. ამასთან, ინტერნეტგამოცემა "yarmarka.net" ავრცელებს იმფორმაციას, რომ ისრაელში უნდა სცოდნოდათ ბავშვთა ამ საკვებში B1 ვიტამინის არასაკმარისი რაოდენობით არსებობის შესახებ, რადგან იქაურმა პროკურატურამ აღმოაჩინა პატაკი, რომელიც ამ დარღვევას აფიქსირებდა. როგორც ჩანს, დოკუმენტს "რემედიას" მხრიდან ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია. სწორი ინფორმირების პირობებში, სპეციალისტთა განმარტებით, B1 ვიტამინის დეფიციტს ორგანიზმი რამდენიმე კვირაში აინაზღაურებდა. ისრაელისა და გერმანიის შესაბამისი უწყებები ახლა სწავლობენ - საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ემსხვერპლა სამი პატარა თუ მათი დაღუპვა სხვა მიზეზების ბრალიცაა. "რემედია სუპერსოია ერთი", "ჰუმანას" სხვა პროდუქციისგან განსხვავებით, ისრაელში გაყიდვიდან ამოღებულია.

საკუთარი ფორმულით ამზადებინებენ ბავშვის საკვებს "ჰუმანა გეენბეხას" იტალია და რუსეთი. რუსეთში რეალიზებად "ჰუმანას" კოლოფიც კი განსხვავებული აქვს. სავარაუდოდ, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება - დროებით, დამატებითი ანალიზების პასუხების მიღებამდე შეჩერდეს "ჰუმანას" გაყიდვა ქვეყანაში - ამით უნდა იყოს განპირობებული. სხვა ქვეყნებში, როგორც აცხადებს "ჰუმანა გეენბეხას" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში მანანა შენგელია, ბავშვთა ამ საკვებს რეალიზების პრობლემები არ შექმნია. ოფიციალური დისტრიბუციით, საქართველოში "ჰუმანას" ნაწარმი, ძირითადად, დედის რძის შემცვლელები, ფაფები, სამკურნალო ნარევები და ა.შ. სულ 26 დასახელების პროდუქცია, ხუთი წელია შემოდის. მანანა შენგელიას განმარტებით, ჩვენს ქვეყანაში იყიდება ზუსტად ის ნაწარმი, რომელსაც "ჰუმანა გეენბეხა" გერმანიისთვის ამზადებს. შესაბამისად, "რემედია სუპერსოია ერთი", რომელსაც ისრაელში სამი ბავშვის სიკვდილი დაუკავშირდა, ჩვენს ბაზარზე არ არის.

დღეისთვის "ჰუმანას" საკვებს საქართველოს ბაზრის 25 პროცენტი უჭირავს. მისი მომხმარებლები არიან თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სხვა მსხვილი ქალაქების მცხოვრებლები. "ჰუმანა გეენბეხას" საქართველოს წარმომადგენლობაში ამბობენ, რომ ჩვენთან რეალიზებადი "ჰუმანას" შემადგენლობა ასივე პროცენტით შეესაბამება კოლოფზე მითითებულს და ამ ხნის განმავლობაში მასთან დაკავშირებით რაიმე სახის ჩივილი, მშობლების ან პედიატრების მხრიდან, არ ყოფილა. აქვს თუ არა ჩვენს მოსახლეობას შეშფოთების საფუძველი, სანიტარიული სამსახურები უახლოესი კვირის განმავლობაში დაადგენენ. თბილისის სანიტარიული სამსახურის უფროსის ჯულული ახვლედიანის ცნობით, "რემედიას" წარმოების პროდუქცია ჩვენთან არ დაფიქსირებულა, რაც შეეხება "ჰუმანას" პროდუქციას, მისი მიკრობიოლოგიური, ტოქსიკოლოგიური ანალიზი და ანალიზი ვიტამინების შემცველობაზე უკვე კეთდება. მათ პასუხებამდე, ამ ფირმის ბავშვის საკვების რეალიზება საქართველოს ბაზარზე დროებით შეჩერებულია.

ზღვარზე

## არშემდგარი სასწაული

### ჯანდაცვის რეფორმა - რვა წელი ფასების დადგენაში

USAID IREX

მაკა ჭაიანი

*ყველაზე მოკრძალებული გამოთვლებით, საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავად, ჩვენს მოსახლეობას წელიწადში, საშუალოდ, 32 დოლარის გადახდა უწევს. ეს – იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ხანგრძლივ და სერიოზულ დაავადებას არ გადაეყარა. რა ფასად უჯდება მას ეს, რას ყიდის, ვისგან რას სესხულობს და ჩასესხებას როგორლა ახერხებს, ოფიციალურ სტრუქტურებს არ გაურკვევიათ, თუმცა იმ ფაქტს, რომ ჯანმთელობის სფეროს ყველაზე მსხვილი დამფინანსებელი საქართველოში გაღატაკებული მოსახლეობაა, აღიარებენ. სხვა დამფინანსებლები, ასე ვთქვათ, ოფიციალური პირები გახლავან: ცენტრალური, ადგილობრივი ბიუჯეტები და სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია. არსებობს ჯანდაცვის დაფინანსების კიდევ რამდენიმე სახე – სტაციონარების შიდა სტანდარტები და თანადაფინანსება, რომელიც, ისევ და ისევ, მოსახლეობის კისერზე გადადის.*



რვაწლიანი რეფორმის შედეგი.

ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ – ცენტრალური ბიუჯეტი იქნება ეს, მუნიციპალური, სადაზღვევო თანხები თუ სხვა, ქვეყნის მოსახლეობის შრომით ივსება. აქედან გამომდინარე, ადამიანს ლოგიკურად უჩნდება კითხვა: რამდენჯერ უნდა გადავიხადო, რომ ერთხელ მაინც მიმკურნალონ? რადგან საქართველოს ჯანმრთელობის სისტემაში სოლიდარობის პრინციპი მოქმედებს, ამაზე გარკვეული პასუხის მიღება შეუძლებელია. სავალდებულო სადაზღვევო ანარიცხებით, ე.წ. 3+1-ით, რომელსაც დასაქმებულთა ხელფასებს არიცხავენ და საბიუჯეტო ტრანსფერით ფინანსდება, სახელმწიფო პროგრამები, რომელშიც ადამიანი, როგორც უკვე ვთქვით, ვერ "ჩაეტია", უფასო სამედიცინო დახმარებას ვერ მიიღებს. მართალია, კომპანია ჯანმრთელობის დაცვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსაკუთრებულ შემთხვევებსაც აფინანსებს – ბედნიერი გამონაკლისების შემთხვევაში, ადამიანებს მკურნალობის, ოპერაციებისა და, სხვა ხარჯებს უფარავს, მაგრამ მისი შესაძლებლობები მეტად შეზღუდულია.

უბედურება ის არის, რომ კმაყოფილი მოსახლეობის არც ის ნაწილია, რომლის ჯანმრთელობაც მეორე ნაწილის სოლიდარობის წყალობით უნდა ფინანსდებოდეს. ეს იმ მარტივი და უკვე ნახსენები მიზეზის გამო, რომ ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება ძველებურად მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობს. 2000 წელს, რომელიც, სფეროს დაფინანსების თვალსაზრისით, საუკეთესოდ ითვლებოდა, სახელმწიფო პროგრამებმა დაგეგმილის მხოლოდ 81 პროცენტი შეადგინა. ციფრებს მიღმა ეს ნაწილობრივ ნამკურნალებ ადამიანებს ნიშნავს. გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთი "უცნაურობა" ჭირს – დაფინანსების ლიმიტურობა. ამ სტილით, წლის დასაწყისში, დაბალი შემოსავლების მომიზეზებით, სამედიცინო პროგრამებს იმდენით კი არ აფინანსებს, რამდენიც რეალურად არის საჭირო, არამედ, გაცილებით ნაკლებით. თითქოს, ავადმყოფობას ლიმიტირებულად შეეძლოს განვითარება. წლის ბოლოსთვის, დაფინანსების საერთო რიცხვი 80 პროცენტს მაინც უახლოვდება, მაგრამ იქამდე – მთელი გასული ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული ისეთი ფინანსური პრობლემებით იტვირთება, რომ მათი მოგვარება დარჩენილ ოთხ თვეში, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ ჯიბეზე ხელის გაკვრა იმ ადამიანებსაც უწევთ, რომელთა ჯანმრთელობის დაცვასაც, კანონის მიხედვით, სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს.

წელი წელს მისდევს, საქართველოს ჯანმრთელობის სფეროს, თითქოს, უფრო და უფრო მეტი და მეტი თანხა გამოეყოფა, მაგრამ ის, რომ ლარის რამდენიმე წლის წინანდელმა ვარდნამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნები, ყველას ავიწყდება. დღევანდელი მონაცემებით გამოდის, რომ გასულ წლებში სფერო 22 მილიონი დოლარით ფინანსდებოდა, დღეს კი გაცილებით ნაკლებით, 19 მილიონი დოლარით ფინანსდება. საქართველოს რომ განვითარებული სამედიცინო მრეწველობა ჰქონდეს, კიდევ რა უშავს, მაგრამ თითქმის ყველა საჭირო მედიკამენტი თუ ხელსაწყო საზღვარგარეთიდანაა შემოსატანი და ეს ბუნებრივად ზღუდავს არსებულ შესაძლებლობებს. ამას ისიც ემატება, რომ სამედიცინო შესატანის ამოღების თვალსაზრისით ქვეყანაში სერიოზული ხარვეზებია. რეალურად, ამ შესატანს დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 34 პროცენტი იხდის. ქვეყნის გაჭირვებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაც სწორედ მათ კისერზეა.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ თავის მოვალეობას ვერ ასრულებენ მუნიციპალური ბიუჯეტები. ოფიციალური მოთხოვნის მიუხედავად, მათ თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისთვის 2,5 ლარი უნდა გამოყონ, მაგრამ ესეც "ქაღალდის მოთხოვნად" რჩება. ამ ვალდებულების შესრულება ისეთ ძლიერ ქალაქსაც კი გაუჭირდა, როგორიც თბილისია. პრობლემას ქმნის ისიც, რომ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებს პარლამენტი არ ამტკიცებს და ამის გამო, ისინი კანონის სახეს ვერ იღებენ. პარლამენტს არც ბიუჯეტში შეაქვს პუნქტი, რომელიც, სამედიცინო ხარჯების დაფინანსებაში პრობლემების შექმნისთვის, პასუხისმგებლობას კონკრეტულ პირს დააკისრებდა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ არსებობს სერიოზული ხარვეზები ღარიბი და შედარებით მდიდარი რეგიონების დაფინანსების თვალსაზრისით, ჯანდაცვის სფეროში არსებული კორუფცია, ის, რომ მომსახურების ფასებით დაშინებული პაციენტების სიმცირის გამო, ფაქტობრივად, შემოსავლის გარეშე დარჩენილი ექიმების ნაწილი ბოლომდე ყვლეფს მას, ვინც ხელში უვარდება და ნათელი გახდება, რა სიმაღლეებს მიაღწია საქართველოს ჯანმრთელობის რეფორმამ დაბადებიდან დღემდე. სასწაული, რომელსაც საქართველოს 1994-ში ჰპირდებოდნენ, არ ახდა.

***პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთა-***

## პროფკავშირების გაერთიანებაში ჯერ ისევ ფიქრობენ

თამარ დვალი

ოპოზიციის მიერ გამოცხადებულ საყოველთაო დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების პოზიცია კვლავ გაურკვეველი და არაერთგვაროვანია. გუშინ დაწყებულ აქციას მხოლოდ განათლების პროფკავშირები შეეხმიანა და, საგანგებოდ მომზადებული ტექსტით, რაიონულ ცენტრებს მიმართა. პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში აცხადებს, რომ მათ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

განათლების პროფკავშირების თავმჯდომარის, მანანა კობახიძის თქმით, მათ უკვე მოამზადეს მიმართვის ტექსტი, რომელსაც რაიონულ პროფკავშირებს დაუგზავნიან. **"შევიმუშავეთ გადაწყვეტილება და მივმართეთ ყველა პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას, რომლებიც პროფკავშირულ კრებებზე თავად გადაწყვეტენმ მიიღებენ თუ არა მონაწილეობას დაუმორჩილებლობის აქციაში. რადგან მათ უჭირთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და ზეწოლის ეშინიათ, ჩვენ ყველაფერ ამას ორგანიზება გავუკეთეთ. ამ დროისთვის მხოლოდ ის ვიცი, რომ თბილისის მასშტაბით მხოლოდ 126-ე სკოლაა გაფიცული. ყოველ წუთს ველოდებით ახალ ინფორმაციას."**

გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში საწარმოებში სამუშაო პროცესის ჩაშლას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ საყოველთაო დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებით, მათ არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. **"მიმაჩნია, რომ განათლების პროფკავშირები მხარს ვერ დაუჭერს სწავლის შეწყვეტას,** - აცხადებს იგი, **- ბავშვები სად წავიდნენ, აღარ იყოს სწავლა? მე ვიცი, რომ უნდა მოეწყოთ პიკეტირება გამგებლებისა და სახელმწიფო მოხელეებისთვის. ანუ, კაბინეტებში მათი შესვლა შეფერხდებოდა. პროტესტის ეს ფორმა ჩემთვის მისაღებია, იმიტომ, რომ კომისიის მუშაობაზე გამგებლებს, მართლაც, დიდი გავლენა აქვთ. თუ სადმე არჩევნები გაყალბდა, გამგებლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წვლილი ძალზე დიდია. ასეთი პროტესტის ფორმებს ნორმალურად შევხვდი. რაც შეეხება იმას, რომ ადამიანი სამსახურში არ გამოცხადდეს, ეს ჩემთვის გაუგებარია. წარმოიდგინეთ აზოტის ქარხანა. რა, იქ მუშები არ უნდა გამოცხადდნენ და სამუშაო პროცესი ჩაშალონ? ვერ გავიგე, ეს რა კავშირშია არჩევნებთან. შეიძლება მუშები მივიდნენ გამგებელთან და თავიანთი პროტესტი დააფიქსირონ, მაგრამ მუშაობა რატომ უნდა შეწყვიტონ, არ მესმის."**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** განათლების მინისტრის მოადგილე რუსუდან გორგილაძე აცხადებს, რომ დღეს ქვეყანაში შექმნილი ვითარება არის ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების ძალით ხელში ჩაგდების მცდელობა. "სახელმწიფო ვალდებულია, გამოიკვლიოს არჩევნებთან დაკავშირებული ყველანაირი დარღვევა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ვითარების განმუხტვა", – მიაჩნია განათლების მინისტრის მოადგილეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წინასაარჩევნო სარეკლამო პლაკატები თავად პარტიებმა უნდა ჩამოხსნან, — აცხადებენ თბილისის კეთილმოწყობის სამსახურში, რომლის ხელმძღვანელის შალვა ბებოშვილის თქმით, კანონის თანახმად, პლაკატები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში უნდა ჩამოიხსნას. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიებს ჯარიმების გადახდა დაეკისრებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერია მეწყერსაშიშ ზონაში მდებარე ობიექტების მეპატრონეებს უსაფრთხოების დაცვისკენ მოუწოდებს და ოფიციალურ გაფრთხილებასა და შეტყობინებას გაუგზავნის. იმ კატეგორიას, რომელთა სახლები საშიშროებას უქმნის ადამიანების სიცოცხლეს, თბილისის მერი გარეუბნებში ბინების დაქირავებასა და ქირის საფასურს ქალაქის ბიუჯეტიდან გადახდას ჰპირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მესტია.** მესტიის რაიონის სოფლების წვირმისა და ნეკრესის საშუალო სკოლა ახალ წლამდე სასკოლო ინვენტარით აღიჭურვება, რაც საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქეას" მიერ განხორციელებული პროექტის შედეგად გახდა შესაძლებელი. ამ სარეაბილიტაციო პროექტებს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს. ნოემბრის ბოლოს სკოლის მოსწავლეებს სახელმძღვანელოებიც დაურიგდებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს ეგიდით 13-15 ნოემბერს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გამართული განათლების მინისტრების ტრადიციულ კონფერენციაზე ხელი მოეწერა დეკლარაციას – ინტერკულტურული დიალოგი განათლების სისტემაში. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროსაბჭოს შემადგენლობაში მყოფი 45 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, განათლების მინისტრები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბავშვთა უფლებების კონვენციის მიღების 14 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებათა კვირეული, რომელიც გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 იზოლატორიდან უნდა დაწყებულიყო, გადაიდო. თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრს, ჯერჯერობით, ოფიციალური ნებართვა სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტისგან მე-5 იზოლატორში შესვლის შესახებ არ მიუღია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მორიგი მე-14 ერთდღიანი სემინარი საქართველოს დაწყებითი პროფესიული განათლების აგრარული პროფილის სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარე ფერმერთა სწავლება-კონსულტაციების ფარგლებში, დღეს მცხეთის პროფესიულ ლიცეუმში გაიმართება. იგი მიზნად ისახავს ფერმერული საქმიანობის სწავლებას, კონსულტაციებს ფერმერული მეურნეობების მართვასთან დაკავშირებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2003-2004 წლების საშემოდგომო გაწვევის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, უშუალოდ სამხედრო ნაწილებში 380 წვევამდელია გაწვეული, 100-მა კი სამსახურის გადავადების 200-ლარიანი მოსაკრებელი გადაიხადა. ეს მაჩვენებელი ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. საშემოდგომო გაწვევა 10 ნოემბერს დაიწყო და 26 თებერვალს დასრულდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში სოციალური დაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში სავალდებულო სოციალურ დაზღვევას დაქვემდებარებულ დასაქმებულთა რეგისტრაცია და ინდივიდუალური აღრიცხვა მიმდინარეობს. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, დღეისთვის ფონდის რაიონულ ფილიალებში რეგისტრაცია გაიარა 10 603 ორგანიზაციამ და 196 209 დასაქმებულმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოქტომბრის პენსიების გაცემა საქართველოში ჯერ არ დაწყებულა. ეს თვე დაფინანსებულია 3,1 მილიონი ლარით და თანხას, ჯერჯერობით, მხოლოდ თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იღებენ. სრულად დაფინანსებულია სექტემბერში ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიებიც. სექტემბრის პენსიების სრულად გასაცემად 11,8 მილიონ ლარზე მეტია საჭირო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში თბილისის ბაზრებზე ტრიქინელოზის ორი შემთხვევა გამოვლინდა. დედაქალაქის ვეტგაერთიანების ინფორმაციით, ორივე შემთხვევა ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე დაფიქსირდა, სადაც ტრიქინელოზით დაავადებული ღორის ხორცი ლაბორატორიული შემოწმების შედეგად აღმოაჩინეს. ინფიცირებული ხორცი თბილისში დუშეთიდან იყო შემოტანილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში თანამედროვე, ეკონომიური სანათებით ახალი გარეგამანათებლების სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად ტენდერი გამოცხადდება. გამარჯვებული კომპანია 1.500 ახალ გარეგამანათებლის დაყენებას დედაქალაქში შემომავალ ცენტრალურ მაგისტრალებზე უზრუნველყოფს. მსოფლიო ბანკი ამისთვის, სავარაუდოდ, მილიონ დოლარს გამოყოფს. **მედია-ნიუსი**

# ბადრი პატარკაციშვილს უზენაეს სასამართლოში დაკითხავენ

ინგა ალავიძე

*ცნობილი სპორტსმენისა და "აირზენას" გენერალური დირექტორის კახი ასათიანის მკვლელობის შემდეგ ბიზნესმენ ჯონი გიგანის აფეთქების მცდელობა მეორე შემთხვევაა, რომელიც დიდ ბიზნესში წილების გაყოფის მოტივით დაიგეგმა.*

სასამართლო პროცესი, რომელზეც უშიშროების ყოფილ პოლკოვნიკს ასამართლებენ და რომელიც ორი კვირის წინ უზენაეს სასამართლოში დაიწყო, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა, ხმაურიანი განცხადებებისა და სერიოზული ბრალდებების განხილვის არენად იქცა. ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, საბოლოოდ როგორ განაჩენს გამოიტანს მოსამართლე ჯემალ ლეონიძე - თბილისის პროკურატურის საბრალდებო დასკვნას დაეთანხმება, თუ დაზარალებული ბიზნესმენის მიერ გამოთქმულ ვარაუდს. როგორც ცნობილია, თბილისის პროკურატურის მიერ გამოძიებულ საქმეში გიგანის მკვლელობის მცდელობის მოტივად ყოფილ ბიზნესპარტნიორებს - მაისურაძესა და გიგანს შორის სამორინე "ოსკარის" წილებთან დაკავშირებული დაპირისპირება დასახელდა.

აფეთქების მომდევნო დღესვე გავრცელებულ რამდენიმე ვერსიას შორის იყო ვერსია, რომლის შესახებაც თავად დაზარალებული საუბრობდა, მაგრამ მისი მოკვლევა გამოძიებას არ უცდია, რადგან დაზარალებულმა ჯონი გიგანმა გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში საკუთარი ვარაუდის შესახებ არაფერი თქვა.

ორი კვირის წინ დაწყებულ სასამართლო პროცესზე თბილისის პროკურატურის მიერ გამოძიებული საქმე თავდაყირა დადგა და ამჯერად ახალი ვერსიის განხილვა მიმდინარეობს. საქმე ისაა, რომ პროცესზე დაკითხულმა ჯონი გიგანმა უკმაყოფილება გამოთქვა მისი აფეთქების მცდელობის შესახებ გამოძიების მიერ დადგენილი მოტივაციის თაობაზე და გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა, სასტუმრო "აჭარასთან" მის წინააღმდეგ განხორციელებული აფეთქება პატარკაციშვილის მედია-ჰოლდინგის დაცვის უფროსმა ალექსანდრე მაისურაძემ ბადრი პატარკაციშვილის დაკვეთით დაგეგმა და არა პიროვნული ინტერესის საფუძველზე, როგორც ეს დღემდეა ცნობილი. ჯონი გიგანის განცხადებით, პატარკაციშვილისა და მისი ბიზნესინტერესები საფეხბურთო კლუბ "დინამოს" გამო გადაიკვეთა. **"კლუბი "დინამო" რამდენიმე წლის წინათ ორგანიზაცია "ბერმუხამ" შეიძინა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მე ვიყავი. მოგვიანებით "დინამოში" საკუთარი ინტერესი ბადრი პატარკაციშვილს გაუჩნდა და შესაძლოა, ამიტომ მოინდომეს ჩემი თავიდან მოშორება,"** – ასეთია გიგანის ვარაუდი.


სასამართლო განსასჯელის პატარკაციშვილთან კავშირს ადგენს.
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გიგანსა და პატარკაციშვილს შორის "დინამოს" გამო დავა მართლაც მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, კლუბის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ რატიანმა თავისი 28-პროცენტიანი წილი გიგანს გადასცა. სავაჭრო ცენტრ "მორკინალის" მფლობელი, "დინამოს" ახლანდელ მფლობელთან – ბადრი პატარკაციშვილთან სამართლებრივ ომშიც კი ჩაება. თუმცა, მაშინ საოლქო სასამართლოში გამართული პროცესი ჯონი გიგანმა წააგო და იგი საკუთარი ბიზნესინტერესების დაცვას სტრასბურგის სასამართლოშიც კი აპირებდა.

ჯონი გიგანის ახალი ჩვენების საფუძველზე სასამართლო პროცესზე დაიკითხა ბადრი პატარკაციშვილის მედია-ჰოლდინგის ყოფილი ხელმძღვანელი დავით შიმშილაშვილი. მან დაადასტურა, რომ ალექსანდრე მაისურაძე, რომელსაც რამდენიმე წელია კერძო დაცვის სამსახური აქვს შექმნილი, პატარკაციშვილის მედია-ჰოლდინგის დაცვაში მართლაც მუშაობდა. გუშინდელ პროცესზე სასამართლოს ჩვენება მისცა ბადრი პატარკაციშვილის მედია-ჰოლდინგის ოფისის დაცვის ორმა თანამშრომელმა. მათაც დაადასტურეს, რომ მაისურაძე მედია-ჰოლდინგის დაცვას ახორციელებდა და რომ სამორინე "ოსკარიდან" წაღებული ნივთები მაისურაძემ სწორედ მედია-ჰოლდინგის ოფისში მიიტანა.

თუმცა, პატარკაციშვილის მედია-ჰოლდინგის თანამშრომლები ვერაფერს ამბობენ ბადრი პატარკაციშვილისა და ალექსანდრე მაისურაძის პირადი კავშირების შესახებ. ამიტომაც, დაზარალებული ბიზნესმენის ვარაუდით, მისი მანქანის აფეთქების დამგეგმავ ბადრი პატარკაციშვილს თავად მოუწევს უზენაეს სასამართლოში მისვლა და ყველა საეჭვო კითხვაზე პასუხის გაცემა.

გუშინ სასამართლო კოლეგიამ სახელმწიფო ბრალმდებლის ზაზა გრიგოლიას შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბადრი პატარკაციშვილის მოწმედ დაკითხვის გადაწყვეტილება მიიღო.

პრესინგი

# გახმაურებული გატაცების საქმის გამოძიება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება

*თავის დროზე გოგა ჩხეიძის გატაცების საქმის გახსნას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, მაგრამ რამდენიმე დღეში ხმაურით დაკავებული გამტაცებლების საქმე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და საზოგადოებაც უდანაშაულოდ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე დაპატიმრებული ადამიანების ბედზე ალაპარაკდა. ოთხთვიანი გამოძიების შედეგი კი ის გახლავთ, რომ დაკავებული სამი ბრალდებულიდან ორი - იაკობ ხიტიბაშვილი და იამზე კირკიტაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. სხვათა შორის, თავის დროზე ამ საქმეზე "24 საათიც" წერდა, რის გამოც, როგორც ჩხეიძეების, ასევე იმერეთის პროკურატურის "რისხვა" დავიმსახურეთ. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ვარაუდი გამართლდა.*

თამარ კაციტაძე

გოგა ჩხეიძე 15 მაისს ბაღდადის რაიონში გაიტაცეს და ორ დღეში გაათავისუფლეს. მძევლის გათავისუფლებიდან რამდენიმე დღეში სამართალდამცველებმა გატაცებაში ეჭვმიტანილი პირველი ადამიანი, ე.წ. კანონიერი ქურდი ავთანდილ კერვალიშვილი, მეტსახელად "ნიკელა" დააპატიმრეს. ადვოკატ ხათუნა სალუქვაძის მტკიცებით, კერვალიშვილს გატაცებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მას გატაცებულის დაბრუნებაში დახმარება ჩხეიძეების ოჯახის ახლობელმა იაკობ ხიტიბაშვილმა სთხოვა. სხვათა შორის, გამტაცებლებმა გოგა ჩხეიძე, სწორედ "ნიკელას" შუამავლობით, 30 ათასი დოლარის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

კერვალიშვილის დაპატიმრების შემდეგ, იმერეთის სამართალდამცველებმა მეორე ეჭვმიტანილიც - იაკობ ხიტიბაშვილიც დააპატიმრეს, რომელიც "ნიკელასთან" დაკავშირებით სიმართლის სათქმელად ქუთაისის პოლიციაში საკუთარი ნებით გამოცხადდა. არადა, კანონდამცველებისთვის ხიტიბაშვილს მართლაც ბევრი ჰქონდა სათქმელი. სალუქვაძის თქმით, გოგა ჩხეიძის გათავისუფლების მეორე დღეს, ჩხეიძეებმა მათთან გატაცებულის დაბრუნების აღსანიშნავად დაპატიჟებული ხიტიბაშვილი და მისი ისრაელელი სტუმარი ილო სეფიაშვილი დაატყვევეს. გოგა ჩხეიძის მამას მამუკა ჩხეიძეს ეჭვი ჰქონდა, რომ მისი შვილის გამტაცებლების ორგანიზატორები ხიტიბაშვილი და სეფიაშვილი იყვნენ, მაგრამ ორდღიანი წამების შემდეგ, მათ უდანაშაულობაში დარწმუნდნენ და გაუშვეს. ადვოკატის განცხადებით, ხიტიბაშვილს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ უმძიმესი დაზიანებები დაუდგინა, რის გამოც, მას ჩხეიძეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სურდა. მაგრამ მამუკა ჩხეიძემ დაასწრო და ქუთაისის პროკურატურას ხიტიბაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. სწორედ დაზარალებულის მამის ეჭვი გახლავთ ერთადერთი მტკიცებულება კერვალიშვილის და ხიტიბაშვილის დაპატიმრებისა.

ცოტა ხანში ხიტიბაშვილის ბედი გაიზიარა სამი შვილის დედამ იამზე კირკიტაძემაც. გამოძიების მტკიცებით, გატაცებულ ჩხეიძეს მის სახლში მალავდნენ.

მას შედეგ, რაც ხიტიბაშვილის გულშემატკივრები დარწმუნდნენ, რომ ქუთაისის პროკურატურაში სიმართლეს ვერ დაამტკიცებდნენ, უდანაშაულო ადამიანების გათავისუფლების მოთხოვნით, მასმედიას და სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს. თუმცა, მშვიდობით არც ომბუდსმენის აპარატში დაგეგმილი პრესკონფერენცია დამთავრებულა. მასმედიასთან შეხვედრისას, სახალხო დამცველის აპარატში მოულოდნელად ჩხეიძეებიც გამოცხადნენ და საბოლოოდ, ყველაფერი მუშტი-კრივში გადაიზარდა.

**"ამ ფაქტით ქუთაისის პროკურატურა იმდენად იყო დაინტერესებული, რომ მოკვლევაც კი ჩაატარა. არადა, კანონით ამის უფლება არ ჰქონდათ. მოგვიანებით, როგორც ჩანს, მიხვდნენ შეცდომას და მამუკა ჩხეიძემ, საქმის აღძვრის მოთხოვნით, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო ნაწილს მიმართა. ომბუდსმენის აპარატში მომხდარ ფაქტზე ამჟამად ხულიგნობის მუხლით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მაგრამ ჩხეიძეები ჩვენების მისაცემად აღარ ცხადდებიან, რადგან მიხვდნენ, რომ საქმე მათ წინააღმდეგ შეტრიალდება",** – ამბობს ხათუნა სალუქვაძე.

გატაცებაში ეჭვმიტანილთა დაკავების ირგვლივ მომხდარი სკანდალის შემდეგ ჩხეიძის გატაცების საქმით გენერალური პროკურატურაც დაინტერესდა. გამოძიების მასალების შემოწმების შემდეგ ზედამხედველმა პროკურორმა ქუთაისის პროკურატურას წერილობითი მითითებები გაუგზავნა, რისი გათვალისწინებაც, როგორც წესი, ქვემდგომი პროკურატურისთვის სავალდებულოა.

გაგზავნილ წერილში პირდაპირ არის მითითებული, რომ ხიტიბაშვილის საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რაც შეიძლება მისი გათავისუფლების საფუძველი გახდეს.

**"ხიტიბაშვილი ქუთაისის სასამართლომ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლა. მაგრამ, გენპროკურატურის მითითების მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმე არავის შეუწყვეტია. არადა, მომხდარი განუკითხაობის შემდეგ ხიტიბაშვილების ოჯახმა გერმანიის საელჩოს თავშესაფარი სთხოვა და საემიგრაციო ვიზებიც მიიღეს. ეს ქუთაისის სამართალდამცველებმა კარგად იციან და საქმის შეწყვეტას სწორედ ამიტომ აჭიანურებენ. მათ იმედი აქვთ, რომ ხიტიბაშვილები ფულს გადაიხდიან",** – ამბობს სალუქვაძე.

ხიტიბაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ქუთაისის პროკურორს შალვა ფხაკაძეს.

**"პროცესუალური გადაწყვეტილება ჯერ არ მოგვიღია, თუმცა მასალების გადასინჯვა დღის წესრიგში დგას და ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, წინასწარ ვერაფერს გეტყვით",** – გვითხრა შალვა ფხაკაძემ.

ქუთაისის პროკურორთან გასაუბრების შემდეგ, ანალოგიური კითხვით გენერალურ პროკურატურასაც მივმართეთ. როგორც საქმის ზედამხედველმა პროკურორმა მანანა ცაავამ გვითხრა, ხიტიბაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ოფიციალურად 24 ოქტომბერს შეწყდა.

ერთი სიტყვით, ხიტიბაშვილის მიმართ საქმე შეწყვეტილი ყოფილა, მაგრამ ამ ფაქტს ქუთაისის პროკურატურა საგულდაგულოდ ასაიდუმლოებდა. რატომ, ძნელი სათქმელია. სხვათა შორის, ხიტიბაშვილისთვის ბრალდების მოხსნა მისმა ადვოკატმაც პირველად ჩვენგან შეიტყო.

**"ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დასტურდება ის, რომ სამართალდამცველები მართლაც გარკვეულ გასამრჯელოს ელოდნენ",** – ამბობს სალუქვაძე.

მოკლედ, როგორც ადვოკატი ირწმუნება, თეთრი ძაფით შეკერილი, ჩხეიძის გატაცების საქმის გამოძიების ერთი ნაწილი საბოლოოდ დაირღვა. სამაგიეროდ, დღემდე გაურკვეველია, რა ბედი ელის ციხეში დარჩენილ ერთადერთ ბრალდებულს ავთანდილ კერვალიშვილს, რომლის ბრალეულობაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ხიტიბაშვილის ბრალდებასთან.

**"ისევე, როგორც ხიტიბაშვილის საქმეზე, გამოძიებას კერვალიშვილის მიმართაც არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია. მაგრამ ქუთაისელი სამართალდამცველები ყველაფერს აკეთებენ, რათა სხვა, გამოგონილი ბრალდებები მაინც შეაგროვონ და საქმე ბოლომდე არ დაეშალოთ. ამის უამრავი მტკიცებულება გაგვაჩნია და სასამართლოზე წარვადგენთ. ქუთაისში ათობით პოლიციელი კერვალიშვილის ახლობლებს სახლში ყოველგვარი სანქციის გარეშე უვარდება. ჩხრეკენ მათ ბინებს და აიძულებენ ახსნა-განმარტებაში დაწერონ - თითქოს ჩხეიძის გატაცების დღეებში კერვალიშვილი ნიღბით ნახეს",** – ამბობს ადვოკატი სალუქვაძე.

ადვოკატის მიერ დასახელებულ დარღვევებთან ერთად ჩხეიძის გატაცების საქმეში კიდევ ერთი კითხვის ნიშანი არსებობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩხეიძეებმა ხიტიბაშვილი და სეფიაშვილი ორი დღით დააპატიმრეს და სასტიკად აწამეს. ამის გამო ხიტიბაშვილი და სეფიაშვილი (მან განცხადება ისრაელის საელჩოს მეშვეობით შეიტანა გენერალურ პროკურატურაში, მაგრამ, მავანთა დამსახურებით, მასალები ბოლო დღეებამდე რეგიონის პროკურატურას არ გადაგზავნია) ოთხი თვის განმავლობაში ჩხეიძეების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვენ, მაგრამ უშედეგოდ.

სხვათა შორის, ქუთაისის პროკურატურას გენერალურმა პროკურატურამ მითითება ამ საკითხზეც მისცა და ჩხეიძეების მიერ ხიტიბაშვილის და სეფიაშვილის წამების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

**"ამ საკითხზე მიმდინარეობს შემოწმება და დანაშაული თუ გამოიკვეთება, საქმესაც აღვძრავთ",** – გვითხრა ქუთაისის პროკურორმა, რომელმაც ანალოგიური პასუხი ჯერ კიდევ სამი თვის წინ გაგვცა.

**"თავის დროზე მამუკა ჩხეიძემ დაიტრაბახა, პოლიციას და პროკურატურას იმდენ ფულს ვუხდი, ჩემს წინააღმდეგ საქმეს ვერ აღძრავენო. რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩხეიძე მართალია. სხვა რითი უნდა აიხსნას გენპროკურატურის მითითების შეუსრულებლობა,** – ამბობს ხათუნა სალუქვაძე, – **თუ ჩხეიძეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება, ხიტიბაშვილების ოჯახი და მათ ახლობლები გენპროკურატურის წინ შიმშილობის დაწყებას აპირებენ".**

რა შედეგს გამოიღებს სიმართლის დასადგენად დაზარალებულთა ამგვარი პროტესტი, მომავალი გვიჩვენებს.

მოკლედ

## მკვლელს უზენაესი სასამართლო გაასამართლებს

გურჯაანის რაიონული პროკურატურიდან უზენაეს სასამართლოში განსახილველად შევიდა საქმე, რომელიც ამ რაიონის სოფელ მელაანში წლეულს, 9 მაისს, მამა-შვილ ილია და ჯულიეტა გოგლიაშვილებზე თავდასხმას და ილია გოგლიაშვილის განზრახ მკვლელობას ეხება. ამ ბრალდებით სასამართლოს წინაშე მელაანელი გია პატიაშვილი წარდგება. საბრალდებო დასკვნის თანახმად, პატიაშვილი მელაანში გოგლიაშვილების გვერდით ცხოვრობდა.

გურჯაანის პროკურატურიდან გადმოგზავნილი საბრალდებო დასკვნის თანახმად, გია პატიაშვილს 2003 წლის 9 მაისს დედამ, ჟუჟუნა პატიაშვილმა უთხრა, რომ მას ილია გოგლიაშვილმა ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა გასაყიდი პრეზერვატივები. გია პატიაშვილმა ჩათვალა, რომ ამ ნათქვამით გოგლიაშვილმა შეურაცხყო დედამისი და მთელი ოჯახი. იმავე დღეს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი გია პატიაშვილი სამზარეულო დანით შეიარაღებული შეიჭრა გოგლიაშვილების ოჯახში და მძინარე ილია გოგლიაშვილს დანით გულ-მკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. ხმაურზე გაღვიძებულმა ჯულიეტა გოგლიაშვილმა სცადა, მამას მიშველებოდა, მაგრამ პატიაშვილმა ისიც დაჭრა. ჯულიეტა გოგლიაშვილი ყვიროდა და მეზობლებს საშველად უხმობდა, ამით შეშინებული პატიაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების გამო ილია გოგლიაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. ექიმებმა ჯულიეტა გოგლიაშვილის გადარჩენა მოახერხეს. საქმის განხილვის თარიღს მოსამართლე თამაზ ილიაშვილი უახლოეს მომავალში დანიშნავს.

*მედია-ნიუსი*

ორი სიტყვით

**თელავი.** გუშინ, სოფელ მანავთან, მოსახლეობამ რამდენიმე საათით გზის პიკეტირება მოახდინა. საგარეჯოს რაიონის გამგებლის გიორგი თათრიშვილის თქმით, სოფელ მანავში გზის გადაკეტვა დაკავშირებული იყო ბოლო დროს ამ სოფელში გახშირებულ ყაჩაღობებთან. ამის გამო მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად გადაკეტა თბილისი-საგარეჯოს საგზაო მაგისტრალი და პოლიციისგან აღმკვეთი ღონისძიებების გატარება მოითხოვა.

ადგილზე მისული პოლიციის თანამშრომლები და რაიონის ხელმძღვანელობა მოსახლეობას დაჰპირდნენ, რომ ყველაფერს იღონებენ, რათა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ადამიანები ოპერატიულად იქნენ მხილებულნი და დაკავებულნი. ამის შემდეგ მოსახლეობამ გზის პიკეტირება შეწყვიტა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში, თბილისში, 12 დანაშაული არის რეგისტრირებული. მათგან ყველა გახსნილია. დანაშაულის ამგვარი სიმცირე დედაქალაქში მიმდინარე წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

გასულ კვირას ჩადენილია მკვლელობის ერთი მცდელობა, ჯანმრთელობის დაზიანებისა და ხულიგნობის თითო შემთხვევა, ხუთი ქურდობა და სხვა დანაშაული.

დაკავებულია ორი ჯგუფი ოთხი პირის შემადგენლობით. მათ ოთხი დანაშაული ჩაიდინეს. გამოვლენილია ნარკოტიკის მოხმარების 14 ფაქტი, მათ შორის ერთზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების ფაქტზე აღძრულია ერთი სისხლის სამართლის საქმე. ამოღებულია ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 30 ვაზნით; დააკავეს ქურდობისათვის ძებნილი. საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა ავტოსაგზაო წესების 1574 დარღვევა აღრიცხეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ, საქართველოში, 12 დანაშაული აღირიცხა, გახსნილია – 10. ექვსი ავტოსაგზაო შემთხვევიდან ხუთი სიკვდილით დასრულდა; ქურდობის ორი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ასევე გაიხსნა თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულისა და ნარკომანიის თითო შემთხვევა; დაკავებულია სამი ძებნილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ერთი დანაშაული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს, ღამის 01.00 საათზე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მომხდარ ავტოავარიას 29 წლის შოთა ბეროძის სიცოცხლე ემსხვერპლა. ფეხით მოსიარულე ბეროძეს ავტომანქანა „გოლფი" დაეჯახა, რომელსაც 21 წლის უჩა უჩანეიშვილი მართავდა. მიღებული დაზიანებების გამო ბეროძე ადგილზე გარდაიცვალა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქმეს იძებს შს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამსახური. უჩანეიშვილი ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით არის გაშვებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 30 წლის გია მანგოშვილი 15 ნოემბერს, საკუთარ სახლში, თბილისში, სარაჯიშვილის ქ. N8-ში ჩამომხრჩვალი იპოვეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, მანგოშვილმა თავი მოიკლა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს ინდივიდუალური მეწარმე „მედეა ლომსაძის" დირექტორი, რუსთავში მცხოვრები 39 წლის მედეა ლომსაძე, რომელიც თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე განთავსებულ ძეხვისა და სოსისის დამამზადებელ საამქროში ამზადებდა ფალსიფიცირებულ ძეხვსა და სოსისს, რომელსაც შემდგომში რეალიზაციას უკეთებდა თბილისის მარკეტებსა და სუპერმარკეტებში. ამოღებულია 356 კილოგრამი ფალსიფიცირებული ძეხვი და სოსისი. მათი ნიმუშები შემდგომი ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით გადაგზავნილია შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტურ მთავარ სამმართველოში. ტარდება ღონისძიებები ფალსიფიცირებული სოსისისა და ძეხვის სავაჭრო ობიექტებიდან ამოღების მიზნით. **მედია-ნიუსი**

## ალან ჩოჩიევს ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებას ახლა აბრალებენ

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს, თავის დროზე სამაჩაბლოს კონფლიქტის გაღვივებაში დიდი როლის შემსრულებელი "ადამონ ნიხასის" დამფუძნებელს ალან ჩოჩიევს ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველებმა ბრალდება წაუყენეს ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებისთვის. თუმცა, ეს მისი ერთადერთი ბრალდება არ არის – ჩრდილოეთ ოსეთის პროკურატურამ მას ბრალი რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის კიდევ ერთი მუხლით წაუყენა, რომელიც ცილისწამებას გულისხმობს.

სამართალდამცველების მტკიცებით, ჩოჩიევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი გახდა ღია წერილი, რომლითაც იგი საქართველოს პრეზიდენტის - ედუარდ შევარდნაძის გასამართლებას ითხოვდა "რესპუბლიკაში პროფაშისტური პოლიტიკის სახელმწიფო რანგში აყვანის" გამო. გარდა ამისა, ჩოჩიევი მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, ეღიარებინა "90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განხორციელებული ოსების გენოციდი".

13 ოქტომბერს ალან ჩოჩიევი ვლადიკავკაზში დააპატიმრეს. დაპატიმრების დღეს ჩოჩიევის მეუღლე დარწმუნებული იყო, რომ მისი ქმარი მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ იგი 19 ოქტომბერს, ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობის სახლთან, შიმშილობის დაწყებას აპირებდა საქართველოდან დევნილი ოსების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

## აფხაზეთის ტერიტორიიდან იარაღი რუსეთის მოქალაქეებს გაჰქონდათ

აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსეთში იარაღისა და საბრძოლო მასალის გატანის მცდელობისათვის რუსეთის სამი მოქალაქე დააკავეს. ამის თაობაზე განცხადება გააკეთა ფედერალური უშიშროების სამსახურის ჩრდილოკავკასიის რეგიონალური სამმართველოს პრესცენტრის ხელმძღვანელმა სერგეი ლივანცოვმა.

მისი თქმით, მესაზღვრეებმა დააკავეს ორი მამაკაცი და ერთი ქალი. მათი მანქანის დათვალიერებისას საბაჟოს თანამშრომლებმა "აკ-74" სისტემის ორი ავტომატი, 60 ტყვია, ოთხი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმტყორცნი "მუხა" და ორი მონადირის დანა აღმოაჩინეს.

ლივანცოვის ცნობით, იარაღი და საბრძოლო მასალა ამოღებულია და მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

პრესცენტრის მონაცემებით, წლის დასაწყისიდან რუსეთის საზღვრის ამ მონაკვეთზე მესაზღვრეებს საზღვრისა და სასაზღვრო წესების 2000 დამრღვევი ჰყავთ გამოვლენილი, რომელთაგან 20 მაინც იყო კავშირში არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებებთან. საზღვარზე ამოღებულია 40-მდე სხვადასხვა სახის იარაღი, 70 ათასი ვაზნა, 30 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება.

## შვეიცარიაში ბერეზოვსკის მოღვაწეობის გამოძიება დაიწყეს

შვეიცარიელი პროკურორის ვალენტინ როშახერის თქმით, შვეიცარიის ხელისუფლება აპირებს, გამოძიება ჩაატაროს კრიმინალური სტრუქტურების მოღვაწეობასა და ფულის "გათეთრებაში" ეჭვმიტანილი რუსი ბიზნესმენის - ბორის ბერეზოვსკის საქმიანობის ირგვლივ. როგორც ცნობილია, რუსი სამართალდამცველები ბერეზოვსკის იმაში ედავებიან, რომ იგი სწორედ შვეიცარიული ფირმების დახმარებით თაღლითობდა.

"ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, იყო თუ არა მისი შვეიცარიაში მოღვაწეობა კანონიერი, ამიტომაც გადავწყვიტეთ გამოძიების დაწყება", - განაცხადა როშახერმა ერთ-ერთი შვეიცარიული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში.

## უესლი კლარკი მილოშევიჩის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს

ევროპაში ნატო-ს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი, გადამდგარი გენერალი უესლი კლარკი აცხადებს, რომ მზად არის ჰააგაში ჩავიდეს და ჩვენება მისცეს იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის წინააღმდეგ.

**"მილოშევიჩის საქმის განმხილველი ტრიბუნალის მთავარმა პროკურორმა მთხოვა, რომ 15 და 16 დეკემბერს ტრიბუნალის წინაშე ჩვენება მივცე",** - ნათქვამია გენერალ კლარკის საარჩევნო შტაბის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც ცნობილია, კლარკი ამერიკის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება 2004 წლის არჩევნებზე და მას ჰააგაში გამგზავრების წინ აქტიური წინასაარჩევნო კამპანიის დროებით შეწყვეტა მოუწევს.

**"ამ პროცესის ისტორიული მნიშვნელობის გამო დავთანხმდი ჩვენების მიცემას. კაცობრიობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სამხედრო დანაშაულის გამო პასუხს სახელმწიფოს მეთაური აგებს",** - განაცხადა კლარკმა და ხაზი გაუსვა, რომ მილოშევიჩის წინააღმდეგ ჩვენებას "ამერიკის ხელისუფლების სანქციით" აძლევს.

თავისი სამხედრო კარიერის მანძილზე კლარკი რამდენჯერმე შეხვდა მილოშევიჩს და ნატო-ს მიერ ბელგრადზე საჰაერო დარტყმების განხორციელებამდე მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის სასამართლო პროცესის მნიშვნელობასთან ერთად, კლარკმა აღნიშნა, რომ ჰააგიდან **"მძლავრი სიგნალი უნდა მიიღონ სხვა ქვეყნების ლიდერებმა იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი გენოციდის, სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მიმართ".**

## ორი ტონა შავი ხიზილალა განადგურდება

ჟენევაში ლიკვიდირებულია კონტრაბანდული შავი ხიზილალის ევროპაში უმსხვილესი იატაკქვეშა ბირჟა. პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ამოღებულ იქნა 2 მილიონი დოლარის ღირებულების 2 ტონა ხიზილალა.

შავი ხიზილალის კონტრაბანდის უმსხვილესი ქსელის გამოვლენაზე რამდენიმე ქვეყნის პოლიცია და სპეცსამსახურები გაერო-ს სპეციალიზებული ორგანიზაციის – გადაშენების საშიშროების მქონე ცხოველებითა და მცენარეებით ვაჭრობის კონვენციის ეგიდით მუშაობდნენ. ძირითადად, შავი ხიზილალის კონტრაბანდა რუსეთიდან და ყაზახეთიდან ხდებოდა.

ინფორმირებულ წყაროთა ცნობით, კონტრაბანდისტთა ერთ-ერთი გზა დუბაიზე გადიოდა: შავი ხიზილალა ყაზახეთიდან თვითმფრინავებით დუბაიში გადაჰქონდათ, იქიდან კი ყალბი დოკუმენტებით - ჟენევაში, სადაც საერთაშორისო აეროპორტის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში ფუნქციონირებდა სწორედ ხიზილალის უმსხვილესი იატაკქვეშა ბირჟა. სწორედ აქედან ნაწილდებოდა საქონელი ევროკავშირის სხვა ქვეყნებში.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
■ ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ: 29-48-61

# მარადისობის დასასრული

პირველი გვერდიდან

ალბათ იყო დრო, როდესაც ის ჩვეულებრივი ადამიანი იყო, თავისი ღირსება-ნაკლოვანებებით, მაგრამ არავინ იცის, როდის იყო ეს დრო. იყო კი საერთოდ?

ედუარდ შევარდნაძე - საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი;

ედუარდ შევარდნაძე - საქ. სსრ კპ ცკ-ს პირველი მდივანი;

ედუარდ შევარდნაძე - სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრი და სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი;

ედუარდ შევარდნაძე - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფოს მეთაური;

ედუარდ შევარდნაძე - საქართველოს პრეზიდენტი.

ერთი სახე - ძალაუფლების სხვადასხვა ჰიპოსტასი. შევარდნაძე, როგორც განკაცებული ძალაუფლება. მარადიული ძალაუფლების სიმბოლო. თვით მარადისობა, რომელიც ყოველთვის იყო, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის მარადისობაა და არ შეიძლება არ იყოს.

2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები, მართლაც, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ არჩევნებმა ცხადლივ აჩვენა - მარადისობასაც აქვს დასასრული.

შევარდნაძეს ადრეც აკრიტიკებდნენ, ებრძოდნენ კიდეც, მის გადადგომასაც მოითხოვდნენ და ტერაქტსაც უწყობდნენ, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე ის მაინც ძალაუფლების ეგზისტენციალურ განსახიერებად რჩებოდა. არავის დაუყენებია ეჭვქვეშ მისი, როგორც პოლიტიკური პროცესების შემოქმედის როლი. მასზე ამბობდნენ, რომ რაღაცას არ აკეთებს, რაღაც არ სურს, ზოგი იმასაც ამბობდა, რომ არ იცის, მაგრამ თითქმის არავის უთქვამს, რომ არ შეუძლია. მასში ხედავდნენ ღმერთს, სატანას, სტრატეგს, ინტრიგანს, პროდასავლელს და პრორუსს. მაგრამ არასდროს - ადამიანს.

2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებში ქართველმა ხალხმა ორჯერ უთხრა "არა" შევარდნაძეს - ერთხელ, როგორც ძალაუფლების სიმბოლოს და მეორედ, როგორც ადამიანს.

2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებში ხალხმა მკაფიოდ დააფიქსირა, რომ მას არ უნდა *ასეთი ძალაუფლება* და მას არ სურს ძალაუფლებით აღჭურვოს *ეს ადამიანი*.

არ სურს, რადგან შევარდნაძის მმართველობა დაემსგავსა სიტუაციას, რომელიც აღწერილია რობერტ ლუის სტივენსონის მოთხრობაში "თვითმკვლელთა კლუბი": ცხოვრებამობეზრებული ადამიანები უსხედან მაგიდას, სადაც რიგდება კარტი. ვისაც ყვავის ტუზი შეხვდება, ის უნდა მოკვდეს, ხოლო ვისაც ჯვრის ტუზი ამოუვა, სიკვდილმისჯილის მკვლელობა უნდა იკისროს. კარტს არიგებს კლუბის პრეზიდენტი. ის "მუდმივი სიდიდეა" და არასდროს არაფერი ემუქრება. ვიღაცას კლავენ, ვიღაცა კლავს, პრეზიდენტი კი კარტის დარიგებას განაგრძობს.

2003 წლის 2 ნოემბერს ხალხმა ცალსახად განაცხადა: ჩვენ აღარ გვინდა ასეთი თამაში. აღარ გვინდა "მუდმივი სიდიდე," რომელიც თამაშის წესებსაც თვითონ ადგენს და მთავარი არბიტრიც თვითონაა.

და მოხდა სასწაული. ჩვენ ვიხილეთ ის, რაც ადრე არასდროს გვიხილავს: ვიხილეთ შევარდნაძე-ადამიანის შემზარავი სახე - თავის სკამს ჩაბღაუჭებული, დაბერებული პროვინციალი, სრულიად არაადეკვატური შექმნილი რეალობის მიმართ, ყველაფერზე წამსვლელი და ყველაფრის მკადრებელი.

ამ დღეებში ბევრი ითქვა იმის თაობაზე, რომ ქართული საზოგადოება გაიზარდა, რომ ეს საზოგადოება აღარ მოითმენს მისი ღირსების შელახვას. რომ თუკი ყველა ერს ჰყავს ისეთი ხელისუფლება, როგორსაც იმსახურებს, დღეს საქართველო ნამდვილად არ იმსახურებს ამ ხელისუფლებას და ა. შ.

პირველი და ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ღირსეული საზოგადოებისა კი ისაა, რომ ის თვითონ განასახიერებს ძალაუფლებას და არ მიაწერს ამ ფუნქციას ვიღაც კონკრეტულ პიროვნებას. ხელისუფლების უმაღლეს პირს ლეგენდარულ დემიურგად კი არ აღიქვამს, არამედ მსახურებას მოითხოვს მისგან.

და როგორც კი საზოგადოება ასე დასვამს საკითხს, ლეგენდა კვდება. მარადისობა მთავრდება და იწყება ცხოვრება.

მაგრამ ლეგენდები ასე ადვილად არ კვდებიან. მით უმეტეს, როცა ის არა მარტო ლეგენდაა, არამედ - ძალაუფლების კონცენტრაცია, მმართველობის წესი, მმართველ ფენაში ურთიერთობათა განმსაზღვრელი ორიენტირი.



დღეს ჩვენ, ხალხი ვწყვეტთ იმას, თუ რისი დასაწყისი იქნება მარადისობის დასასრული.

სწორედ ამიტომ 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები არ არის უბრალო არჩევნები. ესაა რაგნაროკი, ღმერთების დაღუპვა, კერპების მსხვრევა, მარადისობის დასასრულის დასაწყისი.

დღეს საქართველო არჩევანს აკეთებს არა შევარდნაძესა და სააკაშვილ- ბურჯანაძე-ჟვანიას შორის. მარადისობის შარავანდედშემოძარცვული შევარდნაძე უკვე აღარ არსებობს, როგორც რეალური ხელისუფალი. ის ვერ ღებულობს და ვერც მიიღებს ვერანაირ გადაწყვეტილებებს. დღეს შევარდნაძის გახუნებულ სიმბოლოს უკან დგანან ისინი, ვინც მხოლოდ არსებული სისტემის პირობებში შეიძლება არსებობდეს, როგორც პოლიტიკური ფიგურა, როგორც მმართველი ძალა. დღეს შევარდნაძე - ადამიანი უბრალოდ ახმოვანებს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ღებულობენ ლევან მამალაძე, ირინა სარიშვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, ასლან აბაშიძე, ცოტნე ბაკურია, ჯემალ გოგიტიძე, გურამ შარაძე, კობა ნარჩემაშვილი, თამაზ გიორგაძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ვიტალი ხაზარაძე და მისთანანი. დღეს გადაწყვეტილებებს იღებენ ნანული ცაგარეიშვილი, გურამ ახვლედიანი, გია ჯოხთაბერიძე და "დიდი ოჯახის" სხვა წევრები.

დღეს ეს ხალხი წარმოადგენს შევარდნაძეს. უფრო სწორად, შევარდნაძე წარმოადგენს ამ ხალხს. ეს ხალხია ლეგენდის მემკვიდრეობა, ყავლგასული მარადისობის ნამსხვრევები, რომელთაც სურთ ისევ შეაკოწიწონ ის, რასაც 2003 წლის 2 ნოემბერს ხალხმა მტკიცედ უთხრა "არა!"

ეს არ არის სამოქალაქო დაპირისპირება, რადგან საზოგადოებაში არ არსებობს აზრთა სხვასხვაობა. არ არსებობს დაპირისპირება შევარდნაძისტთა და ანტიშევარდნაძისტთა შორის. შევარდნაძისტები, უბრალოდ, არ არსებობენ. ერთ მხარეს არის ხალხი, მეორე მხარეს კი "კოლექტიური შევარდნაძე", რომლის უკან პიროვნული ამბიცია-ინტერესების გარდა არც არაფერი დგას.

ისინი ცოტანი არიან, მაგრამ სწორედ ისინი ფლობენ სახელისუფლო ბერკეტებს. ისინი თავისით არ წავლენ, რადგან წასასვლელი არსად აქვთ. ძალაუფლების გარეშე ისინი არავის დასჭირდება. ამიტომ, არც შევარდნაძე წავა თავისით. შევარდნაძე მათ დღეს ისე სჭირდებათ, როგორც არასდროს და შევარდნაძესაც ჰაერივით სჭირდება ისინი. მხოლოდ ამ ნიშნით შეიძლება იგრძნოს შევარდნაძე-ადამიანმა თავი კვლავ ყოვლისშემძლე დემიურგად, თუნდაც ეს მხოლოდ ილუზია იყოს. მთავარია, არ დაინახო რეალობა, არ შეიმჩნიო, არად ჩააგდო იგი, რადგან ეს რეალობა ისეთი არ არის. როგორც მათ უნდათ, რომ იყოს.

ამ განწირულის სულისკვეთებაში არაფერი ამაღლებული არ არის, მაგრამ არც უხიფათოა. "თუ ვერ გავიმარჯვებთ, ნახევარ მსოფლიოს მაინც ვაქცევთ ნანგრევებად," - თქვა თავის დროზე იოზეფ გებელსმა. ეჭვიც არავის შეგვეპაროს, რომ კოლექტიური შევარდნაძე, რომელიც დღეს მხოლოდ ძველი ლეგენდის აჩრდილიღაა, მართლაც ყველაფერზე წავა იმისთვის, რომ კვლავ იყოს.

დღეს არ არის განზე დგომის დრო. დღეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოგწონს თუ არა სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე. დღეს მთავარია, რომ ეს პოლიტიკოსები აკეთებენ იმას, რასაც საერთოდ უნდა აკეთებდეს ყველა პოლიტიკოსი - ადეკვატურად პასუხობენ საზოგადოების დაკვეთას. დღეს თავგასული ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა სწორედ საზოგადოების დაკვეთაა და არა რომელიმე პარტიის მხარდაჭერა.

დღეს ნეიტრალიტეტი პრინციპულად შეუძლებელია. ის, ვინც ამბობს, რომ არავის მხარეს არ დგას, რეალურად დგას იმათ გვერდით, ვინც წარმოადგენს შევარდნაძის ძალაუფლებას ანუ:

ლევან მამალაძის
ირინა სარიშვილის
ვახტანგ რჩეულიშვილის
ირაკლი ბათიაშვილის
ასლან აბაშიძის
ცოტნე ბაკურიას
ჯემალ გოგიტიძის
გურამ შარაძის
კობა ნარჩემაშვილის
თამაზ გიორგაძის
ნუგზარ მოლოდინაშვილის
ვიტალი ხაზარაძის

და ძმათა მათთა გვერდით.

სხვათა შორის, ისინი შევარდნაძის პირით სხვას არც არაფერს ამბობენ: იჯექით სახლში და ხმა არ ამოიღოთ. დანარჩენი თვითონ იციან.

დღეს ყოველივე გაშიფრულია, ყველა ლუსტრირებულია, ყველაფერი გარკვეულია. აღარაა საკამათო, ვინაა შალვა ნათელაშვილი, გოგი თოფაძე, დავით გამყრელიძე, მანანა არჩვაძე თუ ბასილ მალაშვილი. საქართველში ერთი დიდი და მძიმე ეპოქა დასრულდა. და 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ჩვენ კვლავ არჩევანის წინაშე ვდგავართ - ჩვენივე არჩევანის დაცვის წინაშე. ჩვენ ან დავუტოვებთ ქვეყანას ყველა ზემოთ ჩამოთვლილს, რომელთა კრებითი სახელიცაა შევარდნაძე, ან ვიქნებით ერი და ვიქნებით სახელმწიფო.

■ ■ ■

იყო დრო, როცა ასე არ იყო. როცა მარტო **ის** იყო და სხვა არა იყო რა და ეს თითქოს იყო რაღაც მუდმივი, მარადი, დასაწყისისა და დასასრულის გარეშე. მაგრამ ის დამთავრდა. თურმე მარადისობაც შეიძლება დასრულდეს. დღეს მომავალი ღიაა, მომავალი გამოწვევაა და, რაც მთავარია, დღეს **ჩვენ, ხალხი** ვწყვეტთ იმას, თუ რისი დასაწყისი იქნება მარადისობის დასასრული.

# ამომრჩევლის თვალით დანახული აჭარული არჩევნები

თამაზ ცინცაძე

როცა ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებს გადავხედავთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა იჩენს თავს, ყოველი მათგანი ყურადღებას იმსახურებს და გარკვეული დასკვნის საფუძველსაც იძლევა.

პარტიებს შორის დაპირისპირებამ არჩევნების ჩატარების მეორე დღიდან პიკს მიაღწია. არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო პარტიები და მათი მხარდამჭერები პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდნენ. ამ პროცესების შეფასების დროს საზოგადოებრივი აზრი არაერთგვაროვანია. სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები უკმაყოფილებას ვერ მალავენ და ზოგჯერ ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რომლის საფუძვლიანობა ეჭვს ბადებს.

ზოგიერთს ავიწყდება, რომ არჩევნების შედეგების ამსახველი მხოლოდ ციფრებია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მონაცემების უკან ყოველთვის რეალური შედეგი როდია.

სახელმწიფო ბლოკის სპიკერი ირინა სარიშვილი პრეტენზიებით გამოდის და ზოგჯერ თავისი განცხადებებით ამომრჩეველთა გაღიზიანებას იწვევს. ქალბატონ ირინას და ბლოკის სხვა ლიდერებს, თუნდაც ბატონ ლევან მამალაძესა და ვახტანგ რჩეულიშვილს, როცა სახელისუფლებო ბლოკის დამაჯერებელ გამარჯვებაზე იწყებენ საუბარს, რატომღაც ავიწყდებათ, რომ სწორედ სახელისუფლებო ბლოკმა საარჩევნო ოლქების უმრავლესობაში არჩევნები წააგო და ზოგან ბარიერს მიღმა აღმოჩნდა.

სახელისუფლებო ბლოკის ხმების აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებისადმი მორჩილ ოლქებში დაფიქსირდა, სადაც არჩევნების დემოკრატიულობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამ უბნებში ამომრჩეველს ქვეყნის პრეზიდენტისადმი კეთილი განწყობა ამოძრავებდა ან მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის დიასპორის დაპროგრამებული ორიენტაციით იყო განპირობებული.

ყველაზე უმთავრესი ისაა, რომ სწორედ ხელისუფლების მიერ მართულ რეგიონების ამომრჩეველთა ხმები იქცა საარჩევნო კამპანიის დროს შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის და ბარიერს მიღმა დატოვების რეგულირების ბერკეტად. ეს, პირველ რიგში, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის რაიონებში და აჭარაში დაფიქსირებულ ხმებს შეეხება.

როცა სახელისუფლებო ბლოკმა ქვეყნის 85 საარჩევნო ოლქიდან უმრავლესში არჩევნები წააგო, ზოგან ხუთეულის მიღმაც დარჩა და მათ მიერ მოპოვებული ხმების ძირითადი წილი არაქართულ მოსახლეობაზე მოდის, თავს უფლებას მივცემთ, ვიკითხოთ: დღევანდელ ხელისუფლებას აქვს კი უფლება, ეროვნულ ხელისუფლებაზე ჰქონდეს პრეტენზია?

როცა მოსახლეობა ხედავს, რომ დემოკრატიას ამოფარებული ხელისუფლება არა თუ არ ებრძვის უსამართლობას, არამედ ხშირად მის ხელის შემწყობადაც გვევლინებიან, მაშინ მოსახლეობისათვის არა თუ მისაღები, არამედ მომხიბლველიც კი ხდება მიხეილ სააკაშვილის მოწოდებები.

ახლა ჩვენთან, აჭარაში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების ზოგიერთ მომენტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

პირველ რიგში ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ ბათუმში ამომრჩევლის 97 პროცენტიანი მონაწილეობა, არჩევნების მიმდინარეობის მონაცემები და ის, რომ ბათუმში ამომრჩეველთა რეალური აქტივობა 40-50 პროცენტზე მეტი არასოდეს ყოფილა.

გარდა "ნაციონალებისა", დანარჩენი პარტიების ფსევდოოპოზიციურმა განწყობამ, მათმა არაპრინციპულმა, ზოგჯერ აუხსნელმა, უნიათო პოზიციამ, აჭარაში სახელისუფლებო პარტიას, "აღორძინების კავშირს" შეუზღუდავი მოქმედების პირობები შეუქმნა.

მივმართოთ მაგალითებს. ხელვაჩაურის 83-ე საოლქო საარჩევნო კომისიის (რომელშიც ოპოზიციური პარტიებიც იყვნენ წარმოდგენილნი) თვალწინ, 31 ოქტომბერს, ადგილობრივი ხელისუფლება დაუდგენელი ფონდით შეძენილ სურსათსა და ფულს (ოჯახზე ოც ლარს) ამომრჩეველთა გულის მოსაგებად არიგებდა. როცა იქ შეკრებილი ამომრჩეველი ვერ დააკმაყოფილეს, ამან გაჭირვებული მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია, მათ ბათუმი-ახალციხის გზატკეცილი გადაკეტეს, მაგრამ ტრასა სამართალდამცავებმა გაათავისუფლეს. აქციის მონაწილეებმა გამგეობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. ამ აქციის დაწყნარება დახმარების გაგრძელების დაპირებით მოახერხეს. როგორც აგვიხსნეს, გამგეობამ თავისი დანაპირები 1 ნოემბერს შეასრულა.

ყოველივე ამის შემდეგ როგორ უნდა ვირწმუნოთ, რომ ხელვაჩაურის რაიონში ამომრჩეველთა აქტივობამ შეადგინა 97 პროცენტი და "აღორძინების კავშირს" ამომრჩეველთა 95 პროცენტმა დაუჭირა მხარი. ამ საარჩევნო ოლქში ერთი მომენტიც იქცევს ყურადღებას, კერძოდ: 17 საათისათვის საარჩევნო უბნებში გამოცხადებული იყო ამომრჩეველთა 40,6 პროცენტი, ბოლო სამ საათში კი დარჩენილი 57 გამოცხადებულა. თუ ამ ციფრს დავეყრდნობით, თითოეული ამომრჩეველი არა 11 წამში გაუტარებიათ (რაზედაც ტელევიზიის ეკრანიდან არაერთგზის ითქვა), არამედ დარჩენილ სამ საათში ერთი ამომრჩევლის გატარებას დაახლოებით 10 წამი დასჭირვებია, რაც თავისთავად სიყალბეა.

ამ მაგალითების ფონზე ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას. აღნიშნული საარჩევნო ოლქის გვერდით მდებარე რაიონის გამგეობის შენობაში განთავსებული იყო "აღორძინების" საარჩევნო შტაბი. შტაბის თავმჯდომარედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით მაღალჩინოსანი იჯდა. საარჩევნო უბნებიდან მოსული მონაცემები ჯერ მასთან თანხმდებოდა და მისთვის სასურველი ციფრები საუბნო კომისიის წევრების მიერ წინასწარ ხელმოწერილ ოქმებში გადაჰქონდათ. ეს პროცესი აჭარაში ნაცადი პრაქტიკაა და ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი გამონაკლისი არ ყოფილა. ამის შემდეგ პოლიტიკური უზნეობაა ამტკიცო, რომ აჭარაში არჩევნები არ გაყალბებულა და გამჭვირვალე იყო.

აქ მოტანილი ფაქტები (უფრო ბრალდებები) სინამდვილეს თუ არ შეესაბამება, მზად ვარ, სასამართლოს წინაშე წარვდგე, სადაც 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირებულ ფაქტებზეც გვექნება მსჯელობა. ესაა რეალობა და არა ის, რასაც ყველა ტრიბუნიდან ცოტნე ბაკურია გაიძახის და მოუზომავი გამონათქვამებით აჭარას კი არ იცავს, არამედ სერიოზულ უხერხულობებს, პრობლემებს გვიქმნის, რომლის გამოსწორება ჩვენს შვილებს მოუხდებათ. მას ავიწყდება, რომ ბატონმა ასლანმა, თუ ინტელექტითა და ტაქტით გამორჩეული ბატონი გიორგი თარგამაძე და ბევრი სხვა მოინელა, იგივე ელის არა მარტო ცოტნე ბაკურიას, არამედ "აღორძინების" პირველ რუპორსაც, ეს გარდუვალია, რადგან მათი მოუზომავი განცხადებები და ნაბიჯები ერთ მშვენიერ დღეს თვით ბატონ ასლან აბაშიძის განსჯის თემაც გახდება.

უადგილო არ იქნება აჭარაში "დემოკრატიის გაფურჩქვნის" მორიგ ფაქტზე, ხელისუფალის თვითნებობაზე მივაპყრო მკითხველის ყურადღება. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მთელ საქართველოში გასული წლის 2 ივნისს ჩატარდა. აჭარაში იგი ორი კვირის შემდეგ, 16 ივნისს შედგა. ამის მიზეზი ბოლომდე აუხსნელი დარჩა და მას შეფასება არ მისცემია. უფრო მეტიც, მაშინ, როცა სასოფლო საკრებულოს თავმჯდომარეები ერთი თვის ვადაში უნდა აერჩიათ, ეს პროცესი მთელ 18 თვეს გაგრძელდა და საკრებულოთა თავმჯდომარეების არჩევნების ჩატარებას ნოემბრის ბოლომდე აპირებენ. საკრებულოს თავმჯდომარეთა თანამდებობები ალბათ საპარლამენტო არჩევნების "შედეგების" მიხედვით ჩამორიგდება, კანდიდატურები კი აქამდე ფრთხილად იყვნენ, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს არაფერი შეშლოდათ. აი, ესეც ჩვენებური დემოკრატია, სწორედ ამაზე იტყვიან, ჩვენთან კანონი კი არაა მთავარი, არამედ მთავარია, რას ფიქრობს ის ერთი კაცი.

ახლა კვლავ ძირითად თემას დავუბრუნდეთ, საპარლამენტო არჩევნების შედეგებს გადავხედოთ და, შეძლებისდაგვარად, ანალიზიც გავაკეთოთ. თუ მცირეოდენ შეცდომას დავუშვებთ, მკითხველმა უნდა გვაპატიოს. "დემოკრატიული აღორძინების კავშირმა", ანუ აჭარის მმართველმა პარტიამ მთელ ქვეყანაში 347 ათასი ხმა მიიღო, ამათგან აჭარაში, ექვს საარჩევნო ოლქში, 270 ათასი, დანარჩენი საქართველოს 79 საარჩევნო ოლქში კი 77 ათასი ხმა დააგროვა. "ყველაფრით" აღჭურვილმა და უზრუნველყოფილმა ცოტნე ბაკურიამ და ძმანმა მათმა ამაზე გაგვცენ პასუხი. ჩვენ ერთი რამ ვიცით, ეს ხმები ძალიან ძვირი დაჯდა.

ახლა, რაც მთავარია, გადავხედოთ "აღორძინების" სიას და პარლამენტში პროპორციული წესით გასულ დეპუტატთა შემადგენლობას. თუ ვინმეს ჰგონია, რომ აჭარაში წარმოშობით აქაური ინტელიგენტების დეფიციტია, ძალიან ცდება. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში თუ სამეცნიერო დაწესებულებებში იმდენია აჭარიდან გამოსული ინტელიგენტი, რომ ძალიან ბევრ კუთხეს შეშურდებოდა, მაგრამ ესენი ის ადამიანები არიან, ვინც აჭარის ხელისუფალთან მლიქვნელობა, ფარისევლობა ვერ მოახერხა, ისინი ვერ მოერგებიან იმ მოთხოვნებს, რომელიც ჩვენთან ნორმად ქცეულა და სწორედ ამიტომ ისინი აღორძინების მთავარი "ექსპერტების" "თვალთახედვის არეში ვერ მოხვდნენ."

რაც შეეხება აჭარაში არჩევნებზე საზოგადოებრივი დამკვირვებლის ინსტიტუტის შემოღებას, ამჯერად მხოლოდ პროცესის განვითარებას შევეხებით. აჭარის პარლამენტმა კანონი საზოგადოებრივი დამკვირვებლის შესახებ 21 ოქტომბერს განიხილა და, როგორც ყოველთვის, ერთხმად მიიღო, კანონი ძალაში 1 ნოემბერს, პრესაში გამოქვეყნების შემდეგ შევიდა, ხოლო 2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნებზე საზოგადოებრივი დამკვირვებლის ეგიდით, განსაკუთრებული უფლებით აღჭურვილი ასეულობით ადამიანი წარიგზავნა.

საინტეროსოა ერთ დღეში როგორ მოხერხდა ამ კატეგორიის ადამიანთა შერჩევა, დავალების შესასრულებლად მათი ელემენტარული მომზადება და საარჩევნო უბნებზე გაგზავნა. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხელისუფლებამ მათი ინტერესების დამცველ ადამიანთა არმია თავიდანვე შეარჩია, შესაბამისი დავალებაც მისცა და 1 ნოემბერს ძალაში შესული კანონითა და დიდი უფლებებითაც აღჭურვა.

ალბათ ლოგიკურია, გაჩნდეს კითხვა, თუ რა დარღვევები აღმოაჩინეს ამ კატეგორიის ადამიანებმა? და თუ მათ დარღვევები "ვერ გამოავლინეს", ამიტომ ხომ არ უნდა გავიზიაროთ აზრი, რომ ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბებაში ამ კატეგორიის ადამიანებიც გამოიყენა?!

რაც შეეხება საზოგადოებრივი დამკვირვებლის ინსტიტუტის შემოღებას, ის საქართველოს საარჩევნო კოდექსს, ანუ ქვეყანაში არჩევნების ჩატარების უმთავრეს კანონს ეწინააღმდეგება, ამასთან არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნებს ცენტრალური ხელისუფლება ატარებს და ნებისმიერი პერიფერიული თვითშემოქმედება დაუშვებელია. თვით დამკვირვებელთა შემადგენლობაც საინტერესოა: ამბობენ, მათ შორის იყვნენ ისეთი სტრუქტურის წარმომადგენლებიც, ვინც არჩევნების პროცესში არ უნდა ერეოდნენ.

მკითხველი დაბნეული რომ არ დარჩეს და ჩემში ბედის მაძიებელი, კარიერისტი არ დაინახოს, მის გასაგონად ვიტყვი: მე ასაკოვანი კაცი ვარ, რიგითი მუშაკიდან დაწყებული, ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობას მივაღწიე, საქართველოს პარლამენტშიც, როგორც ხელვაჩაურის რაიონიდან არჩეული მაჟორიტარი დეპუტატი ვიცავდი ჩემი ამომრჩევლების და არა მარტო მათ ინტერესებს და, როგორც ბატონი ასლან აბაშიძე თავის დროზე ამბობდა, მე ეს არც თუ ცუდად გამომდიოდა. ოღონდ, სხვებისაგან განსხვავებით, ამას უხმაუროდ ვახერხებდი.

ამბობენ, ამომრჩეველთა რაოდენობა ხელოვნურად გაიზარდა იმ ახალგაზრდების ხარჯზე, ვისაც 18 წელი არ შესრულებია. თუ ვინმე ამ ბრალდებას გადაჭარბებულად მიიჩნევს, მაშინ გავხსნათ ზოგიერთი ოლქის მასალები და ამომრჩეველთა სიებსაც გადავხედოთ. სწორედ მაშინ გამოჩნდება, რომ მართალი ვარ, ამ სიებში ბევრ გადაცვლილსაც აღმოვაჩენთ. ამომრჩეველთა სიების გაცნობით ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

თუ ვინმე მტკიცებას დაიწყებს, რომ აჭარაში ამომრჩეველთა რაოდენობა ხელოვნურად არ გაზრდილა, მზად ვარ ვეპაექრო და, თუ საჭირო იქნება, პასუხიც ვაგო. ამასთან, თუ ჩემი წერილის პათოსს ვინმე გადაჭარბებულად მიიჩნევს და შეეცდება ხელისუფლების ახირებულ ოპოზიციონერად მომნათლოს, მაშინ მათ ვთხოვდი, მოიძიონ აჭარის ხელისუფალისადმი გაგზავნილი ჩემი წერილი, რომელიც ასლან აბაშიძის გარემოცვას, მოსახლეობის რეალურ ყოფას, შენებასა თუ ნგრევას და აჭარის ხელისუფლებისადმი რიგითი ადამიანების ტოტალური მხარდაჭერის ილუზიას ეხება.

რაც მთავარია, აჭარის მოსახლეობა თავისი მორჩილებით და მოთმინებით გამოირჩევა. აჭარის ლიდერს ავიწყდება, რომ მოსახლეობის მოთმინების ბოროტად გამოყენებას შეუძლია, ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს, რადგან მოთმინებასაც ხომ საზღვარი აქვს. არჩევნების შედეგები და მასთან დაკავშირებული საკითხები არ შეიძლება აჭარის თვითიზოლაციისათვის იქნას გამოყენებული. ეს სახიფათო და ჩემი კუთხისათვის საბედისწერო ტენდენციაა.

ახლა იმ მიტინგის შესახებ, რომელიც 10 ნოემბერს ქალაქ ბათუმის სტადიონზე გაიმართა.

ჯემალ გოგიტიძისა და "აღორძინების" სხვა წევრთა პოზიცია იმ დღეს რადიკალურად განსხვავდებოდა იმ გამოსვლებისაგან, როცა, სულ ორიოდე კვირის წინ, ისინი ედუარდ შევარდნაძეს ყველაზე უშვერი სიტყვებით ამკობდნენ. სწორედ ამას ჰქვია ორმაგი სტანდარტი. თუ ისინი ჩვენი კუთხის მოსახლეობასთან ასეთივე "გულწრფელები" არიან, მაშინ ჩვენი კუთხის საქმე გაცილებით უარესად ყოფილა, ვიდრე აქამდე ვფიქრობდი. საქართველოში დღეს ფარისეველსა და მექრთამეს ტრიბუნა არ უნდა დაეთმოს. არა მგონია, სტუდენტობამ ამ "ხელმძღვანელთა" მოწოდებები გულთან მიიტანოს, ეს ხომ ის ხალხია, ვინც მათ მშობლებს უკანასკნელი სარჩო გამოსძალა. იმედს არ ვკარგავ, რომ აჭარის ინტელიგენცია გაანალიზებს ყოველივე ამას და თავის წილ სიტყვას იტყვის.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# ხელისუფლებას სწორედ რეგიონები დაანახებენ სერიოზულ ძალას

მაია ჭალაგანიძე

*საპროტესტო აქციები რეგიონებს ითხოვენ და პირიქით - რეგიონები აქციებს... ხელისუფლებამ იმდენად არ იზრუნა რეგიონებზე, ისე აუტანელი გახადა იქ ხალხის ცხოვრება, რომ ახლა მათთვის პასუხის გაცემა მოუწევს. ხელისუფლების მოლოდინი არ გამართლდა - ჩაბნელებულ რეგიონებში ბნელი ხალხი სულაც არ ცხოვრობს. არჩევნებში სახელისუფლო ბლოკის რესურსი ელექტორატის გულის მოგება ნამდვილადაც არ ყოფილა. მათ მრავალჯერ ნაცადი ტყუილისა და დაშინების პოლიტიკა არჩიეს და შედეგიც მიიღეს - რეგიონების უმრავლესობა ხმას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ აძლევს. ახლა ასპარეზზე ტყუილის მეორე ეტაპი - ხმების გაყალბება გამოდის. თუ გაწეული წინააღმდეგობითა და უამრავი სასამართლო პროცესით ვიმსჯელებთ, რეგიონებში ტყუილის ამ მეორე ეტაპსაც ძლიერი პროტესტი ელის. თბილისი პატარა ქალაქია. საქართველოს რაიონული ცენტრები და, მით უმეტეს, სოფლები უფრო პატარა და მოსახლეობამ იქ უფრო კარგად იცის, ვინ რითი ცხოვრობს. იქ უფრო ჩანს ძვირადღირებული მანქანები და უგზოობის მტვერი ვერ ახშობს მოდას აყოლილი პროვინციელების სუნამოების სურნელს.*
*სამტრედია პირდაპირი (რკინიგზა) და გადატანითი (პოლიტიკური) მნიშვნელობით გზის გასაყარზეა. იქ ხელისუფლებას ყველაზე მწვავე ოპონირებას "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ხელმძღვანელი* ***ზვიად ძიძიგური*** *უწევს. ყოფილმა პრეფექტმა ისიც კარგად იცის - რას ნიშნავს ამ რეგიონის ხელისუფლება და საპროტესტო მოძრაობის ტექნოლოგიებსაც მხოლოდ მოყვარულის დონეზე არ იცნობს.*

- 16 ნოემბერს სამტრედიის 4 საარჩევნო უბანზე განმეორებითი არჩევნები ჩატარდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, დაინახეს თუ არა, რომ ამ ტურშიც დიდი ანგარიშით მარცხდებოდნენ, უბნები დაარბიეს, გაიტაცეს ყუთები... გამაოგნებელი ფაქტები მოხდა, ასეთი რამ არც გამიგია - დღისით, მზისით, პირდაპირ უბნებზე შედიოდნენ და 20-30 ლარად ხმებს ყიდულობდნენ. ერთ-ერთი ხმა 300 ლარიც კი დაუჯდათ.

ყველაფრის მიუხედავად, ეს ტური ჩემთვის დადებითი შედეგებით დამთავრდა.

**- არსებული დარღვევების მიუხედავად, ჩაითვლება თუ არა ეს შედეგები?**

- დიახ, ჩაითვლება.

საშინელ დარღვევებს ჰქონდა ადგილი. კომისიებშივე შეჰყავდათ კუნთმაგარი, ზორბა ჯეელები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენდნენ ჩვენს წარმომადგენლებზე, აშინებდნენ ამომრჩეველს, ახსნევინებდნენ ბიულეტენებს და ამოწმებდნენ, ვინ იყო შემოხაზული...

ჩვენი დიდი ბრძოლის შემდეგ ყველაფერი დაანგარიშებულია და ცესკო-შია გადმოგზავნილი. ამ ყველაფრის პარალელურად, სახელისუფლო მხარის წარმომადგენელი აცხადებს, რომ საარჩევნო სიები წესრიგში არ არის და არც ოქმებია დაბალანსებული. ამ მოტივით სახელისუფლო ბლოკმა სასამართლოში არაერთი სარჩელი აღძრა და სწორედ იმ უბნებზე, სადაც გავიმარჯვე. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელს საქართველოში სურთ არჩევნების ჩაშლა... დიდი ფულით ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ახლა მოსამართლეზე მთელი ტომარა ფულის დახარჯვა და გამარჯვება უნდათ.

**- გაქვთ სასამართლოს იმედი?**

- იმ კონკრეტული მოსამართლის იმედი, რომელსაც ეს საქმე აწერია, ნამდვილად არ მაქვს, რადგან სახელისუფლო ბლოკის კანდიდატი მიქელაძე და მოსამართლე ხაჟალია ახლობლები არიან. ამიტომ, სამტრედიის სასამართლოს გადაწყვეტილებებს სკეპტიკურად ვუყურებ. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ კანონის ფარგლებში ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა პროტესტი და დაუმორჩილებლობა რეგიონებში გადაიტანა. არის თუ არა დედაქალაქზე უფრო რთული ასამოძრავებელი რეგიონი. საერთოდ, რა ვითარებაა სამტრედიაში?**

- მთავარი პრობლემა ინფორმაციის ნაკლებობაა. სწორედ ამის გამოა რეგიონი შედარებით რთულად ასამოძრავებელი. თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში დენი მიეწოდებოდა და საინფორმაციო მაუწყებლობებიც ინტენსიურად მუშაობდნენ. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, ამოძრავება რთული არ იქნება. იმედი მაქვს, რომ საქართველოს ხელისუფლებას სწორედ რეგიონები დაანახებენ ძალიან სერიოზულ ძალას.

**- დიდი გამოცდილება გაქვთ და საინტერესო იქნება თქვენი აზრი - რა მნიშვნელობა აქვს ეროვნულ დაუმორჩილებლობას საერთო მოძრაობისთვის?**

- უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ყველა ადამიანი, ვინც ამ საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობს, გრძნობს და მიაჩნია, რომ ეს ქვეყანა მისია და თითოეული მათგანის ჩარევა, მზრუნველობა და ხმის ამოღება აუცილებელია იმისთვის, რომ მის ქვეყანაში რაღაც შეიცვალოს.

დააკვირდით, როგორი დამოკიდებულება აქვს თავად ხელისუფლებას ამ საკითხისადმი - ის ხალხს ეუბნება, რომ პოლიტიკა მათი საქმე არ არის და არ უნდა ჩაერიონ... რას ნიშნავს, ნუ ჩაერევით, როდესაც აფხაზეთი და სამაჩაბლო დაკარგულია, ხელფასი, პენსია, შუქი, სამუშაო არ არის... რას ჰქვია, ნუ ჩაერევით... აბა, როგორ უნდა იცხოვრონ?!

**- თუ აქვთ რეგიონებში ადამიანებს შეგრძნება, რომ მათი უშუალო მონაწილეობით მართლა შეიცვლება რაიმე?**

- სამტრედიის რაიონზე მოგახსენებთ. 14 000 ადამიანმა მომცა ხმა. ეს ადამიანები არიან პენსიონრები, მასწავლებლები, ექიმები, კულტურული დარგის წარმომადგენლები - ისინი, ვინც დაჩაგრულნი არიან. სწორედ მათ დაამარცხეს ის ხელისუფლება, რომელსაც დიდი ფული, კეთილდღეობა და ყველა ამქვეყნიური სიამოვნება გააჩნია; ძვირფას სამოსში გამოწყობილები ულამაზესი უცხოური მანქანებით დადიან... აი, ესენი ეუბნებიან ადამიანებს, რომ ეს ქვეყანა მათი არ არის, რომ ასე მონურად უნდა იცხოვრონ, არჩევნების წინ ორ კაპიკს გადმოგიგდებთ, გიყიდით და კიდევ ოთხი წელი ასე უნდა იცხოვროთო...

უბრალო მოსახლეობას ამაღლებული განწყობა აქვს და აღარ ტყუვდება - დამთავრდა მოტყუების ხანა.

**- საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკთა, გლეხების დაშინების ფაქტორი რამდენად მოქმედებს მათზე?**

- რა აგიტაციასაც ეწევა ხელისუფლება, ზუსტად იმის საწინააღმდეგო ჩვენ უნდა გავწიოთ.

სახელისუფლო კანდიდატი რკინიგზის წარმომადგენელი იყო. რკინიგზის, საბიუჯეტო ორგანიზაციის მუშაკებს საათიან თათბირებს უტარებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მათი ხმა კომპიუტერით დაფიქსირდებოდა, რომ თბილისიდან ფსიქოლოგებს ჩამოიყვანდნენ, ისინი თვალებში ჩახედავდნენ და ყველაფერს მიხვდებოდნენ.

**- რაღაც სასაცილო ჭორს ამბობთ...**

- ეს ჭორი არ არის. ამ გზით საათობით მიმდინარეობდა რკინიგზელთა დამუშავება. ვეუბნებოდით - სად აქვს ამ მათხოვარ ხელისუფლებას იმის თავი, რომ თითოეული რკინიგზელის თვალებში ჩასახედად ფსიქოლოგი გოგონები ჩამოიყვანოს...

ამ დაშინებამ და მუქარამ ხშირ შემთხვევაში, უკუშედეგი გამოიღო. ამგვარი ზეწოლის შემდეგ ზოგიერთმა, სულ სხვა, არა ხელისუფლების სასარგებლო არჩევანი გააკეთა.

**- ეროვნული დაუმორჩილებლობის პირველ დღეს სიგნალებით შეუერთდით?**

- სამწუხაროდ, ვერ შევუერთდით, რადგან საარჩევნო პერიპეტიები დილამდე გაგრძელდა და მთელს ჩვენს მოძრაობას ეძინა...

**- თუ გაქვთ ინფორმაცია, რას გეგმავენ რეგიონის ადმინისტრაციები? აპირებთ თუ არა გამგეობის შენობების პიკეტირებას, კარის აჭედვას და ა.შ.?**

- გამგებელს საკუთარი ნებით წასვლა მინდა შევთავაზო. მინდა გონივრული ნაბიჯის გადადგმა ვთხოვო. თუკი არ წავა, პიკეტირება დაგვჭირდება...

**- თქვენი რეგიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა პრეზიდენტივით ხომ არ ამბობს, "მანამდე არ აგიდგეთ გვერდები, სანამ არ გადავდგეო..."**

- ზოგი უფრო ჯიუტია, ზოგი - ნაკლებად. ბევრი აპირებს წასვლას... შევარდნაძეს შეიძლება ბევრი რამ აქვს დასაკარგი, მაგრამ ყველა და მათ შორის, მისი გუნდის წევრები ხვდებიან, რომ ხელისუფლების დღეები დათვლილია და უფრო გონიერები განწირული რეჟიმის საფლავში ჩაყოლას - წასვლას ამჯობინებენ...

**- ხალხმრავალი მიტინგი რომ დაგჭირდეთ, დაახლოებით რა რესურსია სამტრედიაში?**

- სამტრედიაში 1000-1500 ადამიანის ორგანიზება უკვე კარგია. მოსახლეობის აქტიურობა ქალაქში დიდია. სოფლებიდან ხალხის პროცესებში ჩართვა ცოტა ჭირს, რადგან მოსავლის აღების პერიოდია, როგორც იქნა, ამინდები გამოვიდა, ხალხი ყანაშია... მაგრამ, გარწმუნებთ, რომ ყანაში მომუშავე გლეხსაც მსგავსი სულისკვეთება აქვს.

**- პრეფექტობის ჟამს, მთავარ შეცდომად რკინიგზის გადაკეტვა ჩაგითვალეს. მსგავსი რამ ახლაც ხომ არ არის მოსალოდნელი?**

- მაშინ სრულიად შეგნებულად ავრცელებდნენ დეზინფორმაციას. 1991 წელს სამტრედიაში არავითარი რკინიგზა არ გადაკეტილა. საბჭოთა იმპერია იესევე არსებობდა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებული პრობლემების გამო საქართველოს მთელი რკინიგზა გაიფიცა. მაშინ სამტრედიის პრეფექტი ვიყავი.

პიკეტირება კი 1990 წელს, მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მოთხოვნით მოხდა. ეს ორი ფაქტი ერთმანეთზეა მიბმული. მაშინ ეს ოპოზიციამ ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიას დისკრედიტებისთვის გამოიყენა...

**- აქვს თუ არა "ეროვნული ძალთა გაერთიანებას" კონსულტაციები სხვა რომელიმე ზვიადისტურ ფრთასთან?**

- ზვიადისტური მოძრაობის ყველა ორგანიზაცია ძალზე სუსტია. ელექტორატში ეროვნული მენტალიტეტის ადამიანები მაღალი პროცენტით არიან წარმოდგენილნი. ამ ადამიანებს, პირობითად, "ზვიადისტები" შეიძლება დავარქვათ, მაგრამ ზოგი "ნაციონალურ მოძრაობას" უჭერს მხარს, ზოგი "ლეიბორისტებს" და ზოგი - ვის...

**- ახლა მხოლოდ "ბურჯანაძე-დემოკრატები" დგანან თქვენს გვერდით, თუ სხვა ძალაც შემოგიერთდათ?**

- მხოლოდ "დემოკრატები", რომელთა პოზიციაც დღეს სავსებით მისაღებია. დანარჩენი პარტიები სამტრედიაში ხელისუფლებასთან ტკბილად "ჭუკჭუკებენ"...

**- შარაძე-არჩვაძემ ეროვნული დაუმორჩილებლობის მოთავე სააკაშვილი-ჟვანია- ბურჯანაძე პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე დაგმეს. მათთან შეერთებას "აღორძინებაც" აპირებს. რეგიონებში თუ ხდება მსგავსი რამ?**

- თუკი "აღორძინების" წევრები აქედან მხოლოდ იმიტომ წავლენ, რომ ექსცესები გამოიწვიონ, მათი მხრიდან ზნეობრივი საქციელი არ იქნება. სამტრედიელებს მსგავსი საქციელისგან თავის შეკავებისკენ მოვუწოდეთ. ალბათ, ყველა რაიონში ამგვარი მოწოდებები უნდა ისმოდეს.

შარაძისა და მანანა არჩვაძის ნათქვამის კომენტირება კი სრულებით არ მიმაჩნია საჭიროდ. პოლიტიკაში არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს სერიოზულ ფიგურას...

**- კონკრეტულად რა ეტაპები უნდა გაიაროთ რეგიონებში დაუმორჩილებლობის განსახორციელებლად?**

- ამის შესახებ დაწვრილებით, ცხადია, არ ვისაუბრებ, რადგან არ მინდა, ხელისუფლებას კონტრზომების გატარების შესაძლებლობა მივცე...

დაუმორჩილებლობა გულისხმობს მოსახლეობის მხრიდან არსებული ხელისუფლებისადმი პროტესტის გამოხატვის მშვიდობიან, კანონიერ და კონსტიტუციურ ხერხებს. ისეთს, რომელსაც არ მოჰყვება მსხვერპლი და რამენაირი ძალადობა. ჩვენი მხრიდან ეს პირობები დაცული იქნება. დანარჩენი კი ჩვენს ფანტაზიასა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული...

რაც მთავარია, მატარებელი დაძრულია და სიჩქარეს კრეფს. დაუმორჩილებლობის მოძრაობა იქამდე არ გაჩერდება, ვიდრე შევარდნაძის რეჟიმი არ დამთავრდება.

**- შაბათს და კვირას თბილისში აქციები არ ყოფილა. ხალხს ჰგონია, ყველაფერი დამთავრდა...**

- არავითარ შემთხვევაში. რეგიონები ინფორმირებული არ იყვნენ და მათ ყურადღების მიქცევა სჭირდებოდათ. საქართველო მარტო თბილისი არ არის. ამიტომ, მთელი აქცენტი ახლა რეგიონებზე გადადის, რადგან შემდგომ სრულიად საქართველომ ერთიანად გამოაცხადოს ის, რაზეც ყველა მოქალაქე თანახმა იქნება და რაც ხელისუფლებას ძალზე დაამწუხრებს...

**- რისი ეშინიათ რეგიონებში - პროვოკაციები, შეტაკება უფრო ადვილი მოსახდენია...**

- მთავარია, ხელისუფლებამ ეთნიკური დაპირისპირებები არ გააღვივოს და წარმოშვას. სხვა არანაირი საშიშროება არ არის...

განწყობა კი ისეთი მაქვს, რაც მუდმივად მქონდა - მიმაჩნია, რომ ეს ქვეყანა არა ედუარდ შევარდნაძის და მისი ხელისუფლების საკუთრება, არამედ თითოეული ჩვენგანის არის. ჩვენ ვერ ვუპატრონეთ ამ ქვეყანას და იმიტომაც არის ასეთ მდგომარეობაში. მინდა, ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეში გაიღვიძოს პასუხისმგებლობის გრძნობამ: სახლი დაულაგებელია, სახლს დალაგება და გამოგვა უნდა - ქვეყნიდან პოლიტიკური ნაგავია გასატანი.



აშინებდნენ ამომრჩეველს, ახსნევინებდნენ ბიულეტენებს და ამოწმებდნენ, ვინ იყო შემოხაზული...

ხელისუფლების დღეები დათვლილია და უფრო გონიერები განწირული რეჟიმის საფლავში ჩაყოლას - წასვლას ამჯობინებენ...

შარაძისა და მანანა არჩვაძის ნათქვამის კომენტირება სრულებით არ მიმაჩნია საჭიროდ. პოლიტიკაში არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს სერიოზულ ფიგურას...

მატარებელი დაძრულია და სიჩქარეს კრეფს. დაუმორჩილებლობის მოძრაობა იქამდე არ გაჩერდება, ვიდრე შევარდნაძის რეჟიმი არ დამთავრდება.

სახლი დაულაგებელია, სახლს დალაგება და გამოგვა უნდა - ქვეყნიდან პოლიტიკური ნაგავია გასატანი.

# ძნელად გასაგები და ასახსნელი

## ანუ ვინ იყო გალაკტიონი



წიგნის ყდა სალვადორ დალის ნახატით არის გაფორმებული

ნანა ბასილაშვილი

გუშინ წიგნის მაღაზია "პარნასში" გალაკტიონის დაბადების დღე "გალაკტიონის ენიგმებით" აღინიშნა. პროფესორის, მთარგმნელისა და მკვლევარის ინესა მერაბიშვილის ახალი წიგნი ქართული ლექსის გენიალურ რეფორმატორსა და ნოვატორს გალაკტიონ ტაბიძეს ეძღვნება.

"გალაკტიონის ენიგმები", რომლის გამოცემაზეც "ლოგოს-პრესმა" იზრუნა, საქართველოს ბაირონის საზოგადოების მეორე წიგნია. მისი წინამორბედის - "ბაირონი ქართულად" - ავტორიც ინესა მერაბიშვილია.

"ბოლო 15 წელიწადია, გალაკტიონს ვიკვლევ. ამ ფონომენზე მუშაობისას ტექსტის ანალიზს მხოლოდ ლიტერატურა ვერ გასწვდა, ამდენად, კვლევას საფუძვლად დაედო თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა, რომელიც მოიცავს ლიტერატურათმცოდნეობას, სტილისტიკას, სემანტიკას, ფსიქო-ლინგვისტიკას და ა.შ.", - ამბობს ინესა მერაბიშვილი. მეთოდი, რომლის შესახებაც ავტორმა გალაკტიონის კვლევისას იხელმძღვანელა, უკვე 25 წელიწადია აპრობირებულია ევროპაში. ვიდრე ინესა მერაბიშვილი საკუთარ შრომებს წიგნად გამოსცემდა, მუშაობის შედეგებს საზოგადოება პერიოდულად, საერთაშორისო პუბლიკაციებსა და გამოსვლებში ეცნობოდა. "საჭიროდ ჩავთვალე, რომ ეს შრომა მკითხველისთვის სრულყოფილად მიმეწოდებინა და ამას წიგნის სახე მივეცი", - აღნიშნავს ავტორი. "გალაკტიონის ენიგმების" ავტორის აზრით, მეცნიერება უნდა განვითარდეს, რადგანაც იგი მხოლოდ 50 წლის განმავლობაშია აქტუალური. ამდენად, მის კვლევებში, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, გალაკტიონის ფენომენის შესახებ ორიგინალური და საინტერესო მიგნებები იხილოს.

ინესა მერაბიშვილი თარგმნის თეორეტიკოსადაც გვევლინება. წიგნში ის გალაკტიონის ინგლისურ ენაზე თარგმნილ ლექსებსაც გვთავაზობს. მთარგმნელი აქაც ევროპაში აპრობირებული ლინგვისტური კონცეფციის მიხედვით ხელმძღვანელობს და თარგმნისას ძირითად ყურადღებას ტექსტის სწორ ინტერპრეტაციასა და არტისტულ რეალიზაციას ანიჭებს.

"ენიგმა" ბერძნული სიტყვაა და გამოცანას ნიშნავს, ანუ იმას, რაც ძნელად გასაგები და ასახსნელია. გალაკტიონთან ასეთი გამოცანები მრავლადაა. რასაკვირველია, ეს ნამდვილად არ არის სიახლე, მეტიც, ის უკვე საუკუნის კვლევა-ძიების საგნადაც ქცეულა. ამდენად, ინესა მერაბიშვილის ახალი მიგნებები, ძიება თუ ახსნა-განმარტებები, მის წიგნში "გალაკტიონის ენიგმები", თავისთავად, ძალზე საინტერესოა. ავტორმა მიზნად დაისახა, გალაკტიონის ისეთი სტრიქონების შინაარსში შეეღწია, როგორიცაა, მაგალითად: "სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს", "ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი", "ოცნება ნახაზი საგანთა უარით", "სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში" და სხვა.

გალაკტიონის კიდევ ერთ ენიგმად ავტორი მიიჩნევს საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ არის გალაკტიონის მერი. წიგნის ერთ-ერთი ვრცელი თავი სწორედ მას ეძღვნება.

წიგნში მოთავსებულია გალაკტიონის ფოტომასალა და ავტოგრაფები. ავტორმა ეს უნიკალური მასალა ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მოიძია.

"გალაკტიონის ენიგმები" პოეტის შვილობილის ნუნუ ებანოიძის ხელთ არსებული მასალითა და მისივე ნაამბობითაა გამდიდრებული. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: წიგნის გარეკანი გაფორმებულია სალვადორ დალის "მედიტაციური ვარდით".

# ახალი საუკუნე




"ახალი საუკუნე" განკუთვნილია მათთვის, ვინც ლიტერატურაში საყრდენს ეძებს, ვისთვისაც წიგნი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პური და წყალი!" – ასე წარადგენს თავის ჟურნალის ახალ, მესამე ნომერს "ახალი საუკუნის" სარედაქციო კოლეგია – რეზო თაბუკაშვილი, ზაალ სამადაშვილი და შალვა კაპანაძე.

ეს ჟურნალი ინგლისურენოვან მკითხველს ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებს აცნობს, და შესაბამისად, ყოველ ჩვენგანსაც თუნდაც იმის საშუალებას აძლევს, რომ უცხოელ მეგობრებს მხოლოდ ქამარ-ხანჯალი კი არა, ჩვენი ნამდვილი კულტურის თუნდაც პატარა, მაგრამ ღირსეული ნაწილი აჩუქოს.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში: New Century, 3'2003.

*მოკლედ*

## საქმიანი გარიგება

საერთაშორისო კორპორაცია Universal Music Group-მა მიაღწია პრინციპულ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, კორპორაცია ხმის ჩამწერი ფირმის Dream Works Records-ის მფლობელი ხდება. ინფორმაციის წყაროს მითითებით, ეს გარიგება ასი მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა. შეგახსენებთ, ფირმა Dream Works SKG-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი სტივენ სპილბერგიც არის.

## კარნავალი ლიდერის გარეშე

კუბაში ხუთი დღის დაგვიანებით დაიწყო ტრადიციული კარნავალი. ორგანიზატორებს ღონისძიების დაგეგმვაში ხელი შეუშალა უამინდობამ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ჰავანის ქუჩებში საცეკვაოდ მაინც ათასობით მოქალაქე გავიდა. ყურადღების ცენტრში არიან ნათელ ფერებში გამოწყობილი მსახიობები, რომელთაც მუსიკისა და ფოიერვერკების ფონზე ქალაქის სანაპიროები გაიარეს. წლევანდელ კარნავალს კიდევ ერთი მოულოდნელობა ახლდა – მასში მონაწილეობა არ მიიღო ქვეყნის მმართველმა ფიდელ კასტრომ.

# ხალხის არჩევანი

1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მთავრობა და პრეზიდენტი უნდა გადადგეს?
2. ხედავთ თუ არა რეალურ ძალას, რომელსაც შეუძლია ჩაიბაროს ქვეყნის ბედი?
3. ამ აქციებმა მიაღწია თუ არა რაიმე მიზანს?

**დინი ვირსალაძე**

*მუსიკოსი*

**1.** საერთოდ, პოლიტიკაში არ ვერევი და ყოველთვის მიჭირს პოლიტიკაზე საუბარი. ვუერთდები იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ამ ყველაფრის მშვიდობიანი გზით მოგვარება;

**2.** ეჭვი მეპარება.

**3.** არ ვიცი; ვერ ვიტყვი; თუ მშვიდობიანად მიაღწევს მიზანს, ძალიან კარგი იქნება

**დავით ანდღულაძე**

*რეჟისორი*

**1.** რა თქმა უნდა, მაგრამ მე კი არ ვუერთდები, თვითონ მიერთდებიან; ყოველთვის მომხრე ვარ ცვლილებების;

**2.** ვერ ვხედავ იმიტომ, რომ ეს არის მედლის ორი მხარე; ვინც გულწრფელად მოითხოვს ცვლილებებს, მივესალმები.

**3.** ყველა აქციას აქვს თავისი მიზანი, რომელსაც ასე თუ ისე მიაღწევს. იმდენად გაკვალულია ეს გზა, მე მაღიზიანებს. მე იმ ხალხსა და საზოგადოებას ვუერთდები, თორემ, რუსული გამოთქმისა არ იყოს: Долой и тех и тех.

**მერაბ კოკოჩაშვილი**

*რეჟისორი*

**1.** სიმართლე გითხრათ დიდ ხიფათს ვხედავ პრეზიდენტის უცაბედად გადადგომაში, თუმცა, რასაკვირველია, მომხრე ვარ გადადგომის. მის სანაცვლოდ რეალურ ძალას ჯერჯერობით ვერ ვხედავ, ჩემი აზრით ეს დინჯად უნდა იყოს მოფიქრებული და ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელდეს.

**2.** რეალურ ძალას ვერ ვხედავ თუ ვინ შეიძლება ჩაიბაროს ქვეყნის ბედი, მიუხედავად იმისა, რომ ეს აქციები ჩემში სიმპათიას იწვევს. პირადად მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ სკოლებში და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შეწყვეტისა. აქციების მოწყობა შეიძლება, მაგრამ არა სტუდენტების და მოსწავლეების ხარჯზე. მე მსურს მთავრობის შეცვლა, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ უწიგნური და უსწავლელი მომავლისა.

**3.** თუ ეს აქციები სერიოზულად, დაფიქრებით და თანამიმდევრობით ჩატარდება, რასაკვირველია, შესაძლებელია მიზანს მიაღწიოს. აქციების დასაწყისში სიმპათიით განვიმსჭვალე ორგანიზატორების მიმართ, რადგან მათ შეძლეს ამდენი ხალხის მოზიდვა და კარგად ორგანიზება. პირველმა მიტინგებმა ჩემში დადებითი მუხტი გამოიწვიეს და იმედი გააჩინეს. თუმცა, შემდგომი შეკრებები ფილარმონიაში 30 და 45 წუთის დაგვიანებით დაიწყო, თუ ამ ტემპებით ვაპირებთ შეტევას, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. მართალი გითხრათ ჯერჯერობით იმ დონეზე არ ვართ, რომ რეალურად რამეს მივაღწიოთ. მთავრობამ არჩევნები გააყალბა და ესეც არაპროფესიონალურად გააკეთა.



დავით ანდღულაძე



დინი ვირსალაძე



მერაბ კოკოჩაშვილი

# დიდი შემოქმედებითი გზა

## თემურ ჩხეიძე 60 წლის გახდა

თეონა ჯაფარიძე,
დიმიტრი როგავა

**"მართალია, კაცი ცხოვრებაში ერთხელ ხდება 60-ის, მაგრამ დღეს ჩემს ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, რომ უზნეობად მიმაჩნია იუბილეს აღნიშვნა და დაბადების დღეზე ლაპარაკი",** – ასე ფიქრობს ცნობილი რეჟისორი. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება მისგან სხვაგვარ პოზიციას არც ელოდება, რადგან თემურ ჩხეიძის თეატრი ხომ, პირველ რიგში, მორალის თეატრია: ის სცენაზე არ გვიჩვენებს რევოლუციებსა თუ მასობრივ, ბატალურ სცენებს. ის არჩევანს აკეთებს იმ ადამიანთა დრამაზე, რომლებიც საზოგადოების რეაქციულ ნაწილს უპირისპირდებიან და რომელთაც სინდისი ყოველთვის სუფთა აქვთ (გავიხსენოთ "სეილემის პროცესი", "ბერნარდა ალბას სახლი" ან, თუნდაც, "ანტიგონე"). ის ყოველთვის ძეგლს უდგამს მეამბოხე სულს, რომლითაც, ფაქტობრივად, იწყება რევოლუცია და არა მეამბოხეთა არმიას. დღევანდელი სიტუაცია გვკარნახობს, რომ სწორედ მის დაბადების დღეზე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისივე სპექტაკლების პერსონაჟთა მსგავსი დრამა, რაც რეჟისორმა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში თავად იწვნია: "ჯაყოს ხიზნების" გახმაურებულმა ტელევერსიამ ხომ ლაკმუსის როლი შეასრულა მაშინდელი "მორალისტების" რეაქციულ ტალღასა და თავისუფლად მოაზროვნეთა, უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. მაშინდელი სიტუაცია რაღაცნაირად (პატარა დოზით) თუნდაც, ტელედებატებითა და რეჟისორის გასამართლებით, მაშინ ერთადერთ სახელმწიფო ტელეარხზე, ფაქტობრივად, რევოლუციური იყო, რომელიც თავისუფალ და შეზღუდულ აზროვნებებს შორის დაპირისპირებაში გამოიხატა.

გეთანხმებით, ბატონო თემურ: ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ ხდება 60 წლის, ამიტომ ჩვენ უფლება არ გვაქვს, არ მოგილოცოთ და არ დაველოდოთ თქვენ ახალ სპექტაკლებს, სადაც უმცირესობა გაბატონებული უმრავლესობის აზრს უპირისპირდება. საზოგადოებას მორალური გმირი სჭირდება, თუნდაც სცენაზე.

■ ■ ■

დღეს სახელგანთქმული ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძე 60 წლის გახდა. ისეთი თავდაუზოგავი შემოქმედებითი ენერგიის მხატვრისთვის, როგორიც დღევანდელი იუბილარია, ეს სოლიდური ასაკი ბევრი ნამდვილად არ არის; მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას თეატრში - არც ცოტაა.

თითქმის ორმოცი წელიწადია, თემურ ჩხეიძის შემოქმედებას აღფრთოვანებაში მოჰყავს თეატრალური ხელოვნების თაყვანისმცემლები. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქართული თეატრის თვალსაჩინო მსახიობების მედეა ჩახავასა და ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძის შვილი და დიდი ქართველი პოეტის გიორგი ქუჩიშვილის შვილიშვილია, მას არ უსარგებლია რაიმე შეღავათით და საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრება პერიფერიაში, კერძოდ, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში დაიწყო.

პატარა ქალაქის არაჩვეულებრივი ტრადიციების მქონე თეატრში ახალგაზრდა რეჟისორის ჩასვლა, თანამოაზრეების ერთ ჯგუფთან ერთად, დიდი მოვლენა იყო. თეატრის იმდროინდელმა დირექტორმა ალექსანდრე ეგუტიამ ყველა პირობა შეუქმნა ახალგაზრდებს შემოქმედებითი აღმაფრენისთვის. სწორედ ამ თეატრში თემურ ჩხეიძესთან მუშაობისას სპექტაკლებში "კორპუსი ხუთი, ოთახი 33", "რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი" და სხვა დაიბადნენ ავთანდილ მახარაძე, ჟანრი ლოლაშვილი... მხატვრები მიხეილ ჭავჭავაძე და კაკი რამიშვილი.

შემდეგ იყო მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში განხორციელებული რამოდენიმე წარმოდგენა და... "სამანიშვილის დედინაცვალი" - რუსთაველის თეატრში (რობერტ სტურუასთან ერთად). მრავალი რამ ითქვა და დაიწერა ამ წარმოდგენასთან დაკავშირებით, იგი კლდიაშვილის თეატრის ახლებურ წაკითხვად აღიარეს. შეიქმნა შესანიშნავი აქტიორული სახეები - სერგო და ბუხუტი ზაქარიაძეების, გიორგი გეგეჭკორის, რამაზ ჩხიკვაძის, კარლო საკანდელიძის, ლეილა ძიგრაშვილისა და სხვათა შესრულებით. სპექტაკლმა რუსეთში წარმატებული გასტროლების შემდეგ მოიარა გერმანია და მექსიკა. სწორედ ამ სპექტაკლიდან იწყება თემურ ჩხეიძის, როგორც რეჟისორის ზეაღსვლა.

შალვა დადიანის "გუშინდელნი", მიხეილ ჯავახიშვილის "ქალის ტვირთი", ფედერიკო გარსია ლორკას "ბერნარდა ალბას სახლი", ილია ჭავჭავაძის "ჩემო კალამო", თამაზ ჭილაძის "მოულოდნელი სტუმარი", ლევ ტოლსტოის "მეუფება წყვდიადისა"... ეს სპექტაკლები მან რუსთაველის თეატრში განახორციელა. ერთ-ერთ ინტერვიუში თემურ ჩხეიძემ განაცხადა, რომ მის მიერ განხორციელებული ყველა სპექტაკლი შვილივითააო, მაგრამ, პირველ რიგში, დაასახელა "გუშინდელნი", როგორც "ნამუშევარი, სადაც მაქსიმალურად მივაღწიე იმას, რაც მინდოდაო". რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო ტელეარხზე მაყურებელს საშუალება მიეცა, კიდევ ერთხელ დამტკბარიყო ამ სპექტაკლით, თვალი მიედევნებინა მედეა ჩახავას, ჟანრი ლოლაშვილის, გიორგი ხარაბაძის, ავთანდილ მახარაძის, ნანა ფაჩუაშვილის, ჯემალ ღაღანიძისა და სხვათა მიერ განხორციელებული ბრწყინვალე ნამუშევრებისთვის.

რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის პარალელურად თემურ ჩხეიძე აქტიურად მუშაობდა სატელევიზიო თეატრში. მისი ტელესპექტაკლები "თეთრი კურდღელი", "კუკარაჩა", "აღსარება", "ადამიანი იბადება ერთხელ"... და განსაკუთრებით "ჯაყოს ხიზნები" დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელში.

1980 წელს სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა. მას ამ თეატრში მანამდე მხოლოდ ერთი სპექტაკლი ჰქონდა დადგმული - ჰენრიკ იბსენის "მოჩვენებანი" უკვდავი ვერიკო ანჯაფარიძისა და ქართული სცენის დიდოსტატის აკაკი ვასაძის მონაწილეობით. ლეო ქიაჩელის "ჰაკი აძბა" თემურ ჩხეიძისთვის პირველი წარმოდგენა იყო ხელმძღვანელის რანგში. ამ სპექტაკლმა დღევანდელი გადასახედიდან ერთგვარი წინასწარმეტყველის მისია შეასრულა. ეს გაბედული წარმოდგენა (იმ დროისთვის) აფხაზეთის ტრაგედიის ჭეშმარიტ მიზეზებზე მოგვითხრობდა. სპექტაკლში გამოირჩეოდნენ ოთარ მეღვინეთუხუცესი, ნოდარ მგალობლიშვილი, ირაკლი უჩანეიშვილი, თამარ სხირტლაძე, მარლენ ეგუტია...

შექსპირის "ოტელო", შილერის "ვერაგობა და სიყვარული", დოსტოევსკის "მარადი ქმარი", მილერის "სეილემის პროცესი", საიმონის "მგზნებარე შეყვარებული", სტრინდბერგის "მამა", ანუის "ანტიგონე", რიზას "ხელოვნება" საეტაპოდ იქცა მარჯანიშვილის თეატრის ისტორიისთვის. მე სპეციალურად გავუსვი ხაზი მის არაქართულ რეპერტუარს. ძნელია, შემოქმედს შეედავო, ქართულ რეპერტუარს რატომ არ დგამო?! მით უფრო – თემურ ჩხეიძეს! მას რომ მხოლოდ ქართული ნაწარმოებები დაედგა, მაყურებელი ზემოთ ჩამოთვლილ შედევრებს ვერ იხილავდა. არადა, მას, ალბათ, როგორც არავის, ისე შეუძლია მოიწონოს თავი ქართულ ლიტერატურულ მასალაზე შექმნილი ბევრი კარგი სპექტაკლით – "დარისპანის გასაჭირი", "უბედურება", "ასის წლის წინათ", "ჯაყოს ხიზნები", "ადამიანი იბადება ერთხელ", "ბაქტრიონი", "ბედი-მდევარი"... აღარ გავიმეორებ რუსთაველის სახელობისა და სატელევიზიო თეატრების წარმოდგენებს.

მის წარმოდგენებში გაიბრწყინეს სალომე ყანჩელმა, ზინა კვერენჩხილაძემ, სოფიკო ჭიაურელმა, ელენე ყიფშიძემ, მარინა ჯანაშიამ, ნანა ჩიქვინიძემ, ნინო კობერიძემ, ნატა მურვანიძემ, ტარიელ საყვარელიძემ, გივი ბერიკაშვილმა, თენგიზ არჩვაძემ, გივი ჩუგუაშვილმა, დავით დვალიშვილმა, ზურაბ ყიფშიძემ, რეზო ჩხიკვიშვილმა, ზურაბ სტურუამ, გია ბურჯანაძემ, მიხეილ გომიაშვილმა... მე სპეციალურად ვახსენებდი მის წარმოდგენებში გაბრწყინებულ აქტიორულ სახეებს, იმიტომ რომ არ არსებობს, მისი არც ერთი წარმოდგენა, სადაც სრულიად ახლებურად არ წარდგა ესა თუ ის მსახიობი მაყურებლის წინაშე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თემურ ჩხეიძის მოღვაწეობა საქართველოს საზღვრებს გარეთ – მოსკოვის სამხატვრო თეატრში, სანკტ პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში, მარინის საოპერო თეატრში, ლა-სკალაში, მეტროპოლიტენ-ოპერაში...

თემურ ჩხეიძე არის საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, დიდი ქართველი რეჟისორი და მოღვაწე.

გაზეთი "24 საათი" ულოცავს ბატონ თემურს იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდ შემოქმედებით აღმაფრენას და სიცოცხლის, და არა მხოლოდ ქართველი მაყურებლის გასახარად. თქვენს საუკეთესო წარმოდგენებს ჩვენ მომავალში ველოდებით.

**P.S.** როგორც ჩვენთვის ცნობილია, წელს ბატონი თემური პედაგოგიურ მოღვაწეობასაც მიუბრუნდა თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტში. ბედნიერია სტუდენტი, რომელსაც ამ რანგის პროფესიონალთან და შემოქმედთან მოუწევს სწავლა. ბედნიერია მსახიობი, რომელიც მისი მომავალი სპექტაკლების განმსახიერებლების სიაში მოხვდება.



# სამოქალაქო პროტესტის და არა ძალმომრეობის შესახებ

### დიადი სული - მაჰათმა განდი

*პროტესტი ძალმომრეობის გარეშე არის ადამიანთა თავყრილობა თუ ნებისმიერი სხვა აქცია, რომელიც წინასწარაა გამოცხდებული რეჟიმის, მთავრობის თუ რომელიმე ლიდერის წინააღმდეგ. პროტესტის გამოხატვა ხდება ძალადობის გამოყენების გარეშე, მშვიდობიანი დემონსტრაციების, პეტიციების, გზების დროებითი გადაკეტვის, გამვლელთათვის პროკლამაციების დარიგების, გაფიცვებისა თუ სამუშაოს მოკლევადიანი შეწყვეტის, ასევე კედლებსა და ხიდებზე საპროტესტო ლოზუნგების დაწერის სახით.*

■ ■ ■

უკანასკნელი დღეების განმავლობაში საქართველოში დატრიალებული ამბები, ალბათ, მრავალს გაახსენებდა მაჰათმა განდის, "დიად სულს", რომელიც სამხრეთ აფრიკასა და ინდოეთში დისკრიმინაციის წინააღმდეგ არაძალმომრეობითი მეთოდის გამოყენებისა და თავის ჰუმანისტურ-მებრძოლი სწავლების გამო მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს პიროვნებადაა აღიარებული. მან მთელ მსოფლიოში მრავალი ადამიანის, მათ შორის მარტინ ლუთერ კინგის შთაგონებაც შეძლო.

მისი დოქტრინის წყალობით ინდოეთის 410 მილიონი მოქალაქე, ყველა ერთსულოვნად - 281 მილიონი ჰინდუ, 115 მილიონი მუსულმანი, 7 მილიონი ქრისტიანი და 6 მილიონი სიქჰა ბრიტანელების წინააღმდეგ აღიმართა. მათ ძალადობაზე უარი თქვეს და გაიმარჯვეს. თავად განდის შესახებ კი ალბერტ აინშტაინი წერდა: "შესაძლოა, მომავალმა თაობებმა არც კი დაიჯერონ, რომ ასეთი ადამიანი ამქვეყნად არსებობდა."



*სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ისე, როგორც განდიმ გვასწავლა*

■ ■ ■

...ისინი, ვინც ძალადობის ზღვაში არაძალმომრეობის კანონი აღმოაჩინეს, ნიუტონზე გაცილებით გენიალურნი იყვნენ. ისინი უფრო დიდი მეომრებიც იყვნენ, ვიდრე ველინგტონი იყო. მათ იცოდნენ, როგორ უნდა მოეხმარათ იარაღი, ისინი მას შესანიშნავად ფლობდნენ, და მის ფუჭობას მიხვდნენ და დატანჯულ მსოფლიოს ასწავლეს, რომ მისი გადარჩენის გზა ძალმომრეობაზე უარის თქმაა...

... არაძალმომრეობა ბოროტმოქმედის ნების მორჩილებას როდი ნიშნავს. ეს უმალ იმას გულისხმობს, რომ ტირანის ბოროტი ნების მიერ ჩაგრულთა ყველა სულიერი ძალა ერთიანდება. არაძალმომრეობა სილაჩრე კი არა, გმირობაა. არაძალმომრეობა ადამიანისგან მეტ ოსტატობას მოითხოვს, ვიდრე ხმლით ხელში მებრძოლი მოფარიკავესგან. ადამიანი, რომელიც არაძალმომრეობის ხერხს ფლობს, უსამართლო მმართველობის მთელს ძლევამოსილებას იწვევს ბრძოლაში, და მას თავის პატივისა და ღირსების დაცვის უნარიც შესწევს...

...ჩემთვის ეროვნული ღირსება იმას ნიშნავს, რომ ჩემი ქვეყანა თავისუფალი უნდა იყოს, რომ თუ საჭიროა, ჩემი ქვეყანა მოკვდეს – დანარჩენი კაცობრიობის გადასარჩენად...

...მე მიმაჩნია, რომ არაძალმომრეობა ძალადობაზე ბევრად უფრო ამაღლებულია, და რომ პატიების უნარი ბევრად უფრო კეთილშობილურია, ვიდრე დასჯის სურვილი. მოწყალება ჯარისკაცს ამშვენებს. მაგრამ ძალადობისგან თავშეკავება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა დასჯის ძალაც შეგვწევს. ის უაზროა, როცა უსუსური არსების მიერაა სიმულირებული. მაგრამ მე ჩემი ქვეყანა უსუსურად არ მიმაჩნია, მე არ მიმაჩნია, რომ უსუსური ვარ...

....ჩემს ხალხს არაძალმომრეობის პრაქტიკას იმიტომ როდი ვთხოვ, რომ ის სუსტია. მე მინდა, რომ არაძალმომრეობის პრაქტიკის დროს მან თავის ძალისა და ძლევამოსილების შესახებ იცოდეს. მისი ძალის რეალიზებისთვის არანაირი იარაღი არაა საჭირო. ჩვენ გვგონია, რომ იარაღი გვჭირდება, რადგან თავი ხორციელებად მიგვაჩნია. მე მინდა, რომ იცოდეთ, რომ ჩვენ სული გვაქვს, რომელიც არასოდეს დაიღუპება, რომელიც ნებისმიერ ფიზიკურ სისუსტეზე მაღლა დგას და მთელი მსოფლიოს მატერიალურ სტრუქტურებს გამოიწვევს და დაამარცხებს...

...თუკი არაძალმომრეობა გამარჯვებას არ მოგვიტანს – არა იმიტომ, რომ სუსტია, არამედ იმიტომ, რომ სათანადო გამოძახილს არ ჰპოვებს – ნამდვილი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით. კეთილშობილი ადამიანები, რომლებსაც აღარ შეუძლიათ ეროვნულ დამცირებასთან შერიგება, აღშფოთებას ველარ დაფარავენ და ძალადობას მიმართავენ. ჩემი რწმენით, ისინი დაიღუპებიან, ისე, რომ ვერც საკუთარ თავს იხსნიან, და ვერც თავიანთ სამშობლოს. "მახვილის დოქტრინა" დროებით გამარჯვებას მოიტანს. მაგრამ მაშინ ჩემი ქვეყანა ჩემი გულის სიამაყე აღარ იქნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ ქვეყანას განსაკუთრებული მისია აკისრია...

...სწორედ არაძალმომრეობაა ყველაზე დიდი პროტესტი. განსხვავება ისაა, რომ მუშტების ქნევისა და სისხლისღვრის ნაცვლად ადამიანის ნება სტოიკურად უპირისპირდება ბოროტმოქმედის ქმედებას, ან სახელმწიფოს უსამართლობას, მთელს მის მმართველობით მანქანებს: ჯარს, პოლიციას, ციხეს...

მასობრივ სამოქალაქო და ინდივიდუალურ წინააღმდეგობას შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადამიანი სრულიად დამოუკიდებელი სუბიექტია და მისი მარცხი სხვებს არ ეხება. მასობრივი კამპანიის დროს კი ერთის მარცხი ყველას მარცხი ხდება...

...ჩვენ ყოველდღიურად ძვირად გვიჯდება ის გაუცნობიერებელი შეცდომა, რომ პასიურ წინააღმდეგობას არაძალმომრეობაში ვურევდით. მე რომ თავად არ დამეშვა ეს შეცდომა, მრავალი დამამცირებელი და არაადამიანური სისხლისღვრის მოწმენი არ გავხდებოდით.

ჩვენს მტერს, რომელიც ზოგჯერ წარმოსახვითია, ასევე გააჩნია თავის ადამიანური ღირსება, მას ისევე უყვარს სიცოცხლე, როგორც ჩვენ.

ბოლო წლების არაძალმომრეობა სუსტების არაძალმომრეობა იყო. ჩვენ ჯერ არ გვქონია ძლიერთა წინააღმდეგ არაძალმომრეობის გამოცდილება...

...მე მინდა, რომ ყველა ქვეყნის ქარმა თავისუფლად იქროლოს ჩემ სახლთან. მაგრამ არ მინდა, რომ ამ ქარმა წამაქციოს. მე არ მინდა ჩემ სახლში ცხოვრება ისე, თითქოს დაუპატიჟებელი სტუმარი ვიყო, მათხოვარი ან მონა...

...ჩემთვის სამშობლოს სიყვარული მთელი კაცობრიობის სიყვარულს ნიშნავს. პატრიოტი იმიტომ ვარ, რომ ადამიანი და ადამიანური ვარ. ჩემი სამშობლოს მსახურების სურვილით ზიანს არავის ვაყენებ. პატრიოტი პატრიოტი ვერ იქნება, თუ მთელი კაცობრიობის მსახურება არ სურს.

# ამერიკელი მელომანების არჩევანი



კვირას, ლოს ანჯელესში ამერიკელმა მელომანებმა ოცდამეთერთმეტედ გამოავლინეს საყვარელი მუსიკოსები და შემსრულებლები.

ამერიკული მუსიკალური ჯილდოების გადაცემის სამსაათიანი ცერემონიალი ტრადიციული მხიარულებით, მდიდრული "წითელი ხალიჩით" და თვალისმომჭრელი შოუპროგრამით ჩატარდა.

მსმენელის გამოკითხვის შედეგად შერჩეული გამარჯვებულები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ. ცალ-ცალკე ფავორიტები ჰყავდა ჰიპ-ჰოპსა და რიტ-ენ-ბლუზს, პოპს და როკს, ქანთრის, რეპს, ალტერნატივას და ზრდასრულთა თანამედროვე მუსიკას.

გუშინ კი, ხმაურიანი ღამის შემდეგ, თითქმის, ყველა ჟურნალისტი ცერემონიალზე საუბარს სოულის მომღერლით ლუთერ ვენდროსით იწყებდა. მიუხედავად იმისა, რომ ვენდროსმა ორი ჯილდო მოიპოვა, აპრილში გადატანილი გულის შეტევის გამო, ის საღამოს ვერ დაესწრო. ვენდროსი მსმენელმა რიტმ-ენ-ბლუზის კატეგორიაში საუკეთესო შემსრულებლად დაასახელა, მისი ალბომი Dance With My Father კი იმავე ჟანრის საუკეთესო ალბომად. სხვათა შორის, ეს ალბომი ვენდროსმა გულის შეტევამდე ცოტა ხნით ადრე ჩაწერა. გაყიდულია მისი 1.3 მილიონი ეგზემპლარი. კომპაქტი ამერიკულ ჩარტებშიც ლიდერობდა. ლოს ანჯელესში შვილის ჯილდოები თვალცრემლიანმა ქალბატონმა ვენდროსმა ჩაიბარა.

ორგზის გამარჯვებული გახდა რეპერ 50 ცენტიც. ცერემონიალს არც ის ესწრებოდა. თუმცა, ერთხელ მისი გვარი საუკეთესო რეპ-შემსრულებლის პრიზის გამოცხადების დროს ახსენეს, მეორედ კი – საუკეთესო რეპ-ალბომის (Get Rich Or Die Tryin') გამოვლენისას.

თავიდან გამოაცხადეს, რომ დარბაზში არც მისი ელიოტი იჯდა – რეპის კატეგორიის საუკეთესო ქალ შემსრულებლად აღიარებული მომღერალი. თუმცა, ელიოტი მოულოდნელად გამოჩნდა სცენაზე და დაგვიანების მიზეზად დაასახელა ის, რომ სასტუმროს ეზოდან მისი ლიმუზინი მოიპარეს...

შოუზე გამოჩნდა ჯენიფერ ლოპესი, რომელიც არავის ახსოვდა ედინბურგში – MTV-ს მუსიკალური ჯილდოების გაცემის ცერემონიალზე. ლოს ანჯელესში ის პოპისა და როკის კატეგორიაში საუკეთესო ქალი შემსრულებელი გახდა.

არსად ჩანდა ჯასტინ ტიმბერლეიკი, რომელსაც საუკეთესო მამაკაცი შემსრულებლის ტიტული, პოპისა და როკის კატეგორიაში, კიდ როკმა წაართვა. თუმცა, მომღერალი ჯილდოს გარეშე მაინც არ დარჩენილა – ის იმავე ჟანრის საუკეთესო ალბომის პრიზით დაჯილდოვდა. მადლობა მან გერმანიიდან, ვიდეო-შეტყობინებით გადაიხადა.

როგორც ჩანს, ამერიკელ ქალთა უმრავლესობა კვლავაც მიიჩნევს, რომ რიკი მარტინი ძალზე სექსუალური მამაკაცია. ალბათ, სწორედ ამ მიზეზით კვირა საღამოს მას საუკეთესო სამხრეთ ამერიკელი შემსრულებლის ტიტული მიანიჭეს.

ამერიკელებმა გაიხსენეს 2001 წელს ავიაკატასტროფაში დაღუპული მომღერალი ელაიაც და ის სოულისა და რიტმ-ენ-ბლუზის ყველაზე საყვარელ ქალ შემსრულებლად აღიარეს.

ორ-ორ ნომინაციაზე იყვნენ წარდგენილნი, მაგრამ საერთოდ უპრიზოდ დარჩნენ: აშანთი, ბეიონს ნოულსი, არ ქელი, სელინ დიონი, შანია თვეინი, შონ პოლი და ნორა ჯონსი.

სამაგიეროდ, მეექვსედ დაჯილდოვდა ქანთრის მომღერალი ცოლ-ქმარი – ტიმ მაქგროუ და ფეით ჰილი.

ქანთრის ჟანრის საუკეთესო ჯგუფად კი "ალაბამა" დაასახელეს. უნდა ითქვას, რომ "ალაბამა" ცერემონიალის ისტორიაში ყველაზე მეტად დაჯილდოებული ჯგუფია. ის ამ ტიტულს 23-ედ დაეუფლა.

მუსიკის ვეტერანთა აღლუმი ლოს ანჯელესში მხოლოდ "ალაბამას" გამოჩენით არ დასრულებულა. პოპისა და როკის კატეგორიაში საუკეთესო ჯგუფი Fleetwood Mac გახდა. შოუს არც ისინი ესწრებოდნენ და მადლობა პრიზისთვის ჰამბურგიდან სატელიტური ჩართვით გადაიხადეს. "შემოქმედებითი თვალსაზრისით თავს საუკეთესოდ ვგრძნობთ. ამიტომ გვახარებს მომავალზე ფიქრი", - განაცხადა ლინდსი ბეკინგემმა. მოგვიანებით მათ წინასწარ ჩაწერილი სიმღერაც შეასრულეს.

კვირას დაჯილდოვდნენ ვეტერანები რიტმ-ენ-ბლუზის ჟანრიდანაც. Isley Brothers ჰიპ-ჰოპისა და რიტმ-ენ-ბლუზის ჟანრში საუკეთესო ჯგუფი გახდა.

შოუს მუსიკალურად აფორმებდნენ ბრიტნი სპირსი, რომელმაც Me Against Music შეასრულა, ფინქი თავისი გასაჭირით (Trouble), შერილ ქროუ – ღრმა ჭრილობებით (The First Cut is the Deepest), "მეტალიკა", როდ სტიუარტი, ტობი კეიტი, ალან ჯექსონი და სხვები.

რაგბი

# ჯონი რეკორდსმენი


ჯონი ვილკინსონი

პაატა თოთაძე

რა ეშველებოდა ინგლისის ნაკრებს, ჯონი ვილკინსონი რომ არ ჰყავდეს? შეძლებდნენ კი ინგლისელები ფრანგთა ძლევას? ეს კითხვები დღეს ბევრს აწუხებს ჩვენთან თუ უცხოეთში. პასუხი, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადსხვაა. ერთნი ამტკიცებენ, რომ ვილკინსონის გარეშე ინგლისი არაფერია. მეორენი, პირიქით, თვლიან, რომ, მართალია, ვილკინსონი ჩინებული მოთამაშეა, მაგრამ ინგლისი, ალბათ, მის გარეშეც მოახერხებდა საფრანგეთის დამარცხებას. როგორც უნდა იყოს, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ინგლისმა მოიგო, ვილკინსონი კი, გარდა იმისა, რომ გუნდის ყველა ქულა მარტომ მოიპოვა, სხვა რამითაც გამოირჩა. ამიერიდან ის მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო მეარეკნე გახდა. აქამდე ამ მაჩვენებლით საუკეთესო სამხრეთაფრიკელი ჯანი დე ბირი გახლდათ – 1999 წლის მსოფლიო თასზე მან 6 არეკნი გაიტანა. ინგლისელმა ნახევარმცველმა მისი შედეგი ერთი არეკნით გააუმჯობესა, თუმცა, წინ ფინალია და, ვინ იცის, ვილკინსონი რას მოიმოქმედებს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო თასზე ერთ შეხვედრაში მოპოვებული ქულებითაც ის ერთ-ერთი საუკეთესოა. მატჩში 24 ქულა, მის გარდა, მხოლოდ ორს, ინგლისელ რობ ენდრიუსა და ირლანდიელ დევიდ ჰამფრიზს მოუპოვებიათ. რაც შეეხება წლიურ მონაგარს, აქ უელსელი ნილ ჯენკინსი ლიდერობს – 1999 წელს მან 293 ქულის მოგროვება შეძლო, ვილკინსონი კი ამ მხრივ ჯერჯერობით მეორეა (218 ქულით).

ამისთანა მორაგბეს მოფრთხილება უნდა, ემანდ ვინმემ რამე არ დაუშავოს და არ დავილუპოთო. და ინგლისელებმაც თავიანთ ნახევარმცველს საგანგებო დაცვა დაუნიშნეს.

“მის გარშემო უამრავი ადამიანი ტრიალებს, რომელთაც შეუძლიათ მას ავნონ. მხოლოდ ფიზიკურს არ ვგულისხმობ, გაუთავებელი ლაპარაკით, ავტოგრაფების თხოვნით, შესაძლოა, გადამწყვეტი მატჩისთვის კარგად ვერ მოემზადოს. ყველაფრის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ, რომ მისთვის სპეცილური დაცვა დაგვენიშნა. ის უმაღლესი კლასის მორაგბეა, რომლის გარეშეც ავსტრალიელებთან წარმატების მიღწევა უაღრესად გაძნელდება. ამიტომ ის შაბათისთვის საუკეთესო ფორმაში უნდა იყოს”, - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა ინგლისელთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა.

ამ მხრივ, თავად მორაგბე ცოტა უხერხულად გრძნობს თავს. “მეუხერხულება, ვინმე ავტოგრაფისთვის ან ჩემთან დასალაპარაკებლად რომ მოდის, მე კი ვერ ვპასუხობ. მათ ადგილზე მეც ძალიან მეწყინებოდა, მაგრამ უნდა გამიგონ. ფინალის შემდეგ ყველასთვის მოვიცლი”, - აღნიშნა ვილკინსონმა. მისი თქმით, პოპულარობა, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, ხანდახან მომაბეზრებელი ხდება. გინდა, შენთვის განმარტოვდე, დაისვენო, ამის საშუალება კი არ გაქვსო. რაც შეეხება მომავალ დაპირისპირებას, ნახევარმცველი მასზე საუბარს თავს არიდებს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ ინგლისს მშვენიერი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც საფინალოდ სასურველი შედეგის მომტან ტაქტიკას შეარჩევს, ჩვენ კი მისი დავალებების შესრულება გვევალებაო.

ფეხბურთი

# დარჩა სამი ვაკანსია

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-18 ტურმა კიდევ უფრო დაძაბა სატურნირო ვითარება იმ გუნდებს შორის, რომლებიც საუკეთესო ექვსეულში მოხვედრისთვის იბრძვიან. თუ არ ჩავთვლით “დინამოს”, “სიონს” და “ვიტ ჯორჯიას”, რომლებმაც პრაქტიკულად უკვე გაინაღდეს ადგილი ფინალურ ექვსეულში, დარჩენილ 3 ადგილზე 6 გუნდი აცხადებს პრეტენზიას.

ტურის ცენტრალურ მატჩს გუშინ ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა. ერთმანეთის პირისპირ “დინამო” და თბილისი” წარდგნენ. “თბილისის” მწვრთნელმა, გიორგი დევდარიანმა, ავანტიურისტული შემადგენლობა დაუპირისპირა ჩემპიონს. მან დაასვენა 3 წამყვანი მოთამაშე, მათ შორის, ძირითადი მეკარე რეზო ნაჭყებია და საუკეთესო ბომბარდირი სულიკო დავითაშვილი.

ამის მიუხედავად, თამაშის პირველი წუთები სტუმართა სრული უპირატესობით აღინიშნა. მე-3 წუთზე ოდიკაძის გარღვევისა და ზუსტი ჩაწოდების შემდეგ ცარიელ კართან მარტო დარჩენილმა გიორგი ჭელიძემ როგორ ვერ გაიტანა გოლი, ალბათ, თავადაც ვერ ახსნის. 5 წუთის შემდეგ, “კედლის” გათამაშებისას, უკვე ლოლაძე დარჩა გვარამაძესთან პირისპირ, მაგრამ მისი არცთუ ურიგო დარტყმა დინამოელთა მეკარემ მოიგერია. ამის შემდეგ “თბილისს” კიდევ ერთხელ მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ გვარამაძემ თავის კარს კიდევ ერთხელ ააცილა ხიფათი. ამუშავდა ფეხბურთის ულმობელი კანონი: “არ გაიტან, გაგიტანენ”. ჯერ ლადო ბურდულმა ისარგებლა “თბილისის” მეკარის, ივარდავას უყურადღებობით და 35 მეტრის მანძილიდან “ცხრიანში” ჩაუსვა ბურთი, ტაიმის მიწურულს კი გოგობერიშვილის დარტყმის შემდეგ ივარდავამ, მოგერიების ნაცვლად, ბურთი თავად შეაგდო საკუთარ კარში.


“დინამოელ” შაშიაშვილს (მარჯვნივ) “თბილისელები” ვერ გასცდნენ

მატჩის მეორე ნახევარში გოგობერიშვილმა ალექსიძის ასისტენტობით კიდევ ერთი გოლი გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, თუმცა, “დინამოს” კიდევ რამდენჯერმე შეეძლო “თბილისის” კარის დალაშქვრა.

ზედიზედ 3-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ გაიმარჯვა თბილისის “ვიტ ჯორჯიამ”, რომელმაც სტუმრად “სპარტაკი” დაამარცხა (4:1). ამ შეხვედრაში გოცირიძემ “ჰეთ თრიკი” შეასრულა, ერთი გოლიც ლაბაძემ ჩაიწერა აქტივში.

ჩემპიონატის კიდევ ერთმა ლიდერმა, ბოლნისის “სიონმა”, სტუმრად “ბათუმს” გოლი ვერ გაუტანა, თუმცა, საკუთარი კარიც ხელშეუხებლად შეინახა და ქულა მიითვალა.

**მე-18 ტური, 16 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი – ვიტ ჯორჯია | 1:4 |
| ბათუმი – სიონი | 0:0 |
| დილა – მცხეთა | 5:1 |
| **!7 ნოემბერი** | |
| დინამო – თბილისი | 3:0 |
| ტორპედო – მერცხალი | 2:0 |
| კოლხეთი – ლოკომოტივი | 2:1 |

# აბრამოვიჩის გეგმები და ახალი სიურპრიზები

ჩუკოტკის გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი, როგორც ჩანს, ლონდონის "ჩელსიში" დიდი ხნით მივიდა და თავისივე თქმით, 25 და შეიძლება 50 წლითაც დარჩეს. "მე "ჩელსის" ჩემი ცხოვრების 25 ან სულაც 50 წელს დავუკავშირებ. ძალიან მომწონს ინგლისური ცხოვრების წესი. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ", - ამბობს აბრამოვიჩი, რომელსაც გუნდის მიმართ თავისი ერთგულების დადასტურება მას შემდეგ მოუხდა, რაც კლუბთან დაახლოებულმა პირებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ რუს მილიარდერს შეიძლება გუნდი ყელში ამოუვიდეს.


აბრამოვიჩი "ჩელსის" არ დატოვებს

აბრამოვიჩმა თავისი ერთგულება კიდევ ერთხელ დაადასტურა და ისიც აღიარა, რომ კლუბს არასოდეს შეელევა. ამით ჩუკოტკის გუბერნატორი განმარტავს, რომ ის სატრანსფერო პოლიტიკა, რომელიც ზაფხულში წამოიწყო, მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება. ამის დასტურად ჩუკოტკის გუბერნატორის, მადრიდის "რეალის" ფორვარდ რაულით დაინტერესება გამოდგება. აბრამოვიჩი დიდი ხანია, ესპანელის გადმობირებას ცდილობდა, მაგრამ "რეალის" მხრიდან ცივი უარის მიღების შემდეგ, მისმა თვალსაწიერმა ალბიონისკენ გადაინაცვლა და მზერა "ლივერპულის" "ოქროს ბიჭუნაზე" მაიკლ ოუენზე შეაჩერა. "ჩელსის" მფლობელი ოუენის სანაცვლოდ "ლივერპულს საარაკო თანხას - 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობს.

მაიკლ ოუენს კლუბთან კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს ემთავრდება და დიდია იმის ალბათობა, რომ ოუენმა "ლივერპული" დატოვოს. მით უფრო, რომ არაერთხელ უთქვამს, თუ კლუბი ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, სხვა გუნდის მოძებნა მომიწევსო. თუ გავითვალისწინებთ პრემიერლიგაში მერსისაიდული კლუბის ამჟამინდელ მდგომარეობას, ოუენს, ალბათ, სხვა გუნდში გადასვლა მოუწევს. "ჩელსი" კი ფორვარდის ამბიციების დასაკმაყოფილებლად ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს. სწორედ ამის იმედი აქვს რომან აბრამოვიჩს.

თუმცა, "ლივერპულის" ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე ოუენს ეპოტინება და აცხადებს, რომ კონტრაქტის ამოწურვამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და დარწმუნებული ვარ, მაიკლთან შეთანხმებას მოვახერხებთო. როგორც ჩანს, ულიემ და ოუენმა გარკვეულ შეთანხმებას მართლაც, მიაღწიეს. საქმე ის არის, რომ მაიკლი ისეთი კატეგორიული აღარ არის, როგორიც ამ ერთი თვის წინათ იყო.

"მე ვერასოდეს ვიქნებოდი ასეთი ბედნიერი, "ლივერპულში" რომ არ მეთამაშა, - აღიარა მაიკლ ოუენმა, - ეს ჩემი გუნდია, რომელსაც ყოველთვის თავს ვუძღვნიდი. მე მიყვარს ეს ქალაქი. აქ ჩემი ოჯახი ცხოვრობს. აქ გავხდი მამა... რასაკვირველია, ჩემპიონთა ლიგაში თამაში მსურს, მაგრამ მხოლოდ მშობლიურ გუნდთან ერთად. მე არასოდეს მითქვამს, რომ თუ ჩემპიონთა ლიგაში არ მოვხვდები, გუნდს დავტოვებ. ეს ყველაფერი ჭორია და მეტი არაფერი. მე ვთქვი, რომ მომავალში შეიძლება სხვა ქვეყანაში ვითამაშო, მაგრამ ახლა მხოლოდ 23 წლის ვარ და მსურს დიდ წარმატებებს სწორედ "ლივერპულთან" ერთად მივაღწიო. არავითარ ესპანეთში, მით უმეტეს, სხვა ინგლისურ კლუბში გადასვლას არ ვაპირებ".

მიმომხილველები ამბობენ, რომ ოუენის ეს განცხადება შეიძლება ყოველ წუთში შეიცვალოს, თუ "ლივერპული" მაინც გადაწყვეტს თავისი ფორვარდის გაყიდვას. 50 მილიონი ხომ თავის თავზე თვითონ ლაპარაკობს და, როგორც წესი, გუნდების ხელმძღვანელებს ასეთი გულუხვი წინადადებებისგან თავის შეკავება უჭირთ. ასეა თუ ისე, აბრამოვიჩს ყველა შემთხვევაში დროებით მაინც მოუწევს ერთ პრობლემაზე ყურადღების გადატანა.

საქმე ის არის, რომ აშშ-ის სასამართლოში მის წინააღმდეგ 2-მილიონიანი სარჩელი შეიტანა მეორე რუსმა მილიარდერმა მიხაილ ჟივილომ. ის აბრამოვიჩს გამოძალვაში სდებს ბრალს. ეს სარჩელი აშშ-ის სასამართლოში ერთხელ უკვე ფიგურირებდა, მაგრამ ამერიკელებმა მიიჩნიეს, რომ ეს საქმე რუსეთის სასამართლო ორგანოებმა უნდა გაარჩიონ. ახლა კი, ვინაიდან აბრამოვიჩს უცხოური საკუთრება გაუჩნდა ("ჩელსი"), საქმეს შეიძლება მსვლელობა მიეცეს. თუმცა, აბრამოვიჩს შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან, უარეს შემთხვევაში, კომპენსაციის სახით მას შეიძლება ლონდონის "ჩელსი" ჩამოართვან.

აბრამოვიჩის ადვოკატი კი ამტკიცებს, რომ ყველა ეს სარჩელი, რომელიც მისი კლიენტის მიმართ აღიძრა, უბრალოდ, შავი პიარია და მეტი არაფერი. "რუსეთში სხვადასხვა კომპანიებში ბევრი ბიზნესმენი მალავს ფულს, მაგრამ საფეხბურთო კლუბში, მით უმეტეს, ინგლისურში აბრამოვიჩი ფულის გადამალვას ვერ მოახერხებს", - ამბობს ადვოკატი.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ფრანც ბეკენბაუერი კვლავ აირჩიეს მიუნხენის” ბაიერნის” პრეზიდენტად. კენჭისყრაში კლუბის ათასზე მეტმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. მათმა 97,2-მა პროცენტმა ბეკენბაუერს მისცა ხმა. “ბაიერნის” პრეზიდენტად ბეკენბაუერი პირველად 1994 წელს აირჩიეს. წარსულში ლეგენდარული ფეხბურთელი უკვე მეოთხედ აირჩიეს პრეზიდენტად. მიუნხენური კლუბის წესდებით, პრეზიდენტს სამი წლის ვადით ირჩევენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბეკენბაუერი 2007 წლამდე გაუძღვება “ბაიერნს”.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უკანასკნელ ხანს სულ უფრო გახშირდა ინფორმაციები მაიკლ ოუენის “ლივერპულიდან” შესაძლო წასვლის შესახებ. 23 წლის თავდამსხმელის შეძენით მადრიდის “რეალი”, “ბარსელონა” და ლონდონის “ჩელსი” არიან დაინტერესებული. კლუბის გამოცვლა თავად ოუენსაც უნდოდა, თუმცა, ვითარება შეიცვალა. თავის უკანასკნელ ინტერვიუში ოუენმა განაცხადა, რომ “ლივერპულიდან” წასვლას სულაც არ აპირებს, რომ ყველაფერი ჭორი იყო. “მე ვთქვი: არ გამოვრიცხავ, ოდესმე რომელიმე უცხო ქვეყანაში მოვსინჯო ძალები. მაგრამ ჯერ 23 წლის ვარ და “ლივერპულიდან” წასვლას არსად ვაპირებ. ეს ჩემი გუნდია და, მის გარდა, ვერსად ვიგრძნობ თავს ბედნიერად. არც ესპანეთში, და, მით უმეტეს, არც რომელიმე სხვა ინგლისურ კლუბში გადასვლას არ ვგეგმავ”, - განაცხადა ოუენმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** “ჩელსის” გულშემატკივრები შიშობენ, რომ აბრამოვიჩი კლუბისადმი ინტერესს დაკარგავს და მას გასაჭირში მიატოვებს. ამ ეჭვების გაქარწყლებას თავად აბრამოვიჩი შეეცადა. მან განაცხადა, რომ “ჩელსიში” დიდი ხნით არის მოსული. “ჩელსიში” მომდევნო 25, ან სულაც 50 წელს გავატარებ. მე მომწონს ცხოვრების ინგლისური სტილი და აქ შესანიშნავად ვგრძნობ თავს”, - ამბობს აბრამოვიჩი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური პრესა ამტკიცებს, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე “ლივერპული” “ლიდსის” თავდამსხმელს, ალან სმიტს კონტრაქტს შესთავაზებს. “ლიდსი” ფინანსურ კრიზისშია და, ინგლისელი ჟურნალისტების აზრით, “ლივერპულის” წინადადებას დათანხმდება. შეგახსენებთ, რომ სმიტის შეძენის სურვილი ლონდონის “არსენალსაც” ჰქონდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დღეს, დილით, რუსეთის ნაკრები გაფრინდა კარდიფში, სადაც ოთხშაბათს განმეორებით მატჩს გამართავს უელსის ნაკრებთან. წასვლის წინ რუსების მთავარმა მწვრთნელმა, გიორგი იარცევმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გასვლის უკეთესი შანსი უელსის ნაკრებს აქვს. “მოსკოვის მატჩამდე ფავორიტებად ჩვენ ვითვლებოდით. მაგრამ ევროპის ჩემპიონატის საგზურის ბედი ახლა უელსში წყდება, თანაც, ჩვენ ორი წამყვანი ფეხბურთელი დაგვაკლდება. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ფავორიტი უელსია”, - განაცხადა იარცევმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იარცევისგან განსხვავებული აზრი აქვს რუსეთის ნაკრების მცველს, ვიქტორ ონოპკოს, რომელიც მიიჩნევს, რომ, საკუთარ მოედანზე ფრედ ნათამაშევი მატჩის მიუხედავად, უელსის წინააღმდეგ დაპირისპირებაში რუსეთი მაინც ფავორიტად დარჩა. ონოპკო თვლის, რომ რუსეთის ნაკრები ბევრად უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და რომ მათ მტკიცე ხასიათი აქვთ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მოსკოვის “ცსკ”-ს პრეზიდენტმა, ევგენი გინერმა განაცხადა, რომ გუნდის შესაძლო მწვრთნელების სიაში მხოლოდ უცხოელი სპეციალისტების გვარები ფიგურირებს. გასულ ოთხშაბათს “ცსკ”-ს მწვრთნელის პოსტიდან გადადგა ვალერი გაზაევი და მას შემდეგ ეს პოსტი ვაკანტურია. გინერმა განაცხადა, რომ კლუბი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოელ მწვრთნელებთან. ახალი დამრიგებელი, შესაძლოა, ამ კვირაშივე დაასახელონ. პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს გაზაევთან, რათა ეს უკანასკნელი კლუბში დარჩეს და რომელიმე თანამდებობა დაიკავოს.

TV–სპორტი

**სამშაბათი 18. ნოემბერი**

**НТВ + ФУТБОЛ**

08:00 NBA TV. “NBA-ს დიდი თამაშები”. წელი 2001. ფინალი. "LOS ANGELES LAKERS" - "PHILADELPHIA 76 ERS". პირველი თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ახალი სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. “ბავარია” – “კაიზერსლაუტერნი”
15:00 ახალი სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. “იუვენტუსი” – “ბრეშა”
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. პირველი ტურის მატჩების მიმოხილვა
16:05 “დარტყმა გოლისთვის”
16:20 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. ვაჟები 77 კგ. ქალები 63 კგ.
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 თავისუფალი დარტყმა
20:10 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "COLORADO AVALANCHE" - "MIGHTY DUCKS OF ANAHEIM"
22:25 ევრო-2004. ევროპის შესარჩევი ტურნირის “გადამწყვეტი” მატჩი. ნორვეგია – ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:25 ევრო-2004. ევროპის შესარჩევი ტურნირის “გადამწყვეტი” მატჩი. ჰოლანდია – შოტლანდია
02:20 ევრო-2004. ევროპის შესარჩევი ტურნირის “გადამწყვეტი” მატჩი. თურქეთი – ლატვია
03:10 03:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV - NBA შიგნიდან
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. SAN ANTONIO SPURS" - "GOLDEN STATE WARRIORS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**

07:30 07:30-დან 08:00-მდე შესვენება
08:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. ვაჟები 77კგ. პირდაპირი ტრანსლაცია
09:45 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. ქალები 63კგ.
11:00, 16:55, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 “ოლიმპის შვილები”
11:20 აერობიკა
11:55 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ნახევარფინალი. ბელგია – აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია
14:55 ჭადრაკი. “ადამიანი კომპიუტერის წინააღმდეგ”. გარი კასპაროვი – “დიფ ფრიც”
15:25 “კეგლის დროა”
15:55 “ვარსკვლავური სამშაბათი”
17:10 “ბორის მაიოროვის არქივი”
17:40 “NHL – პლუს”
17:55 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ნახევარფინალი. საფრანგეთი – რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 “Power week – NHL-ის კვირა”
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 ჭადრაკი. “ადამიანი კომპიუტერის წინააღმდეგ”. გარი კასპაროვი – “დიფ ფრიც”
23:00 ათენის გზაზე
00:00 “თოვლიანი სამყარო”
00:30 “NHL – პლუს”
00:45 “ნადირობის სეზონი”
01:30 მოტოსპორტი. შოუ მოტოსპორტის ვარსკვლავთა მონაწილეობით
02:10 “Power week – NHL-ის კვირა”
02:40 ბილიარდი. მსოფლიო თასი რუსულ ბილიარდში
03:10 “რკინის ფაქტორი”
03:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ბრაზილია – ურუგვაი. პირდაპირი ტრანსლაცია
05:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "COLORADO AVALANCHE" - "MIGHTY DUCKS OF ANAHEIM". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
12:00 მულტისპორტი
12:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
14:15 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
16:00 ფეხბურთი. ევრო-2004
17:00 ფეხბურთი. ევრო-2004
18:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
19:00 ფეხბურთი. ევრო-2004
21:45 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
22:45 “ოლიმპიური თამაშები”
23:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით
23:30 ცხენოსნობა. კონკური
00:30 ცხენოსნობა. კონკური
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. ევრო-2004
04:15 ახალი ამბები



## ინფოთეკა

**ფორმულა 1.** 2005 წელს კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია "მაკლარენის" საჭეს მიუჯდება. მისი კონტრაქტი "უილიამსთან" მომავალ სეზონში დასრულდება, რის შემდგომაც მონტოია ყოველგვარი ვალდებულებისგან გათავისუფლდება. "ჩვენ არ შეგვეძლო მონტოიასთან კონტრაქტის გაფორმების შანსი ხელიდან გაგვეშვა, – ამბობს "მაკლარენის" ბოსი რონ დენისი, – ამდენად, 2005 წელს ჩვენი გუნდისგან ბევრ სიურპრიზს უნდა ელოდოთ". შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ხუან პაბლო მონტოიამ პილოტთა პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა და წინ მიხაელ შუმახერი და ფინელი კიმი რაიკონენი გაუშვა. "მაკლარენში" კი მონტოია, ალბათ, შოტლანდიელ დევიდ კულტჰარდს შეცვლის.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ბრიტანული ჟურნალ "ავტოსპორტის" ინფორმაციით, მექსიკას დიდი იმედი აქვს, რომ 2005 წელს ფორმულა 1-ის რომელიმე გრან-პრის რბოლის ჩატარების უფლებას მიიღებს. ადრე (1992 წლამდე), მექსიკაში ფორმულა 1-ის გრან-პრის ეტაპი იმართებოდა. რბოლები მეხიკოს ტრასაზე მიმდინარეობდა. ამჟამად კი ამ ტრასაზე ამერიკული კარტის სერიის რბოლები იმართება. თუმცა, ჟურნალის ინფორმაციით მექსიკის ხელისუფლება რბოლის გამართვას არა მეხიკოში, არამედ კანკუნაში 2005 წლის აპრილში ან მაისში აპირებს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "ზაუბერის" ბოსმა კომპლიმენტები მიუძღვნა ნიკ ჰაიდფელდს, რომელიც შვეიცარიულ გუნდში ამიერიდან ჯანკარლო ფიზიკელას შეცვლის. ზაუბერმა აღიარა, რომ ჰაიდფელდის გათავისუფლება "პოლიტიკური გადაწყვეტილება" იყო და უაღრესად საწყენი იქნება, თუ გერმანელი ფორმულა 1-ში არ დარჩება. "მე არ მინდოდა მისი დაკარგვა, რადგან ნიკთან მუშაობა ძალიან მომწონდა, – აცხადებს პიტერი, – ის უაღრესად პროფესიონალურია და ზუსტი, განსაკუთრებით ტექნიკურ საკითხებში. ინჟინრებს მასთან მუშაობა უადვილდებათ და ის უაღრესად სწრაფია. ამჟამად ნიკი რთულ სიტუაციაში იმყოფება და ვიმედოვნებ, რომ ის შეძლებს თავისი ადგილის გამონახვას – შეიძლება "ჯორდანში" – თუ არა და მაშინ ისეთ გუნდში უნდა მოეწყოს, სადაც ორივე პილოტი არც ისე ძლიერი იქნება".

■ ■ ■

**კრივი.** IBF-ის ვერსიით მსუბუქ წონაში, ახალგაზრდულ თანრიგში დებიუტი ჰქონდა მენი პაკიაოს. მან სადებიუტო შეხვედრაში მარკო ანტონიო ბარერასთან იჩხუბა. პაკიოა თავის 29 წლის მეტოქეზე ბევრად უფრო სწრაფი და მობილური აღმოჩნდა და ბარერა ორჯერ გაისტუმრა ნოკდაუნში – მე-3 და მე-11 რაუნდებში. რეფერიმ ბრძოლა მეორე ნოკდაუნიდან რამდენიმე წამის შემდეგ შეწყვიტა.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** რუსმა დიდოსტატმა გარი კასპაროვმა, როგორც იქნა, მოიგო ნიუ იორკში მიმდინარე კომპიუტერული პროგრამა X3D Fritz-თან შეხვედრის მესამე პარტია. კასპაროვმა დებიუტისთვის იშვიათი ვარიანტი აირჩია, რომელიც უკანასკნელად 55 წლის წინათ გამოიყენეს. მან თავიდანვე მოიგო პაიკი და შესამჩნევ უპირატესობას დაეუფლა. შეგახსენებთ, რომ კასპაროვისა და კომპიუტერული პროგრამის მატჩი ოთხი პარტიისგან შედგება. პირველი პარტია ყაიმით დასრულდა. მეორე კომპიუტერმა მოიგო. იმ შეხვედრაში ინიციატივა კასპაროვის მხარეს იყო, მაგრამ მან უხეში შეცდომა დაუშვა. დაკარგა ცენტრალური პაიკი და მისი მდგომარეობა მაშინვე უიმედო გახდა. მეოთხე უკანასკნელი პარტია დღეს, გვიან გაიმართება. კასპაროვი გამარჯვების შემთხვევაში 200 000 დოლარს მიიღებს. დამარცხებისთვის კი - 50 000 დოლარით ნაკლებს.

■ ■ ■

**მარათონი.** ტოკიოში მარათონი გაიმართა. ეს გარბენი დასრულდა ეთიოპიელი ელფენეშ ალემუს გამარჯვებით. გამარჯვებულმა 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2 საათში, 24 წუთსა და 47 წამში დაფარა. ალემუმ 2 წუთითა და 33 წამით ჩამოიტოვა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, იაპონელი ნაოკო ტაკახაში.

■ ■ ■

**ციგურაობა.** გერმანიის ქალაქ ერფურტში გაიმართა მსოფლიო თასის ეტაპი ციგურაობაში. ასპარეზობა ჰოლანდიელთა ტრიუმფით აღინიშნა. 1500 მეტრ დისტანციაზე გარბენში წარმატება ჰოლანდიელმა მარკ ტუიტერტმა იზეიმა. მან ჩამოიტოვა თანამემამულეები – ერბენ ვენემარსი და იდს პოტსმა. საერთო ჩათვლაში ტუიტერტი ლიდერობს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "სან-ხოსეს" მეკარე მიკა კიპრუსოფი "კალგარიში" გადავიდა. კანადურმა კლუბმა ფინელის სანაცვლოდ მის კლუბს 2005 წლის დრაფტში არჩევანის უფლება უბოძა. "რაც დანამდვილები ვიცი ის არის, რომ მიკა ნამდვილი NHL-ის მეკარეა. თანაც, ის მხოლოდ 27 წლის არის, – განაცხადა "კალგარის" გენერალურმა მენეჯერმა და მწვრთნელმა დერილ სატერმა, რომელიც მიკა კიპრუსოფს "სან-ხოსეში" მუშაობის პერიოდიდან იცნობს. შეგახსენებთ, რომ "კალგარის" ძირითადი მეკარე რომან ტურეკი ტრავმირებულია. მან 18 ოქტომბერს "ბუფალოს" წინააღმდეგ შეხვედრაში მუხლი დაიზიანა.

ჩოგბურთი

# დიდოსტატის მარჯვენა


როჟე ფედერერი

სანდრო ნავერიანი

დროული კოკისპირული წვიმის მიუხედავად, აგასის მაინც ვერაფერმა უშველა. ჰიუსტონში, "westside tennis club"-ის კორტებზე, დასრულდა სეზონის უკანასკნელი ტურნირი, რომელმაც ბევრ კითხვაზე გაგვცა პასუხი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელი აგასი და შვეიცარიელი როჟე ფედერერი. ტურნირის დაწყების წინ ფედერერს ყველა აუტსაიდერად მიიჩნევდა, მაგრამ რაები დაატრიალა მისმა მარჯვენამ, ყველამ საკუთარი თვალით ვნახეთ.

სეზონის დასკვნითი მატჩი ზუსტად ისეთი დაძაბული გამოდგა, როგორიც ფინალს შეეფერება. მართალია, აგასიმ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მაგრამ დაძაბულობას ორსაათნახევრით შეწყვეტილი მატჩი ქმნიდა.

უიმბლდონის ტრიუმფატორმა როჟე ფედერერმა სეზონი მაჟორული ნოტით დაასრულა - ანდრე აგასი სამ სეტში დაამარცხა (6:3, 6:0, 6:4). "მან ქვა ქვაზე არ დატოვა",- განაცხადა მატჩის შემდეგ აგასიმ.

ფედერერის ეს მიღწევა ხუმრობა არ გეგონოთ. პირველ ადგილთან და მილიონნახევარ დოლართან ერთად მან მიიღო "მერსედესის" ახალი სპორტული მოდელი, რომელიც საგანგებოდ ტურნირის გამარჯვებულისთვის დაამზადეს. ძველ მიღწევებთან ერთად, მან კიდევ ერთი ბონუსი აიღო: მეორე ადგილი საჩემპიონო რბოლაში.

"ძალიან გახარებული ვარ ჩატარებული სეზონით, კერძოდ, ამ ტურნირის მოგებით, - განაცხადა მატჩის შემდეგ ფედერერმა. - მე ნამდვილად გადავაჭარბე იმ მიზნებს, რომლებიც სეზონის დასაწყისში საკუთარ თავს დავუსვი. შვიდი ტიტული, რომელიც ოთხ სხვადასხვა საფარზე მოვიპოვე, ჩემი პირველი "დიდი სლემის" ტურნირი და მეორე ადგილი საჩემპიონო რბოლაში. უაღრესად გახარებული და კმაყოფილი ვარ. ეს სეზონი საუკეთესოა ჩემს კარიერაში. დღეს ჩემი მარჯვენა, უბრალოდ, არაჩვეულებრივად მუშაობდა. პირველი და მეორე მოწოდებაც ფანტასტიკურად გამომდიოდა. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვარ. მადლობა ყველას, ვინც გვერდში მედგა," - ფედერერმა იმდენი მადლობა თქვა, რომ ყველას ეყო, იმათაც კი, ვისთანაც სამადლობელი არაფერი ჰქონდა.

აგასიმაც შეაწია ერთი-ორი სიტყვა: "ფედერერმა დაამტკიცა, რომ რთულ პირობებშიც შეუძლია კარგად და შედეგიანად თამაში. დღეს ის არაჩვეულებრივი იყო. მან გააკეთა ის, რასაც ყველა დიდი ჩოგბურთელი გააკეთებდა. ის ძლიერია თამაშის ყველა ასპექტში. მე დღეს, უბრალოდ, შანსი არ მქონდა. მას ნამდვილად დიდოსტატის მარჯვენა აქვს".

მართალი კაცი კარგი კაციაო, ნათქვამია. ზოგს შეიძლება თავის მართლება დაეწყო ან მსაჯისთვის დაებრალებინა ყველაფერი, მაგრამ ის, რაც აგასიმ თქვა, ნამდვილი რაინდის სიტყვები იყო.

ტელეარხები, გაზეთები და სხვა საინფორმაციო წყაროები თითქოს მოუთმენლად ელოდნენ ამ ფინალს. მატჩის შემდეგ ნახევარი საათი არ იყო გასული, რომ cnn-მა დაიწყო იმ მიზეზების ძებნა, თუ რატომ წააგო აგასიმ. უამრავი ვერსია გაშუქდა და გამოქვეყნდა, მაგრამ არც ერთი არ არის რეალობასთან ახლო. მაგალითად, ერთ-ერთმა ამერიკულმა ინტერნეტ-საიტმა განაცხადა, რომ აგასის ფედერერის სომეხმა ფანებმა შეულოცეს და მატჩიც ამიტომ წააგო. კიდევ ერთი საინტერესო ვერსია, რომელიც ამერიკულმა, კერძოდ, ლასვეგასურმა პრესამ გაავრცელა, იმით არის საინტერესო, რომ, იმ სამი სეტის განმავლობაში, რომელიც თითქმის ორ საათს გაგრძელდა, თურმე, აგასი თვალებში ვერ იხედებოდა. აგასი რომ "თვალებში ვერ იხედებოდა", ნევადელ მკითხავ ქალბატონს დაუსკვნია. "როდესაც მატჩს ვუყურებდი, მივხვდი, რომ ის კორტს ვერ ხედავდა. მის თვალებს ვარდისფერი ბურუსი გადაჰკვროდა, ვეცადე, დავხმარებოდი, მაგრამ ამაოდ", - განაცხადა მკითხავმა, რომლის სახელია ადონალ მალიზი. ის, რაც ადონალ მალიზმა განაცხადა და რაც ლას ვეგასის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა, საქართველოში რომ გამოქვეყნებულიყო, დათო გოგიჩაიშვილი ჰედლაინად გამოიყენებდა და ხალხსაც გვარიანად გაამხიარულებდა.

ასე რომ, დამთავრდა ჩოგბურთის წლევანდელი სეზონი. ვინ როგორი შედეგებით გამოირჩეოდა, ვინ რა წარმატებას მიაღწია, ვინ მარცხდებოდა და ვისთან მარცხდებოდა, ამ ყველაფერს შეძლებისდაგვარად ვაშუქებდით. რეიტინგი კი ასე გამოიყურება.

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ენდი როდიკი (აშშ) | 4535 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 4375 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 4205 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 3425 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 3330 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია) | 3205 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 2280 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2060 |
| მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1615 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) | 1610 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| ენდი როდიკი (აშშ) | 907 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 875 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 841 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 685 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 666 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია) | 641 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 456 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 412 |
| მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 323 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) | 322 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ჟიუსტინ ენინი (ბელგია) | 6628.00 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია) | 6553.00 |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 3916.00 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3194.00 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 2990.00 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2766.00 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2581.00 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2383.00 |
| ჩანდა რუბინი (აშშ) | 2328.00 |
| აი სუგიამა (იაპონია) | 2235.00 |

კალათბურთი

# ჯეკ "გიჟმაჟი" ნიკოლსონი "ლეიკერსით" კმაყოფილია

სანდრო კუპრავა

როცა საქართველოში კვირა დილა გათენდა, ჩრდილოეთ ამერიკაში შაბათი საღამო იყო და ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის სამი მატჩი გაიმართა.

"ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" საკუთარ "სტეპლეს ცენტრში" წლევანდელი სეზონის, ალბათ, ყველაზე სუსტი გუნდი, "მაიამი ჰიტი" მიიღო. ფავორიტის დასახელება არავის გასჭირვებია, ამოცანა სულ სხვა რამ იყო. ბუკმეკერულ კანტორებში ფსონები იმაზე კეთდებოდა, თუ რამდენი ქულით მოიგებდა კალიფორნიული გუნდი. ლოგიკურიცაა: ეჭვის შეტანა იმაში, რომ "ლეიკერსი" გაიმარჯვებდა, უბრალოდ, სისულელედ ითვლებოდა. კალიფორნიელთა სასტარტო ხუთეული, როგორც ყოველთვის, ასეთი იყო: ბრაიანტი, პეიტონი, ო`ნილი, მელოუნი და დივენ ჯორჯი. ეს გუნდი მადრიდის "რეალის" ანალოგიაა კალათბურთში. "ლეიკერსმა" დასაწყისშივე დიდი უპირატესობა მოიპოვა, რაც თამაშის ბოლომდე გაზარდა კიდეც. "ლეიკერსის" წლევანდელი ამბიცია თავად მოთამაშეთა სახელებზე დიდია და გასაკვირი არ არის, როდესაც 20 ქულას იგებენ და მაინც ყველა ბურთისთვის თავგანწირვით იბრძვიან. ისინი იმდენად დიდი პროფესიონალები არიან, რომ თავს წამით მოდუნების უფლებასაც კი არ აძლევენ. მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო კობი ბრაიანტი, რომელსაც რამოდენიმე დღის წინ სასამართლო ჰქონდა და დღემდე არ იცის, რა ბედი ეწევა. ბრაიანტმა 27 ქულა და ექვსი შედეგიანი გადაცემა გააკეთა. გერი პეიტონი,


ნიკოლსონი თავისი ფავორიტით კმაყოფილია

რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია, მოედანზე ფრინავდა. პეიტონმა და მელოუნმა ნამდვილი სპექტაკლი დადგეს. მატჩის შემდეგ ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა დენ კროუფორდმა განაცხადა, რომ ამ თამაშის ყურებით უდიდესი სიამოვნება მიიღო. "ყველა შეცდომა, რომელიც მე დავუშვი, სულ იმ პეიტონისა და მელოუნის ბრალია", - "უკმაყოფილო" იყო დენ კროუფორდი, რომელიც სიცილით ამბობდა ამ სიტყვებს და მადლობას უხდიდა (არ ვიცი, ვის) იმისთვის, რომ ასეთი ლამაზი თამაში და გენიოსი მოთამაშეები არსებობენ. ასეა თუ ისე, "ლეიკერსის" თამაშით ყველა აღფრთოვანებულია და უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს. თავად სტენ ვანგანდიმ ("მაიამი ჰიტის" მთავარი მწვრთნელი), რომელიც განთქმულია თავისი ფეთქერი ხასიათით და თავშეკავებულობით, განაცხადა: "ეს თამაში ჩვენ რომ მოგვეგო, გული დამწყდებოდა". კალიფორნიელთა ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა და ემოციურმა გულშემატკივარმა ჯეკ ნიკოლსონმა კი განაცხადა: "გინახავთ ოდესმე, გულხელდაკრეფილი ვმჯდარიყავი და "ლეიკერსის" თამაშისთვის ისე მეყურებინოს?! ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი თამაში, რაც კი ოდესმე მინახავს." - ხომ ხედავთ, თავად "გიჟმაჟი" ნიკოლსონიც კი დიდი სიამოვნებით ადევნებდა მატჩს თვალყურს.

"მაიამი ჰიტი" ამ სეზონში ძალიან სუსტი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, რასაც, ჩემი აზრით, მომავალ სეზონამდე ვერ გამოასწორებს. ძნელია, გუნდი მარტო ლამარ ოდომისა და ედი ჯონსის იმედად იყოს, თანაც, არც მწვრთნელი ჰყავთ ისეთი, რომ ათასნაირი სათამაშო სქემა უტრიალებდეს თავში. მოკლედ, ამ სეზონში "მაიამის" ერთადერთი ამოცანა აქვს: მომავალი სეზონისთვის გუნდი შეათამაშოს და სატრანსფერო პოლიტიკა შეცვალოს, თორემ კარგი მოთამაშეების გაყიდვით და საშუალო დონის კალათბურთელების ყიდვით ვერაფერს მიაღწევენ. გლენ რაისის დროინდელი "მაიამი ჰიტი" წარსულს ჩაბარდა და იმ დროს ველარ დააბრუნებ, ეგეთი დრო უნდა შექმნან.

კიდევ ერთმა ფავორიტმა "საკრამენტო ქინგზმა" საკუთარ "არკო არენაზე" გოლდენ სთეითელი მებრძოლები მიიღო და 2 ქულის სხვაობით დაამარცხა. საუკეთესონი იყვნენ პეჟა სტოიაკოვიჩი (33) და ბობი ჯექსონი (16). "უორიორზის" შემადგენლობაში კი ჯეისონ რიჩარდსონმა (31) და კლიფორდ რობინსონმა (16) გამოიჩინეს თავი. და კიდევ ერთი თამაში, რომელიც კანადაში, "ტორონტო რეფტორზის" სტადიონზე, "ეირ კანადა ცენტრში" გაიმართა. ადგილობრივმა რეპტილიებმა "ჰიუსტონ როქეთსი" მიიღო და 4 ქულის სხვაობით გაიმარჯვა. ვინს კარტერის ანგარიშზე 18 ქულაა, ხოლო საუკეთესო იყო კრის ბოში, რომელმაც 26 ქულა მოაგროვა. სტუმართა რიგებში სტივ ფრენსისი (25), იაო მინგი (20) და კატინო მობლი (19) ბრწყინავდნენ.

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში შეიძლება მოხდეს ცვლილებები, რომლებიც საკალათბურთო ევროპას კარგის მეტს არაფერს მოუტანს, ხოლო nba-ს ბოსებს დიდ ფულს ჰპირდება. საქმე ის არის, რომ ცოტა ხნის წინ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა, დევიდ სტერნმა გრანდიოზული პროექტის განხორციელება განიზრახა – მას უნდა, რომ ევროპულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღონ რეგულარულ ჩემპიონატში. ეს ძალიან დიდი და სასარგებლო გეგმაა, მაგრამ, თუ ეს მოხდა, მაშინ ბევრი რამ შეიცვლება და ლიგა დაკარგავს იმ სახეს, რაც დღეს აქვს და რაც ყველას, მაყურებელს თუ მონაწილეს, აკმაყოფილებს. თუ ევროპულ გუნდებს უნდათ, რომ ეს ოცნება აუხდეთ, მათ nba-ს სტანდარტების შესაბამისი მოედნები უნდა ჰქონდეთ, მაყურებლის რიცხვი კი გაზარდონ. ამ შემთხვევაში 2010 წლის ბოლოსთვის ოცნებას განხორციელება უწერია. თუ ეს მოხდა, ძალიან საინტერესო და, ამავე დროს, სასარგებლოც იქნება. ვინ იცის, იქნებ რომელიმე ქართული კლუბი, "მაკაბი" ან "ქუთაისიც" მოხვდეს nba-ში.

**საკრამენტო - გოლდენ სთეითი 106:104** *(საკ: პეჟა სტოიაკოვიჩი-33, ბობი ჯექსონი-16), (გოლ: ჯეისონ რიჩარდსონი-31, კლიფორდ რობინსონი-16)*

**ტორონტო - ჰიუსტონი 101:97** *(ტორ: კრის ბოში-25, ვინს კარტერი-18), (ჰიუ: სტივ ფრენსისი-25, იაო მინგი-20, კატინო მობლი-19)*

**ლ.ა.ლეიკერსი - მაიამი 99:77** *(ლ.ა.ლ: კობი ბრაიანტი-27, შაკილ ო`ნილი-14, გერი პეიტონი-13, კარლ მელოუნი-11), (მაი: ლამარ ოდომი-18, ედი ჯონსი-12)*

ფორმულა 1

# რალფ შუმახერის ავსტრიული პრობლემები

ნინო პირველი

ფორმულა 1-ის ჯადოქრის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, მიხაელ შუმახერის უმცროსი ძმა რალფი ღმერთმა თავიდანვე გაწირა მეორეხარისხოვანი როლისთვის. თითქოს ცუდი პილოტი არ არის, ხანდახან მიხაელსაც ჩაგრავს - რბოლას იგებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ვერაფრით დააღწია თავი უფროსი ძმის გავლენას. სპორტის მოყვარულთა უმრავლესობისთვის რალფი მხოლოდ მიხაელის უმცროსი ძმაა და მეტი არაფერი. მის საჩემპიონო ამბიციებს სერიოზულად არავინ აღიქვამს.

გასულ სეზონში, სანამ უფროსი "შუმი" მეექვსე ტიტულს მოიპოვებდა, რალფი საკუთარ თავში მეტად დარწმუნებული კაცის ტონით აცხადებდა, წლეულს მიხაელს სერიოზული პრობლემები შეექმნებაო, მაგრამ მისი ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა. უფროსი "შუმი" მაინცდამაინც ჩვეულ ფორმაში არ იყო, რალფი კი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის მთავარ კონკურენტებად ყველა კოლუმბიელ ხუან პაბლო მონტოიას და ფინელ კიმი რაიკიონენს მიიჩნევდა და არა მიხაელის უმცროს ძმას. კანადის გრან-პრის შემდეგ მხოლოდ ნიკი ლაუდა ამბობდა, რალფს ნუ ეხუმრებით, ამ ბიჭს დიდი პოტენციალი აქვსო, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ რალფი ნახევრად დამწვარ ავსტრიელ პილოტსაც გადაავიწყდა და უმცროსი "შუმის" თანაგუნდელის, ხუან პაბლო მონტოიას გაჩემპიონებაზე დაიწყო ლაპარაკი. ერთ-ერთ ტესტ-რბოლაზე რალფი მძიმედ დაშავდა და ჩემპიონობაც მომავალი სეზონისთვის გადაიდო. იქნებ გაისად მაინც დაემხოს "ფერარის" "წითელი ბარონის" ჰეგემონია? იქნებ იტალიელთა გერმანელ ვარსკვლავს საკუთარი ძმა ექცეს ჯალათად? ამის შანსი რალფს ნამდვილად ჰქონდა სუძუკას რბოლის დროს. იაპონიაში ძმებმა ვერაფრით ვერ გაიყვეს ტრასა - რალფი დათმობას არ აპირებდა, მიხაელს კი, თუ მეექვსე ტიტულის დაკარგვა არ უნდოდა, უბრალო შეცდომის უფლებაც არ ჰქონდა. დუელი იმდენად დაძაბული იყო, რომ უფროსმა "შუმიმ" იაპონიაში განცდილი მძიმე წუთები დიდხანს ვერ დაივიწყა. რბოლის შემდეგ, როცა ყველაფერი კარგად დასრულდა და მიხაელი მეექვსედ გახდა ჩემპიონი, რალფმა ცივად მიულოცა ძმას მორიგი ტიტული და ხუმრობანარევი საყვედურით უთხრა, რატომ არ გამატარეო. მიხაელმაც ცივადვე მიუგო, ვითომ რა მოხდებოდა, წინ რომ არ გადამღობებოდიო. ამ მოკლე დიალოგს ყური მოჰკრა გერმანული "ბილდის" ჟურნალისტმა და ერთი ამბავი ატეხა, ძმები შუმახერები უკვე ჩხუბზე გადავიდნენო, მაგრამ ეს პატარა ინციდენტი უცებვე ჩაცხრა. შუმახერები ერთმანეთს საჯაროდ არ დაუპირისპირდნენ. როგორც ჩანს, მათი ძმური სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე საჩემპიონო ამბიციები.


რალფ შუმახერს პრობლემები აქვს

საბრალო რალფს არაფერში უმართლებს. ჩემპიონი რომ ვერ ხდება, ამას უკვე ყველა მიეჩვია და არავის უკვირს. სამწუხარო ისაა, რომ უმცროს "შუმის" პირად ცხოვრებაშიც არაერთი პრობლემა ექმნება ხოლმე. "უილიამსის" გერმანელი პილოტი ჯერ ინგლისელმა ჟურნალისტებმა გაამწარეს - როგორც მოეპრიანებოდათ, ისე ლანძღავდნენ და საერთოდ არ აინტერესებდათ, რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ჟურნალ-გაზეთებში მათ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია. ერთხელ რალფი კინაღამ ცოლს წაჰკიდეს, როცა ვითომ სხვათა შორის გამოაცხადეს, უმცროსი "შუმი" სილიკონებით და ათასგვარი პლასტიკური ოპერაციებით ხელოვნურად გალამაზებულ კეიტ პრაისზე გიჟდებაო. კეიტ პრაისი "ჯორდანის" საჯინიბოს კი წარმოადგენს, მაგრამ "უილიამსის" პილოტებს უფრო მეტად სწყალობს. რალფს მანამდე იცნობდა, სანამ ის კორა ბრინკმანს შეირთავდა ცოლად. რა ხდებოდა ამ პერიოდში მათ შორის, კაცმა არ იცის. რალფი ამტკიცებს, არც არაფერიო, კეიტი კი მხურვალე ღამეების შესახებ ყვება. სილვერსტოუნის რბოლის წინ, რომელიც ინგლისში ტარდება, კეიტ პრაისი, რომ იტყვიან, ჭკუაზე არ იყო: ერთი რალფი აქ ჩამოვიდეს და მერე მე ვიციო, მაგრამ კორაზე შეყვარებულ რალფს სახელგანთქმულ ადამიანებზე მონადირე კეიტისკენ არც კი გაუხედავს. რალფის საბედნიეროდ, კორა არ რეაგირებს არც კეიტ პრაისის გამოხდომებზე, არც ინგლისური ბულვარული პრესის ჭორებზე. უმცროსი "შუმის" ოჯახურ მყუდროებას საფრთხე არ ემუქრება.

თითქოს ინგლისური უსიამოვნებები არ ეყოფოდა, რალფს ახლა ავსტრიაშიც შეექმნა პრობლემები. რალფი და მისი მეუღლე ზალცბურგში ამჯობინებენ ცხოვრებას და იქ სრული კომფორტის შექმნას ცდილობენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ავსტრიელებს სულაც არ ეპიტნავებათ ალპებსგაღმელი მეზობელი. ავსტრიელი ჟურნალისტები ამაოდ ცდილობდნენ, რალფისა და კორასთვის პიკანტური ფოტოები გადაეღოთ - შუმახერებმა ახლოს არავინ გაიკარეს. "რალფი და კორა არ არიან ფორმულა 1-ის დევიდ და ვიქტორია ბექჰემები. მათ არ სურთ კამერის წინ პოზიორობა", - ამბობს რალფის მენეჯერი ვილი ვებერი. რაკი რალფი ასე ცივად ექცევა ავსტრიულ მედიას, ავსტრიაში მკვეთარად იკლო მისმა პოპულარობამ. ასე, მაგალითად, მეზობლებმა რალფს უკვე რამდენჯერმე უჩივლეს პოლიციაში. ერთხელ იმის გამო აუხირდნენ, შენი ძაღლი ღამ-ღამობით ხმამაღლა იყეფებაო და იძულებული გახადეს, ძაღლი გაესხვისებინა. მეორედ მეზობლები შუმახერების რემონტმა გააღიზიანა. ამას დაემატა სიჩქარის გადაჭარბება. რალფი ორჯერ დაიჭირეს რადარებმა, მაგრამ პოლიციამ მას მაინც არ ჩამოართვა მართვის მოწმობა, რამაც ავსტრიელების აღშფოთება გამოიწვია - ჩვენ თუ ვისჯებით სიჩქარის გადაჭარბების გამო, ეგ რა წითელი კოჭია, რომ წყლიდან მუდამ მშრალად გამოდისო. მოკლედ, ზედმეტად წესიერ ავსტრიელებს რალფის უსაქციელობა ნერვებს უშლის და მის დასჯას მოითხოვენ. რატომაც არა, ბოლოს და ბოლოს, ორივე შუმახერი ხომ სავსებით ჩვეულებრივი ადამიანია.

## კულტურა სამეფო კარზე

შუა საუკუნეების, კერძოდ კი XI საუკუნის მემატიანემ, რიშერმა, დაგვიტოვა სტენოგრამა (თუ შეიძლება ასე ითქვას) კამათისა, რომელიც გაიმართა შარტრის ეპისკოპოს **ჰერბერტსა** და სწავლულ **ოდერიკს** შორის. ამ კამათს ესწრებოდა გერმანიის იმპერატორი **ოტონ II**. მოკამათეებს უნდა გადაეწყვიტათ, მათემატიკა და ფიზიკა ერთსა და იმავე საგანს წარმოადგენდნენ, თუ პირველი მეორეს ექვემდებარებოდა ისევე, როგორც სახეობა ექვემდებარება გვარს. უნდა ითქვას, რომ ეს კამათი სულაც არ იყო ამაო: თუნდაც იმიტომ, რომ ასტრონომიას, რომელიც უეჭველად ფიზიკის ნაწილი იყო, ვერ შეისწავლიდნენ მათემატიკის გამოუყენებლად. დღეს ეს ჭეშმარიტება კიდევ უფრო ცხადია.

მაგრამ დისკუსია იმდენად გაგრძელდა და თავდაპირველ საგანს მოსცილდა, რომ იმპერატორმა ოტონმა ის ოფიციალურად დასრულებულად სცნო: რითიც ინტელექტუალები ერთობიან, იმისთვის დრო ყოველთვის არ ჰყოფნის მმართველებს. არგუმენტაცია საკმაოდ საფუძვლიანი იყო: "თითქმის მთელ დღეს გაგრძელდა და მისი განუწყვეტელი მიმდინარეობა უკვე ღლიდა მსმენელს".

სოფისტიკური მსჯელობებიდან, რა თქმა უნდა, ვერავითარი ახალი ფილოსოფიური კონცეფცია ვერ დაიბადებოდა. მოკამათეები ვერანაირად ვერ ახერხებდნენ საქმის არსის წვდომას და მათი საუბარი ძველ სწავლულთა ციტირებით შემოიფარგლებოდა. ამ უკანასკნელთ ისინი შეუცდომელებად და საბოლოო ავტორიტეტებად მიიჩნევდნენ. ერთადერთი, რაც ამ კამათში დამტკიცდა და წარმოჩნდა, მონაწილეთა საოცარი გონებრივი გამჭრიახობა იყო, მაგრამ ესეც უფრო საშიში იყო, ვიდრე სასარგებლო. მაგრამ ეს ბრწყინვალე უნარი მაინც ვარგოდა იმისთვის, რომ სამონასტრო სკოლის კედლებით არ დაკმაყოფილებულიყო და სამეფო კარზეც განეცხადებინა თავისი ბრწყინვალება.

საერო პირებსაც მიეცათ საშუალება, აბსტრაქტული კამათის სილამაზით დამტკბარიყვნენ. და არა მხოლოდ გერმანულ ოტონთა შორის, თუმცა კი ესენი X-XI საუკუნეების ევროპის ყველაზე განათლებულ და კულტურულ მონარქებად ითვლებოდნენ, არამედ საფრანგეთის სამეფო კარზეც.

სწორედ ეპისკოპოსი ჰერბერტი იყო საფრანგეთის მეფის, **რობერ ღვთისმოსავის** (960 - 1031) აღმზრდელი. ეს მონარქი თავისი ბიოგრაფის, კლუნის აბატ ოდონის მონაფის, **ჰელგალდის** წყალობით განსაკუთრებით ცნობილია. რობერი საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი დინასტიის, **კაპეტინგების** მამამთავრის, **ჰუგო კაპეტის** ვაჟი იყო. ოტონები, როგორც ცნობილია, ხშირად ირთავდნენ ცოლებად ბიზანტიელ იმპერატორთა ქალიშვილებს. თავდაპირველად დანიშნულობისას ეს სწრაფვა ჰუგოსაც ჰქონდა და ეპისკოპოს ჰერბერტს წერილიც კი დააწერინა კონსტანტინოპოლში გასაგზავნად. ოღონდაც არასოდეს გაუგზავნია, რადგანაც ინტელექტუალურმა მისწრაფებებმა პოლიტიკურ ინტერესებს დაუთმო ადგილი. რობერს საბოლოოდ ერთი ფლანდრიელი ჰერცოგის ქვრივი შეხვდა ცოლად, რომლის წყალობით მამამისი ფლანდრიის შემოერთებას იმედოვნებდა. და მაინც ღვთისმოსავის წოდებით შერაცხული რობერი საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟია. ჩვენ ვიცით, რომ ამ მეფეს [illegible] კითხვა და გალობა [illegible] შეეძლო. რეიმსის სკოლაში მონარქს სხვა ბევრი რამეც ექნებოდა ნასწავლი, აბა, სხვაგვარად ხომ არ მოიხსენიებდა მას თავის პოემაში ლაონის ეპისკოპოსი **ასცელინუსი**. მოგვიანებით რობერი თავისი [illegible]. მაგრამ ასცელინუსის თხზულებაში ამ [illegible]. აქ მეფე სქოლასტიკური დისპუტის მონაწილეა დახატული და თავისი პირადი თვისებებიდან ალბათ მხოლოდ [illegible] შერჩენია. ავტორი და მეფე ამ ტექსტში შემდეგ საუბარს მართავენ ერთმანეთს:

**მეფე:** აშკარაა, რომ შენი მხცოვანი თავი უკვე გედის სპეტაკ ბუმბულს ეჯიბრება. შენი ბებრული ბუნება გაიძულებს ასეთ მეტყველებას. ამიტომაც უშვებ შეკითხვაში ამდენ შეცდომას.

**ეპისკოპოსი:** მე სხვა ბუნება შთამაგონებს. ბუნება, რომელიც სიბერეშიც არ კლავს კაცს.

**მეფე:** მითხარი, რამდენი ბუნება მოუცია კაცს?

**ეპისკოპოსი:** მე მგონი, ორი. მაგრამ შენც იცნობ ამ ორი ბუნების მრავალფეროვან ასპექტებს.

**მეფე:** ორთაგან რომელი მეტყველებს შენში? ორთაგან რომელია შენი სიტყვების წყარო?

**ეპისკოპოსი:** მე უბრალო წერა-კითხვის მცოდნე ვარ. სულაც არა ვარ ფაქიზი დიალექტიკოსი.

**მეფე:** მაშ სცადე და შეაერთე შენი წარსული კვლევების რამდენიმე ნაწყვეტი მაინც.

**ეპისკოპოსი**: რაც არ უნდა ცოტა გვახსოვდეს, ყველაფრის დავიწყება მაინც არ შეგვიძლია.

**მეფე:** ნუთუ სიბერე გიშლის ხელს, მიხვდე, შენი ბუნების რომელი ნაწილი შთაგაგონებს ამ წუთში?

**ეპისკოპოსი**: შენ მოთმინება არ გყოფნის, მეფევ. ფილოსოფოსები არ კეტავენ ბუნებას მკაცრი განსაზღვრის დილეგში. ზოგი ბრძენი აცხადებს, რომ ბუნების შემოქმედი ცეცხლია. მეორეთა თანახმად, ბუნების მიზეზი ღვთის უზენაესი ნებაა. ახლა კი ის უნდა გითხრა, რომ ღვთის ბუნება თვით ღმერთია, მაგრამ კაცთათვის ეს ასე არაა: კაცი და მისი ბუნება ერთმანეთს არ უიგივდება. თუ ღმერთი ჭეშმარიტად არსებობს, იგი უცვლელია. მისი სპეციფიკური არსი უცვლელობაში მდგომარეობს... მაგრამ ყოველი შექმნილი არსება თავის ბუნებას იმ წამში იღებს, როცა არსებობას იწყებს...

ეპისკოპოსი თავის მსჯელობას კიდევ რამდენიმე ათეულ სტრიქონზე ავითარებს. "ადამიანში, მისი ორმაგი ბუნების წყალობით, ორი სუბსტანციაა... არიან ისეთები, ვინც ერთს ეჯაჭვება სამუდამოდ, სხვანი — მეორეს". და ასე შემდეგ დაუსრულებლად.

თუმცა მოყვანილი ფრაგმენტის გაგება არც ისე ადვილია, ვხედავთ, რომ მეფე გაცილებით უფრო ლაკონურია თავის მსჯელობებში. ეპისკოპოსი კი ძალიან ვრცლად მეტყველებს და ბოლოს იმარჯვებს. გასაგებია, რომ ასცელინუსი მეფეებისთვის არ სწერდა ამგვარ ტექსტებს. სამაგიეროდ, პოემის წამკითხველ რეიმსის სკოლის მოწაფეებს ექმნებოდათ შთაბეჭდილება, რომ სამეფო კარზე მათ აუცილებლად ფილოსოფიით დაინტერესებული ბრძენი მონარქი დახვდებოდათ. ამგვარი "პროფორიენტაციის" წყალობით მრავალი სწორედ სამეფო კარის მიმართულებით აპირებდა თავისი კარიერის წარმართვას. ამისთვის მაინც ფუჭი არ ყოფილა სქოლასტური დიალექტიკა.

მრავალწლიანი შეუმჩნეველი მოღვაწეობა ამაოდ არ დაკარგულა : ახალი დროის გარიჟრაჟზე სწორედ მეფეთა და სხვა დიდგვაროვან ფეოდალთა კარზე წარმოშობილი განათლების კულტი და რთული ეტიკეტი გახდება ცივილიზაციის იმ პროცესის პირველ მამოძრავებელ ძალად, რომელიც ცხოვრების ევროპულ წესს მსოფლიო კულტურული და ეკონომიკური ბატონობისკენ გაუხსნის გზას.


შარტრის საკათედრო ტაძრის ფასადი

# განათლების სისტემა ათასი წლის წინათ

*რა ინტელექტუალური აქტივობა უნდა ჰქონოდათ ათასი წლის წინანდელ ევროპელებს? ამის გასაგებად კვლავ მონასტრებზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. სწორედ ეს იყო აზროვნების უმთავრესი, თუ არა ერთადერთი კერა იმ შორეულ ეპოქაში. ამის ძირითადი მიზეზი კი ის გარემოებაა, რომ ყოველგვარი გონებრივი შრომა სწავლა-განათლებით იწყება, სკოლები კი მაშინ მხოლოდ საეკლესიო გარემოში არსებობდა: დაწყებითი სკოლები მონასტრების, უმაღლესი სასწავლებლები კი ეპისკოპოსთა დაქვემდებარებაში.*


მონასტრის შიდა ეზო, სადაც განლაგებული იყო სკოლა

## სამონასტრო სკოლები

მონასტრებში, ანუ სააბატოებში ორი ტიპის სასკოლო განათლებას ახორციელებდნენ. მონასტრის შიდა ეზოს გარეთ მიმდებარე სოფლების ბავშვებისთვის იყო გახსნილი სასწავლებელი. საფრანგეთში ერთ-ერთი ქალაქის, დიჟონის აბატმა **გიომმა**, როგორც მის შესახებ ქრონიკაში ვკითხულობთ, "დააარსა სკოლები, სადაც განათლების ნიჭი უსასყიდლოდ ნაწილდებოდა მათ შორის, ვინც მონასტერში მოდიოდა და მის ავტორიტეტს სცნობდა. არავის არ ეუბნებოდნენ უარს. ყოველგვარი გარჩევის გარეშე ყმანი და თავისუფალნი, მდიდარნი და ღარიბნი, ყველანი სარგებლობდნენ ქველმოქმედების ამ ნიშნით. ბევრნი, სიღატაკის გამო, ცხოვრების სახსარსაც იღებდნენ მონასტრისგან".

მაშასადამე, ამ სკოლებში ერთ მერხზე ისხდნენ ერთმანეთისგან უსასრულოდ დაშორებული სოციალური ფენებიდან გამოსული ბავშვები. რა ურთიერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო მათ შორის, ვისაც არ შეეძლო ამ უთანასწორობის წამიერი დავიწყებაც კი? გლეხის შვილები, ჩვეულებრივად, ყველა სკოლაში სწავლობდნენ, თუ მხოლოდ ზოგიერთში? სხვა კითხვაც იბადება. გასაგებია, რომ სკოლაში წერა-კითხვას ასწავლიდნენ. მაგრამ ერთადერთი ენა, რომელზედაც იმ დროს შეიძლებოდა რამის წაკითხვა, ლათინური იყო. ნუთუ ბავშვებს ლათინური ენის საწყისებსაც აზუთხვინებდნენ? თუმცა კი სავარაუდოა და აშკარაც კი, რომ სწავლება ამგვარ სკოლაში მხოლოდ ზეპირი იყო.

შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საქმე ეხებოდა ზეპირი ანგარიშის რამდენიმე ელემენტარულ წესსა და სარწმუნოების რამდენიმე ძირითად დოგმას, თუ ზნეობრივ კანონს. არ უნდა დაგვავიწყდეს ზეპირად სასწავლი ლოცვები, წმიდა ისტორიის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი და წმინდანთა ცხოვრებები. ასეთი განათლების გადაცემა თუ შეეძლოთ და სურდათ ბერებს ხალხისთვის. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს: გავიხსენოთ, რამდენი ქართველი მწერლის თუ საზოგადო მოღვაწის შესახებ წაგვიკითხავს დაახლოებით ასეთი ფრაზა: "დედამისი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული ქალი იყო, კარგად იცოდა "ვეფხისტყაოსანი" და დავითნი".

მაგრამ შუა საუკუნეების ევროპას რომ დავუბრუნდეთ თვით განათლების შინაარსიდან გამომდინარე გასაგები ხდება, რატომ იყო იგი უფასო, რატომ იყო ის გახსნილი ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლისათვის. განათლების ფუნქცია ერთადერთი იყო: არაორგანიზებული ადამიანების კონტროლი უფრო ძნელია, სკოლა კი ამზადებდა მათ იმისათვის რომ საუკეთესოდ დაექვემდებარებინა ეკლესიის მხრიდან კონტროლისათვის.

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ განათლების ამგვარი ტიპი სრულიად ადეკვატური იყო იმდროინდელი მოსახლეობისთვის. წერა-კითხვის ცოდნა სრულიად ზედმეტია მათთვის, ვისაც არც საწერი აქვს რამე და ვერც საკითხავს იშოვის ოდესმე. სრულყოფილი ცხოვრებისთვის სხვა გაცილებით მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები უნდა მიეღოთ, როგორც აზნაურებს, ასევე უაზნოთ: ნადირობა, ჯირითი, ზოგს ხმლისა და ზოგს კიდევ თოხის ხმარება, საქონლის მოვლა, სენიორთან და ვასალთან ურთიერთობა. ეს ყველაფერი კი პრაქტიკით შეისწავლებოდა. ამაზე მეტად მხოლოდ იმის ჩაგონებაღა სჭირდებოდათ, რომ არსებობს ღმერთი, რომლის წინაშე თაყვანისცემა გვმართებს, რათა საკუთარი თავისთვისა და მთელი საზოგადოებისთვის სასარგებლო იყოს ეს. იმ დროს ხომ საზოგადოებრივი კულტურის უმეტესი ნაწილი და ქრისტიანული რელიგია ერთი და იგივე იყო.

## შეწირული ბავშვების სკოლები

ასე ვთარგმნით ლათინურ გამოთქმას puer oblatus. იგულისხმება ბავშვი, რომელიც ადრეულ ასაკში მშობლებმა ამა თუ იმ მიზეზით მიაბარეს მონასტერს, რათა მომავალში აღთქმა დაედო და მონესე გამხდარიყო. მათთვის საგანგებო სკოლა მონასტრის კედლებში იყო გახსნილი.

ამ ბავშვებს, ძირითადად, განსაკუთრებით ნიჭიერი გლეხები და კეთილშობილთა უმცროსი, მემკვიდრეობის უფლების არმქონე შვილები შეადგენდნენ. მათი ცხოვრების შესახებ უკეთესი ცნობები მოიპოვება.

ეს კი დალხენილი ცხოვრება არ ყოფილა. აკრძალული ჰქონდათ არა მარტო განმარტოება, არამედ ერთი წამითაც ვინმესთან დაწყვილებაც კი. მოძღვარსაც კი არ შეეძლო სადმე ერთ მოწაფესთან პირისპირ საუბარი. ეს ყველაფერი კლუნის მონასტრის აბატის, 942 წელს გარდაცვლილი **ოდონის** ცხოვრებაში წერია. იგივე წესებს აკანონებს ასი წლით უფრო გვიან **ლანფრანკი**, კენტერბერის ეპისკოპოსი. ამ უკანასკნელს სურს, რომ "სადაც არ უნდა წავიდნენ მოწაფეები, ყოველ ორ მათგანს აუცილებლად უნდა ახლდეს მოძღვარი". უფრო ქვემოთ კი ლანფრანკი აზუსტებს: "თუ ორნი არიან, საკმარისი იქნება ერთი ჩირაღდანი, თუ სამნი — მესამემ კიდევ ერთი უნდა წაიღოს". ასეც კი არ მჭიდება... "არავის არაფერი არ უნდა ჩაუდონ ხელში, არავისგან არაფერი არ უნდა მიიღონ — მხოლოდ აბატისგან, პრიორის ან მოძღვრისაგან და ესეც ყველგან არა, არამედ მხოლოდ ადგილებში. გამონაკლისს სახით მხოლოდ გუნდის ლოტბარს შეუძლია მათთვის საგალობელით ან საკითხავით წიგნის გადაცემა".

"განსაკუთრებული მეგობრობის" წინაშე აკვიატებული შიშის გამო, როგორც ვხედავთ, ლანფრანკი თავის გამომგონებლობაში ავადმყოფურად ეჭვიან ქმრებსაც ჯობნიდა.

დამრღვევებს სასტიკი სასჯელი ელოდა: წკეპლა. თუ დარღვევა მეორდებოდა, მოწაფეს ბორკილებს ადებდნენ, არ აძლევდნენ საჭმელს და ათავსებნენ დილეგში. ყოველ შემთხვევაში, ასე იქცეოდა კლუნის დამაარსებელი, აბატი **ბერნონი**, X საუკუნის დასაწყისში. ამის გამო, მისი შემდგომი აბატის, ოდონის ბიოგრაფი სწორედ ამისთვის ახასიათებს ბერნონს შემდეგი სიტყვებით: "ყაჩაღი და არა მონაზონი, ტირანი და არა მამა, გლადიატორი და ყასაბი, აღმზრდელისა და მოძღვრის ნაცვლად". უკვე XI საუკუნისთვის, აბატ **ოდილონის** ზედამხედველობის ქვეშ შეწირულ ბავშვებს გაცილებით ნაკლები სიმკაცრით ექცეოდნენ.

ეს ბავშვები აუცილებლად სწავლობდნენ ლათინურ ენას. მათ არა მარტო კითხვა ევალებოდათ, არამედ წერაც. სამონასტრო ქონების განსაკარგავად ასევე აუცილებელი იყო არითმეტიკაც. რაც შეეხება ლიტერატურულ განათლებას, ამ საკითხში ყველაზე დიდ პრობლემას ანტიკურობის წარმართი ავტორები წარმოადგენდნენ.

## წარმართი მწერლების პრობლემა

ლათინური ენის ხარისხიანი შესწავლისა და გონების ჩამოსაყალიბებლად შეუცვლელი იყო რომის რესპუბლიკის პერიოდისა და ავგუსტუს კეისრის ხანის ავტორთა შესწავლა. მაგრამ ამ ტექსტებს ერთი სულიერი ხიფათიც ახლდა: ავტორთათვის სანიმუშო ზნეობა და ფილოსოფია, მათ მიერ გამოყენებული გრძნობიერი მხატვრული სახეები. ქრისტიანებმა მალე იპოვეს კომპრომისული კომენტარის საშუალება, რის შედეგად შესაძლებელი გახდა კლასიკოსთა ერთგვარი აღორძინება **კარლოს დიდის** დროს. მაგრამ კლუნის მონასტერი და სამონასტრო მოძრაობა სწორედ იმ მიზნით დაარსდა, რომ გარკვეულად დაპირისპირებოდა ეკლესიის მთავართა უზომოდ გაზრდილ მატერიალურ ინტერესებსა და მათ ზნეობრივ დაცემას. კლუნის ბერები ცხოვრების ასკეტურ იდეალებს ეთაყვანებოდნენ, ამიტომ კლასიკოს მწერალთა პრობლემა ახალი ძალით დადგა. უფრო მეტიც, კლუნის აბატებმა აქტიურად გაილაშქრეს ანტიკურ მწერალთა "საშიში უკვდავების" წინააღმდეგ.

მაგალითად, ოდონმა, განათლება ქალაქ ტურში, სენ-მარტენის სკოლაში მიიღო. იქ ლათინური VI საუკუნის ბიზანტიელი გრამატიკოსის, **პრისციანეს** თხზულებებით ისწავლა. ოდონს ამ თხზულებებში მოყვანილი კლასიკური ციტატები მოეწონა და ვირგილიუსის წაკითხვაც გარისკა. ამ პოეტის ნაწარმოებები მშვენიერ ჭურჭლად მოეჩვენა, მაგრამ სულ მალე ჭურჭლიდან გველები გამოხოხდნენ, რომელთაგან თავის დაცვა უკვე ძლივსღა მოახერხა. ამის შემდეგ ოდონი სალვთო წერილის გარდა არაფერს კითხულობდა. როგორც კი კლუნის აბატი გახდა, ბიბლიოთეკიდან ყველა ანტიკური ავტორი გამოაგდო. მოწაფეებს მხოლოდ ბიბლია და წმიდა მამათა ნაწერები დარჩათ. მათ შორის კი მხოლოდ ნეტარ **ავგუსტინესა** და წმიდა **იერონიმეს** თუ შეეძლოთ **ციცერონის** საკადრისი ლათინურის ხმარება.

თუკი ვინმე მართლა მოისურვებდა ანტიკური მწერლების მავნებლობის დამტკიცებას, ამისთვის სენ-რიკერის მომავალი აბატის, **გერვინუსის** საყმაწვილო ცდომილებებიც იქნებოდა საკმარისი. როცა იგი რეიმსის სამონასტრო სკოლის მოწაფე იყო, მისი "უმანკო სული დაიჩრდილა პოეტთა ყოველდღიური კითხვით". ყმაწვილი უწესო ცხოვრებაში გადაეშვა, მაგრამ მალე გონს მოეგო, თავი დაიხსნა ერთი დიდგვაროვანი ქალის მკლავებიდან, გრძნობებს გაჩუმება უბრძანა და სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი საყვარელ პოეტებთან, რათა "ლიტერატურის შესწავლისას მისი სული არ დაეხრჩოთ". სენრიკერში გერვინუსმა ბიბლიოთეკა დააარსა: მასში დაცულ 36 ტომში არც ერთი წარმართი ავტორი არ მოიპოვებოდა.

როგორც ვხედავთ, არც მონასტრის შიგნით მდებარე სკოლებში იყო სწავლა-განათლების საქმე ძალიან შორს წასული. ლათინური ენის გარდა მოწაფეებს იქ გალობასა და ღვთისმსახურების წესებს ასწავლიდნენ. თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისიც არსებობს: ფლერი-სიურ-ლუარის მონასტერი, სადაც აბატ **აბონის** დროს (988 - 1004) კლასიკური განათლებაც ყვაოდა.


სენიორი მოვიდა სამონასტრო სკოლის დასათვალიერებლად

## საეპისკოპოსო სკოლები

მიუხედავად ყველა ღირსებისა, ფლერი-სიურ-ლუარის სკოლა მაინც სამონასტრო სასწავლებლად რჩებოდა და ვერ შეედრებოდა იმ სკოლებს, რომლებიც მრავალ საეპისკოპოსო ცენტრში ბრწყინავდა.

აქ მერხებზე სულ სხვა წარმოშობისა და ასაკის ადამიანები ისხდნენ. ზოგი მათგანი მოკრძალებული ოჯახიდან იყო, მაგალითად, **ჰერბერტი**, ალვერნიის ყმაწვილი გლეხი, რომელმაც შემდეგ ინტელექტუალის ბრწყინვალე კარიერა შეასრულა. ამ წარმოშობის მოსწავლეთათვის, არა მარტო სწავლა იყო უფასო, არამედ ეპისკოპოსი თავის ხარჯზე კვებავდა და აცმევდა მათ. შარტრის ეპისკოპოსი, **ფულბერტი**, თავის დროზე, ასეთივე დაბალი წარმოშობის მოწაფე, სწერდა წმ. ჰილარიუს პუატიელის სკოლის მოძღვარს, **ჰილდეგერს**: "ყურადღება მიაქციე, რომ შენი მოწაფეები არც მშიერნი იყვნენ და არც ჩაუცმელნი".

დაბალი ფენის მოწაფეებთან ერთად საეპისკოპოსო სკოლებში ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებიც სწავლობდნენ. 1050 წელს უკვე ნახსენები ჰერბერტი, რომელიც ამ დროისთვის რეიმსის სკოლის მოძღვარი იყო, ამბობდა, რომ ყველაზე კეთილშობილი და დიდგვაროვანი მოწაფეებისათვის მიუცია "თავისუფალ დისციპლინათა საზრდო". ეს კეთილშობილი სტუდენტები სწავლის ქირას იხდიდნენ და სიამეებით აღსავსე ცხოვრებასაც ეწეოდნენ. არც აკრძალულ ხილს ერიდებოდნენ ყოველთვის. გავიხსენოთ ჰერბერტი, რომლის ცდუნებასა და სინანულზე ზემოთ ვისაუბრეთ. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ეს სტუდენტები ქალაქში ცხოვრობდნენ, ნაქირავებ ბინებში, როგორც ეს ყველა დროის სტუდენტებს სჩვევიათ.

სტუდენტთა ამ ორ სახეობას მესამე, ყველაზე მცირერიცხოვანიც ემატებოდა. ეს უკვე ასაკში შესული სამღვდელო პირები იყვნენ, რომლებთაც განათლების გაღრმავება გადაეწყვიტათ. ამათ უკვე სწავლის კონკრეტული გეგმა ჰქონდათ დასახული და ახლომახლო განსაკუთრებით ავტორიტეტულ და სახელმოხვეჭილ სკოლებს ეძებდნენ.

საეპისკოპოსო სკოლათა კურიკულუმი შედგებოდა შვიდი ეგრეთ წოდებული "თავისუფალი დისციპლინისგან", რომლებიც ორ ჯგუფად იყო დაყოფილი: "ტრივიუმად" და "კვადრივიუმად". ტრივიუმში შედიოდა გრამატიკა, დიალექტიკა და ლოგიკა, ხოლო კვადრივიუმში — არითმეტიკა, მუსიკა, გეომეტრია და ასტრონომია. ამ შვიდ ხელოვნებას ზოგან მედიცინა ემატებოდა, ზოგან — სამართალი და ყველგან — თეოლოგია.

ყველაზე ნიჭიერი მოწაფეებისთვისაც ძალიან ძნელი იყო ამგვარი განათლების პირობებში რაიმე სიახლისკენ სწრაფვა. აქედან გამომდინარე, თვით დიდი შუასაუკუნეობრივი ინტელექტუალების ცხოვრება და მოღვაწეობა ძალიან განსხვავდებოდა თანამედროვე სიტუაციისაგან. ისინი არ ფიქრობდნენ, რომ რაიმე სიახლის აღმოჩენა ევალებოდათ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მთელი სიბრძნე უკვე მოიპოვება წარსულში დაწერილ წიგნებში. საუკეთესო ძალები მხოლოდ ძველთა უფრო ღრმა გაგებაზე იხარჯებოდა. ამ გაგების გარშემო კი მრავალი კამათი იმართებოდა, რომელშიც ეპოქის უგონიერესი ადამიანები სიამოვნებითა და გაცხარებით ხარჯავდნენ თავიანთ ინტელექტუალურ ენერგიას. მათგან მხოლოდ ერთეულებმა გაბედეს თქმა, რომ, თუმც ჯუჯები არიან, ძველ ბუმბერაზთა მხრებზე შემდგარნი უფრო შორს ხედავენ. თუმცა ჩვენი სასკოლო განათლების პროგრამა ამ სიტყვებს ისააკ ნიუტონს მიაწერს, უნდა ვაღიაროთ, რომ დიდმა ინგლისელმა მეცნიერმა მხოლოდ შუა საუკუნეების საკმაოდ ცნობილი მოდელი გამოიყენა, თავისი მოულოდნელი და ამიტომ ხშირად უცნაური და არასასურველი აღმოჩენების დასანერგავად.

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი

# ლენონი მოდის მთავარი გმირი ხდება

ჯონ ლენონი – ამ ცნობილ სახელსა და გვარს თუ ბრჭყალებში ჩასვამთ, მიიღებთ სავაჭრო ნიშანს, რომლითაც ლენონის ნახატებით შთაგონებული სამკაული იყიდება. როგორც ცნობილია, ლენონი ლივერპულის ხელოვნების ინსტიტუტში სწავლობდა, შემდეგ კი ხატავდა კიდეც, ძირითადად, თავის შვილ შონისთვის. ამ ნახატების გამოფენა რამდენიმე ხნის წინ მოეწყო კიდეც. კომპანიამ Jewel America კი, მათი შთაგონებით, სამკაული შექმნა, რომელიც წელს ძალზე მოდურად ითვლება. ინტერნეტ-საიტზე http://johnlennonjewelry.com 50-400 დოლარის ფარგლებში ყველანაირი ტიპის აქსესუარს ნახავთ: ვერცხლისა და ოქროს საყურეებს, სამაჯურებს, ყელსაბამებს, ბეჭდებს. ზოგს ლენონის ცნობილი ფრაზები ამშვენებს – Real Love, Imagine და Give Peace A Chance, ზოგს კი – მისი ავტოპორტრეტები. იქვე დაათვალიერებთ ლენონის ფრაზებით დამშვენებულ მაჯის საათებსაც. ისინი თემატურადაა დაყოფილი. მაგალითად, "მეგობრების" კოლექცია შექმნილია იმ ნახატების მიხედვით, რომლებიც ლენონის წიგნში Real Love არის თავმოყრილი და, რომელიც შონს ეძღვნება. Woman-ის კოლექცია ლენონის ამავე სახელწოდების ჰიტს ეხმიანება. Mind Games-ის საათებზე კი ლენონის ავტოპორტრეტია გადატანილი...

ჯონ ლენონის სამკაულის კოლექცია ბრიტანეთშიც და ამერიკაშიც უკვე დიდი წარმატებით იყიდება, რასაც ერთი სოციოლოგიური კვლევის შედეგი განაპირობებს –აშშ-ს ზრდასრული მოსახლეობის 60 პროცენტი ხომ ჯონ ლენონს აფასებს, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მქონე კულტურულ ხატს, 44 პროცენტი კი აცხადებს, რომ დიდი სიამოვნებით შეიძენენ ლენონის ნახატებით შთაგონებულ სამკაულებს.






აქსესუარები ჯონ ლენონის კოლექციიდან

# MTV-ის ახალი საქმიანობა



მუსიკალური არხის MTV-ის ხელმძღვანელობას სურს, შექმნას საკუთარი ინტერნეტ-მაღაზია, რომელშიც მუსიკალური პროდუქცია გაიყიდება. "ჩვენ ვიქნებით iTunes Music Store-ის კონკურენტები", - განაცხადა არხის ხელმძღვანელმა ტომ ფრესტონმა "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში. თუმცა, მუსიკალური არხის ახალ წამოწყებას, ზემოთ დასახელებული მაღაზიის გარდა, სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი კონკურენტიც ეყოლება. ბაზარზე მათ კარგად რეკლამირებული საფირმო ნიშნისა და მთელ მსოფლიოში არსებული მილიონობით მაყურებლის იმედი აქვთ. თუმცა, ვერ ფლობენ იმ უპირატესობას, რასაც მათ კონკურენტები – MTV ამ ბიზნესში ახალია.

კორპორაცია Viacom, რომელსაც ეკუთვნის პოპულარული ტელეარხი, უკვე მეორედ ცდილობს ახალ ბიზნესში ჩაბმას. პირველი მცდელობა შარშან წარუმატებელი გამოდგა - მთლიანად ინტერნეტ-მაღაზიების ინდუსტრიის პრობლემების გამო. ახალმა მაღაზიამ, რომლის სახელწოდებაც ჯერ არ მოუფიქრებიათ, მუშაობას მომავალი წლის პირველი ნახევრიდან დაიწყებს. MTV.com საიტიდან მუსიკის გადმოქაჩვა ახლაც არის შესაძლებელი, მაგრამ კომპანიას ამჯერად სარეკლამო მიზნებისთვის მხოლოდ მისთვის საჭირო ცალკეული მუსიკალური ფაილები გამოაქვს.

# იყიდება ვარსკვლავის სახლი

გლობალური უძრავი ქონების ბაზარზე ძალზე იაფად – 1.5 მილიონ დოლარად ერთი მშვენიერი სახლი იყიდება. ის ერიკ კლეპტონს ეკუთვნის და წყნარი ოკეანის კალიფორნიულ სანაპიროზე მდებარეობს, კერძოდ კი, ლოს ანჯელესის სახელგანთქმულ ვენეციის პლაჟზე.

ლეგენდარულმა ბრიტანელმა როკერმა სახლის გაყიდვა იმიტომ გადაწყვიტა, რომ მის ოჯახს, თურმე, უფრო მეტი ფართი სჭირდება.

1986 წელს აშენებული სახლი სანაპიროს გადაჰყურებს, აქვს ერთ საძინებელი და ორი სააბაზანო ოთახი. მისი მთავარი მშვენება კი სასტუმრო ოთახია, რომელსაც 30-ფუტი სიმაღლის გუმბათოვანი და მთლიანად შემინული ჭერი და კედლის მთელ სიმაღლეზე აღმართული ფანჯრები აქვს. სახლის წინ ბამბუკის მშვენიერი იაპონური ბაღია გაშენებული.

ერიკ კლეპტონი ასევე ფლობს სახლებს ინგლისში, ანტიგუაში და ორ ვილას საფრანგეთში.

თუმცა, სიახლეები მუსიკოსს არა მხოლოდ უძრავი ქონების ბაზრიდან აქვს. რამდენიმე ხნის წინ მან სტინგთან და ბარბრა სტრეიზენდთან ერთად სიმღერა ჩაწერა ალბომისთვის, რომელიც ბავშვებისთვის განკუთვნილი სპეციალური ფონდის ეგიდით გაკეთდა. კომპაქტს კომპანია "ატლანტიქ რექორდსი" დღეს გამოსცემს.

რამდენიმე ხნის წინ კი ერიკ კლეპტონმა იმუშავა დოკუმენტურ ფილმზე "კონცერტი ჯორჯისთვის", რომელიც ჯორჯ ჰარისონს მიეძღვნა. კლეპტონი ფილმის მუსიკალური რეჟისორი იყო.

■ ■ ■

ოსბორნების შოუ MTV-ის ეთერში დიდი წარმატებით სარგებლობს. როგორც ჩანს, ოჯახის წევრებს საკმაოდ სოლიდური ანაზღაურებაც აქვთ, იმდენად სოლიდური, რომ ოზის 19 წლის ქალიშვილი კელი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის საქმეში აქტიურადაა ჩართული. ბევერლი ჰილსზე 1920-იან წლებში აგებული ესპანური სტილის ვილა მან რამდენიმე თვის წინ 1.2 მილიონ დოლარად შეიძინა. მაგრამ ახლა, ცოტაოდენი კოსმეტიკური შელამაზების შემდეგ, სახლს ისევ ჰყიდის. ამჯერად, 1.6 მილიონ დოლარად. ვილას ხუთი სააბაზანო ოთახი, სამი საძინებელი და შიდა, შემინული ბაღი აქვს. სანამ ახალ სახლს შეათვალიერებდეს კელი ოჯახთან ერთად იქვე, ბევერლი ჰილსზე დასახლდება, პარალელურად კი, თავის ცხოვრებას MTV-ის ეთერში გამოამზეურებს. ოზის მეუღლემ, შერონმა უკვე მოაწერა ხელი ახალ კონტრაქტს.

■ ■ ■

გაცილებით უფრო ძვირად ფასობს ის რეზიდენცია ფენვიკში, კონექტიკუტის შტატში, სადაც ხუთიოდე თვის წინ 96 წლის კეტრინ ჰეპბერნი გარდაიცვალა. სახლი, რომელიც 1939 წელს ჰეპბერნების ოჯახისთვის აშენდა, ახლა 12 მილიონ დოლარად არის შეფასებული. სამსართულიანი, თეთრი აგურით ნაგები შენობა 8 ათასი კვადრატული ფუტი ფართობისაა. მას ცხრა საძინებელი, რვა სააბაზანო ოთახი და ხუთი ბუხარი აქვს. სახლს აქვს საკუთარი პლაჟი და პატარა ტბა, რომელშიც ჰეპბერნი ყოველდღიურად ბანაობდა, ზამთარშიც კი. იყიდება ჰეპბერნის ნიუ იორკული ბინაც 4.9 მილიონ დოლარად.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

18 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ჯადოქარი" **18.50** ბუნება **19.15** პერეკროსტოკი **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ. ფილმი "გახლეჩილი სამყარო". მთ. რ-ში: ბარბარა ხერში, ჯოდი მეი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.10** მხ. ფილმი "სანუკვარი ოცნებები" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "ვიწრო ზღვარი" **16.45** დოკ. სერიალი "ბუნებაში სტეფან პეირონთან ერთად" **17.15** მულტსერიალი "ჩემი პატარა ძვირფასი პლანეტა" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** "ჩვენი ფეხბურთი" კ. ასათიანი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "ლამაზი მამაკაცი" მე-2ს.

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მევერიკი" მთ.რ-ში მელ გიბსონი, ჯოდი ფოსტერი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ოლიგარქი" მთ.რ-ში ვლადიმირ მაშკოვი, მარია მირონოვა. **01.40** "ღამურა" მხ. ფილმი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "არგაი" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "მოჩვენება და წყვდიადი" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "გოსფორდის პარკი 2"

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "ცდომილი ალი" **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "ლამაზი მამაკაცი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "რაშია საქმე დოკ" **13.30** გადაცემა "საქმე და ეკონომიკა" **14.00** მხ. ფილმი "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "9 იარდი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მამაცი გული"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი "საჰაერო პოლიცია" **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "უსირცხვილო" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ნისლიანი სანაპირო" **00.55** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი **10.15, 15.10, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ორდენი" **13.15** დოკ. ფილმი "ბასტერ კიტონი" მე-3 ნ. **14.00** მულტფილმი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** "ოსტატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი "ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ღამის ექიმები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმები "საგარეუბნო მატარებელი", "იოცნებე რამდენიც გინდა" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "უცნაური რომანი"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 00.40** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **11.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს იდუმალი ადგილები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "ახალგაზრდა მსროლელები" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **17.25** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მძაფრსიუჟეტიანი კინო "ვალი"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.20** სათავგადასავლო ფილმი "იასონი და არგონავტები" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.20** თრილერი "ძარცვა" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** თრილერი "ძარცვა" (გაგრძ.) **14.30** კომედია "არგენტინელი ქალი ნიუ-იორკში" **15.50** მუსიკა **16.20** მულტფილმი "იმპერიის დამცველები" **17.20** მხ. ფილმი "სახელმწიფო მეთაური" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** კომედია "აგენტი ჯონი ინგლისში" **21.25** მუსიკა **21.50** "გალერეა" **23.00** Пресс-папье **23.05** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.15** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" 2 ს. **03.40** ისტორიული ფილმი "ბუს ციხესიმაგრე"

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** "ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.30** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **11.55** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** მელოდია. **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.15** "ავტოტრეკინგი" **22.00** მობილურები **22.20** "კინოკლუბი" - "ხომალდი-მოჩვენება". საშინელებათა . რეჟ. სტივ ბეკი. როლებში: გაბრიელბირნი, ჰულიანა მარგულისი. **00.05** მელოდია **00.10** ტელესერიალი -"აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **09.30** Выборы-2003 **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.10, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 11.10 Комедия "Воздушные приключения". 1-я с. 12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20** Город женщин **14.20 Худ. фильм "Город принял" 16.20, 02.10** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** Выборы-2003 **21.00 Сериал "Нина" 22.00, 00.30** Время **22.30 Жерар Депардье и Харви Кейтель в боевике "Ограбление по-французски" 01.00** Мировая премьера. "История Кеннеди". Фильм 3-й **01.40** "Сканер" **02.30 Фильм "Сердце - пламенный мотор"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 10.45** "Не скуЧАЙ!" с Михаилом Евдокимовым. **11.45, 14.50, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Короткое замыкание" **13.50 Сериал "ОПЕРАТИВНЫЙ ПСЕВДОНИМ" 15.30** "Что хочет женщина" **16.30 Сериал "ЛЕДИ МЭР" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00** Выборы-2003. **21.50** Спокойной ночи, малыши! **23.00 Сериал "ОПЕРАТИВНЫЙ ПСЕВДОНИМ" 00.00** Вести+. **00.20** Премьера. "Убийство Кеннеди. 13-я версия". 2-я с. **01.15** Народный артист. **01.40 Остросюжетный фильм "ЭПОХА"** (США) **03.40** Дорожный патруль. **03.55** Агентство одиноких сердец **04.20 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.45 Сериал"ЧЕРНЫЙ ВОРОН-2". 11.00** Сегодня утром. **11.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **12.15** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.20** "Сегодня" **13.30** "Товарищ граф". "Профессия – репортер". **13.50 Худ. фильм "БЕЛОЕ ПРОКЛЯТЬЕ". 15.35** По праву. **16.35** "Диагноз: игрок". Ток-шоу "Принцип домино". **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** Территория выживания. **20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 21.45 Сериал"ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50 Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ" 01.10 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ". 02.40** Гордон. **03.35** Кома: это правда.

# კბილდაკრეჭილი ამანათი



მილუოკის საფოსტო განყოფილების თანამშრომლებმა კოლორადოში გასაგზავნ ამანათში 120 სანტიმეტრის სიგრძის ნიანგი აღმოაჩინეს. რეპტილიამ შეფუთვის გაკვნეტა და დრუნჩის გამოყოფა შეძლო. "კბილებს მოვკარი თვალი და კინაღამ გულს შემომეყარა," - მოჰყვა ფოსტის თანამშრომელი ქალი. მის კოლეგას ამანათისთვის ხელი ჩაუვლია და დახურულ კალათაში მოუსროლია.

ფოსტამ მომხდარი ამბავი ცხოველთა უფლებების დამცველებს შეატყობინა. ნიანგი ილინოისის ჩრდილოეთში რეზერვაციაში გაამგზავრეს, საიდანაც მას ფლორიდაში გადაიყვანენ. ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში 50 სანტიმეტრზე დიდი ნიანგების ფოსტით გადაყვანა აკრძალულია, აღნიშნული ინციდენტის გამო, საქმეა აღძრული.

## წყალქვეშ შექმნილი ოჯახები



ცამეტმა წყვილმა კაიმანის კუნძულის სიახლოვეს წყალქვეშ შეჰფიცა ერთმანეთს საუკუნო სიყვარული. მრავალ მათგანს საქორწილო სამოსი ეცვა, ზოგიერთები ლამაზი საბანაო კოსტუმებით შემოიფარგლნენ. მღვდელი ცერემონიას ნავიდან უძღვებოდა, წყალქვეშ მდგომი მექორწილეები მას საგანგებო მოწყობილობის მეშვეობით აწვდენდნენ ხმას. იქვე, სანაპიროზე საზეიმო მუსიკაც ჟღერდა.

თანხმობის განსაცხადებლად წყვილები ხელებს იქნევდნენ და თავს აკანტურებდნენ. ხელმოწერა წყალგამძლე დაფებზე განხორციელდა. ამ ცერემონიაში, რომელიც ადგილობრივი ტურიზმის დეპარტამენტის მეშვეობით გაიმართა, 31 ადამიანი იღებდა მონაწილეობას. წელს კუნძულზე ქრისტეფორე კოლუმბის ჩაზრძანების 500 წლისთავს ზეიმობენ; ქორწილი სადღესასწაულო პროგრამის ნაწილს შეადგენდა.

"ჩემს შეყვარებულს ყოველთვის უნდოდა, რომ სხვებისგან განსხვავებული, მხიარული და გიჟური ქორწილი გვქონოდა," - თქვა ერთ-ერთმა პატარძალმა, რომელიც საგანგებოდ ამ საქმისთვის ჩავიდა კუნძულზე კანადიდან. "მაგრამ, საღამოს ტრადიციულადაც დავიწერთ ჯვარს".

## ბექჰემის რომანტიკული ვოკალი



დევიდ ბექჰემმა გადაწყვიტა, დაეხმაროს მეუღლეს სოლო ალბომის ჩაწერაში. მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა ამ საქმეში ლომის წილი ჩადო. ავტომოპასუხეზე მან ვიქტორიას რამდენიმე მაღალფარდოვანი ფრაზა დაუტოვა - მეუღლეს სიყვარულში გამოუტყდა. ეს სიტყვები შევა ვიქტორიას ერთ-ერთ სიმღერაში, რომელიც საყვარელი ადამიანის სატელეფონო ზარის მოლოდინზე მოგვითხრობს.

სიმღერა, სადაც მოისმენთ დევიდ ბექჰემის ხმასაც, მშვიდი და რომანტიკულია და ძალიან განსხვავდება ვიქტორიას სხვა ჩანაწერებისგან. ვინც არ იცნობს ამ ჩანაწერებს, ვიტყვით, რომ ბოლო დროს ვიქტორია ძალიან ბაძავს ემინემს და ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავობას ცდილობს.














## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.